

29

29

1957

א כ ל ג ז כ ב ה

## საქართველოს ეთნოგრაფიკათვის

IX

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

ପ୍ରସାରିତ ବୋଲମ୍ କେନ୍ଦ୍ର ବୋଲମ୍ କେନ୍ଦ୍ର ବୋଲମ୍ କେନ୍ଦ୍ର ବୋଲମ୍

ଟାଇପ୍‌ରେଟ୍‌ରେଟ୍-1957

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Институт Истории им. И. А. Джавахишвили



МАТЕРИАЛЫ  
ПО ЭТНОГРАФИИ ГРУЗИИ  
Materialien der Ethnographie Georgiens

IX

Издательство Академии Наук Грузинской ССР

Тбилиси—1957

საქართველოს სსრ მინისტრის მიერ აკადემიუმი  
დო-კავაშიშვილის საპ. ისტორიის ინსტიტუტი მისამართზე  
გვიანდება

## ე ა ს ა ღ ა ბ ი

საქართველოს ეთნოგრაფიკათვის

IX

## თიმოთინ ოჩიაური

## ახალი ტიპის საცხოვრიშვილი ნაგებობანი ონის რაიონში

ონის რაიონი აერთიანებს მთისა და ზემო რაჭის სოფლებს. საცხოვრიშვილი ნაგებობის მხრივ მათ შორის გარევეული განსხვავება არსებობს. მთის რაჭაში გაბატონებულად ქვისგან ნაგები შენობები ითვლება, ხოლო ზემო რაჭაში ხისა და პალატანი სახლებია ძირითადად გავრცელებული.

პირველ ჩიგში მთის რაჭის საცხოვრებელ ნაგებობებზე შევწერდებით, ვინაიდან ამ კუთხებში შედარებით უკეთ შემოინახა ძველებური ტიპის საცხოვრებელი ნაგებობანი, ამავე დროს ახალი სახლებიც აქ მეტად მრავლადაა წარმოდგენილი. მათზე დაკავერება საშუალებას მოგვცემს თვალი გაიაღვნოთ იმ პირვეს, რომელიც ძველებურმა რაჭულმა საცხოვრებელმა სახლმ განიცადა ჩვენამდე მოლუსული მისი ძველი ფორმიდან ახლამდე, გამოვალინოთ ის თავისებურებები და სიახლე, რომელიც თანამედროვე სახლებს ახასიათებს, გვიარევით მისწები, რომელმაც ხელი შეუწყვეს ძველის აბლით შეცვლას. ყოველივე აქ თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ზემო რაჭაში გავრცელებული სხვა სახლები წამავა თვალსაზრისით საინტერესო არ არის, მათზე სათანადო ადგილას იქნება საუბარი.

მთის რაჭა ამჟამად, როგორც ცნობილია, სამ სოფელს — ლებს, ჭიორა-სა და გლოლას აერთიანებს. ისტორიული ცნობების მიხედვით ეს ტერიტორია, როგორც არაერთხელ არის აღნიშნული, ძველად სვანეთის კუთნილება ყოფილი, რომ არაფერ ვთქვათ ლ. მრავლის ცნობაზე, რომლის მიხედვითაც ადიდოეთიდგან ვიდრე ეგრისამდე... არს სვანეთი<sup>1</sup>. ს. კავაბაძის მიერ გმირცემული სათანადო საბუთებიდან ჩანს, რომ მე-15 საუკუნეში სვანეთის ეკუთვნოდა მთის რაჭის ტერიტორია, რომელიც შემდეგ სისხლის საზღაურად რაჭის თავადებს — ჯაფარიძეებს დარჩენიათ<sup>2</sup>.

დროთა განმავლობაში სვანი მოსახლეობა, როგორც ჩანს, თანდათან შეარწყმია რაჭველებს, ან მიუტოვებია ეს კუთხე და სვანეთისაკენ გადახიზულა. ასეთი ისტორიული ვთარების პირობებში, ბუნებრივია, რომ სვანური ტიპის საცხოვრებელი ნაგებობანი თუ კაშკები მეტ-ნაკლები სისრულით გვიან ხანამდე შემოინახავდნენ თავს. ყოველ შემთხვევაში, მათთვის დამახასიათებელი ელემენტები უნდა შემორჩენილიყო, რაც ისტორიული საბუთის მატერიალური მხარდაჭერა იქნებოდა.

<sup>1</sup> ლეონ ტი შროვევა, ცხოვრება ქართულთა მეფეთა და პირელთაგანთა მამათა და ნათესავთა, ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლის სული ნუსხა, თბ., 1942, გვ. 19, 31.

<sup>2</sup> ს. კაჭაბაძე, სვანები XV საუკუნეში, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ნაწ. I, ტფ., 1914, გვ. 12—18.



მართლაც, თუ თვალს გადავავლებთ სხვა ისტორიულ ცნობებს, მოგზაურთა დაქვირვებებს, თვით ხსენებულ სოფლებსა და ნასოფლარებს, ეს გარემოება აშკარად გვიცემა თეალში. ვახუშტი ბატონიშვილი თავის „საქართველოს გეოგრაფიაში“ დასახელებული სოფლების შესახებ წერს: „არს გლოლა დაბა მსგავსი ციხისა, კოშკოვან-გოდოლოვან-ზღუდიანი... კვალად გლოლის კევის შესართავს ზეით რიონის სამწრიო არს ჭირა—დაბა მოზღუდვილი და კოშკოვანი, გოდლოვანი: ამას ზევით, ჩრდილოთ კრძოლ, დაბა-არს ლებდი ეგრეთვე ნაშენია<sup>1</sup>. გარდა ამ ცნობისა, გასული საუკ. ოცდაათაან წლებში დიუბუა დე მონპერემ, იმოგზაურა რა ამ კუთხეში, აღწერა სამიერ სოფელი და მიუთითა იმ მსგავსებაზე, რომელიც სვანურ სახლსა და ამ სოფლებში არსებულ სახლებს შორის შემჩნევა. ამასთან ერთად, შემონახულია ამავე აეტორის ალბომში 1833 წლის გრავიურა, რომელზედაც აღმეცდილია ზაშინდელ ლები... ხსენებულ სოფელი მთლიანად ღუროიანი სახლებითა და სვანური კოშკებითაა წარმოდგენილი. იგი თავისი იერით სვანურ სოფელს სავსებით წაგავს. უზრნალ სიმინდების კორესპონდენტიც ლ. მაისურაძე ლების შესახებ წერს: «В селе Геби много двух и трехэтажных каменных домов и шести и семи этажных высоких башен, которые явно свидетельствуют, что гебцы в продолжении многих лет терпели большие нападения и были в страже от соседних горцев. Раньше временно нападали на них то сваны, то лигоры, то осетины»<sup>2</sup>.

1924 წელს ზემო რაჭაში საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა შესწავლის მიზნით იმოგზაურა ფრ. ბაუმბაურემა, რომელმაც ისევე მიუთითა სვანური და მთის რაჭის ძველებური სახლების ურთიერთმსგავსებაზე<sup>3</sup>. ამავე მსგავსებს აღგნენ არქიტექტორები მ. ჯანდირია და გ. ლევავა, რომელმაც საგანგებო მუშაობა ჩაატარეს საქართველოს სხვა მთის კუთხებთან ერთად სვანეთსა და მთის რაჭაშიც<sup>4</sup>.

მოტანილი ცნობები აშკარად მეტყველებენ იმ გარემოებაზე, რომ სოფ. სოფ.; ლებას, კოორასა და გლოლში გვიანობამდე დაცული იყო საცხოვრებელი სახლებისა თუ კოშკების ისეთი ტიპი, რომელიც სვანურს ემსგავსებოდა. ეს გარემოება, ერთი მხრივ, როგორც უკვე აღნიშნეთ, ისტორიულად იყო გამართებული, ხოლო, მეორე მხრივ, ეგულებოდა აღგილობრივ გეოგრაფიულ-სამეურნეო ცხოვრებისა და საზოგადოებრივი ყოფის პირობებს. ეს უკანასკნელი მიზნები მათ ხანგრძლებად თავშემონახვების უწყობდა ხელს. სახელდობრ, მთა აღგილით და მესაქონლება მოითხოვდა აღამინისა და საქონლის სადგომის ერთ ჭერქევშ არსებობას. მტრის შემოსევის შიში კი კოშკურ-ჭერქირული სალების ზემონახულობას უწყობდა ხელს, რაც ძირითადად გასაბჭებამდე ძალაში ჩინებოდა. ამასთან ერთად, მთხორმელთა გადმოცემით, მთის რაჭაში ხანგრძლივი ზამთარი და დიდი თოვლი იცის, რასაც ხის სახლი ვერ უძლებდა, და, ამდენად, იგი აგრძრიგად ვერც გავრცელდა ხსენებულ კუთხეში.

<sup>1</sup> ვაბუშტი ი. აღწერა სამეცნისა საქართველოსა, თ. ლომიურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 161.

<sup>2</sup> Л. Майсурадзе, Гебское сельское общество, СМОМПК, XXII, стр. 216—217.

<sup>3</sup> Dr. Friedrich Baumhauer, Forschungen über die Hausformen in Georgien, Hamburg, 1928, გვ. 73—74.

<sup>4</sup> М. И. Джаплиери, Г. И. Лежава, Архитектура горных районов Грузии, Москва, 1940, გვ. 53—60.



დღევანდელ დებში რამდენიმე დუროიანი სახლი და ერთი მიტოვებული კოშეია შემორჩენილი, ქორასა და გლოლაში კი ძველებური ტიპის სახლები მიღან ე. წ. ქვიტებირული სახლები-ლა მოწყდება.

ხსნებული სამი სოფელი ძევლად მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ადგილობრივ მკვიდრთა გაღმოცემით, განუშევეტელი მტრის შიშიანობა აძულებდა მათ წინაპრებს ერთად, შეჯვალულად ეცხოვრათ. ს. ლების მცხოვრები 86 წლის მიხევილ ხეთისოს ძე ლობგანიძე ვაიმბობს: „დებში წყვიროს აქეთ რაც ხალხი ცხოვრობს, წინათ არ იყო, მერე გაშენებულია. ციხიარის ეძახიან და იქ იყო დუროებიანი სახლები ახლო-ახლო. მაშინ შიშიანობა იყო და საჭირო იყო ციხები. აქ ხის სახლები ძევლად არ იცოდნენ...“ და სხვ მართლაც, ს. ლებში ციხიარის უბანი კველაზე მაღლობ ადგილს წარმოადგენს, რომელიც ერთი მხრიდან, სახსებით დაცულია კლდის მაღალი კალაბორით, რომლის ძირშიაც მდინარე რიონი მიერინება. ციხიარის ეს გეოგრაფიული მდებარეობა ხსნებული სოფლის პირობებში ყველაზე მეტად ხელსაყრელი მტრისგან თავდაცვის თვალსაზრისით.

ფრ. ბაჟმაუერი ხსნებულ სოფელთა დასახლების შესახებ ამბობს: „დებსა და ჭიორაში თუ სახლები ერთმანეთს დაშორებული არიან, სხვაგვრი სურათია გლოლაში, სადაც სახლები ერთმანეთზე მიტუბული და ტერასულადა განლაგებული. ეს აისწერა იმით, რომ იქვე მდებარე მამისონის გადასხვალი სოფლის გამაგრებას მოითხოვს. მდ. ჭანჭახშე საცალფეხო ხიდია აგებული, რომელიც შიშიანობის შემთხვევაში ადგილი ასაღებია. ეკლესიიდან, რომელიც სათვალთვალო ჰუნეტს წარმოადგენს, თითქმის მამისონის გადასაყლამდე მოჩანს გზა.

სხვა სახითაა დასახლებული ახალი გლოლი, სადაც ოდური ტიპის სახლები ერთმანეთისაგან დაცილებულია<sup>1</sup>.

მართალია, დღეს ლები და ჭიორა გლოლისთან შედარებით გაშლილად არის დასახლებული, მაგრამ თქმა იმისა, რომ ეს გარემოება იმთავიდანვე დამახასიათებელი იყო ხსნებული სოფლებისათვის, განხელდებოდა. მჭიდროდ, ერთმანეთის გვერდზე დასახლება ძევლი ლებისა და ჭიორასთვისაც დასტურდება როგორც ძევლ უბნებზე დაკიარებით, ისე მოხრობელთა გადმიცემით, ამასთან ერთად ამავე გარემოებაზე მეტყველებს დიუბუს უკვე ხსნებული გრაფიურაც. ესეც რომ არ იყოს, მეურნეობის ტიპი, გოგრაფიული გარემო და გარეშე მტრის შემოსევის შიში, როგორც ცნობილია, დასახლების გარევეულ ტიპს განსაზღვრავს, რაც თავისოთავად ვრცელდება შემოალნიშნული ორ სოფელზედაც. ერთოდ, რაჭის ეს ნაწილი მაღალ-მთიან რიონს წარმოადგენს, სადაც მიწათმიქმედებასთან ერთად მესაქონლეობას წამყვანი ადგილი ეჭირა. ამასთან ერთად, მტრის დაცემისაგან არც ეს ორ სოფელი იყო დაწლევეული, რაზედაც მიუთითებს ისტორიულ მონაცემებთან ერთად ხალხში დარჩენილი მრავალრიცხვანი გადმოცემები მეზობელ მთიელთა შემოსევების შესახებ. მაგრამ, ვახუშტი ბატონიშვილი იქ, სადაც ჭიორას, გლოლისა და ლების შესახებ ლაპარაკებს, წერს: „ხოლო ჭიდროთს ზევით ეს ადგილი, რომელიც დავსწრეთ, არიან ვითარცა სხვა

<sup>1</sup> თარგმანი ამოღებულია გ. ჩიტაიას ნაშრომიდან — დასახლების ტიპი მთიულეთში, მას. საქ. ეთნოგრაფიისათვის, ტ. VI, თბ., 1953, გვ. 202.



შითის ადგილინი, მოსავლით, ნაყოფით, პირუტყვით, მაგარი, ვაწრებულ შეუძლია ალი შტერთაგან<sup>1</sup> (ხაზი ჩემია—თ. ი.).

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები, ისევე ონგორც ნავებობათა ტიპს, შეიძლება დასახლებასაც აპირობებდა. როგორც ღების, ისე ჭიორასა და გელი გლოლსთვის უცხოა დასავლური ტიპის გაშლილი კარმიდამოიანი დასახლება. შართალია, ლება და ჭიორაში ტერასულად დასახლების ვერ ვხვდებით, მაგრამ ეს გასაგებიცაა—აქ სოფლის მდებარეობა არ იძლევა ამის საშუალებას. თუ დღეს ეს სოფლები შესაძლებლობის ფარგლებში ფართოდაა გაშლილი, ეს ვერანი ხანის მოვლენაა, რამაც თანამედროვე სოციალისტურ ვითარებაში ღრმად მოიკიდა ფეხი. სოფელი განწევ გაიწია, შისი გარე დაუსახლებელი უბნები საცხოვრებლად ათვისებულ იქნა კოლმეურნეთა მიერ. როდესაც ახალ სახლებს აგებენ, ცდილობენ მათ ისე მოწყობას, რომ მოსახლეს წინ კარმიდამი და ეზო ჰქონდეს, სადაც თავსდება ძველებური სახლისაგან გამოცალკევებული სამუშაოები დანიშნულების ნავებობანი. ამასთან ერთად, სახლებს ისე აგებენ, რომ სავალ გზას ქუჩის შეხედულება მიეცეს.

მიწწრაფება გაშლილად დასახლებისაეკნ, საერთოდ, შეინიშნება საქართველოს ისეთ რაიონებში, რომლებიც ცნობილი იყნენ შეიძლო და ტერასული დასახლებით (ხევსურეთი, მთის რაჭა, მესხეთში ქვაბლიინის ხეობის სოფლები—უდე, არალი, ვალე)<sup>2</sup>.

ბუნებრივიად ისმის კითხება: თუ შემციდროებულ დასახლებას ძირითადად აპირობებს ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებანი (განსაკუთრებით მთაში), დღუვანდელ ვითარებაში, როდესაც პირველი ორი ფაქტორი—გეოგრაფიული გარეო და მეურნეობის ხასიათი ძირითადად მაღაში რჩება, რატომ იცვლება ასეთი ეფექტურობით როგორც დასახლების ტიპი, ისე თვით საცხოვრებელ ნავებობათა სახე?

კონკრეტულ მასალაზე დაკვირვება შემდეგს გვიჩენებს: მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიული გარემო უცვლელი რჩება, რაც მთის პირობებში მოიხოეს სახლის ისეთ ტიპს, რომელიც ერთ კერქევშ აქცევს ადამიანის საცხოვრებელსა და საქონლის სადგომს<sup>3</sup>, თანამედროვე ვითარებაში შეიწრაფება საცხოვრებელი ბინის კეთილმოწყობისა და კულტურული ცხოვრებისაეკნ სხენებულ პრინციპს ერთვარად არღვევს; საცხოვრებელი სახლისაგან აცალევებს საქონლის სადგომსა და სხვა სამეურნეო დანიშნულების ნავებობებს, თუმცა ისინი თავის მარივ შესაძლებლობის ფარგლებში კვლავ ურთ სახურავებელ თავსდებიან<sup>4</sup>.

ასევე, მეურნეობის წამყანან დარგები, რომლებიც შეფარდებულია ადგილობრივ გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებთან, მირითადად უცვლელი რჩება და ერთგვარად აპირობებს საცხოვრებელ და სამეურნეო ნავებობათა ხასიათს, მაგრამ სამეურნეო ნავებობებს ვეღარ უთავსებს საცხოვრებელ სახლს. მიწის სიმცირისა და მესაქონლეობის პირობებში, რაც შეიძლო, ტერასულ დასახ-

<sup>1</sup> ვა ა უ შ ტ ი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 161.

<sup>2</sup> ამ შემთხვევაში მოლოდინ იმ კუთხებში ვასხულებ, სადაც საგანგებოდ გმუშობდი საცხოვრებელ ნავებობათა შესწავლის ჩასთ.

<sup>3</sup> სხენებული საკითხის შესახებ იბ. გ. ჩ ი ტ ა ი ა, ხევსურული სახლის სენე, ანალები, I, 1947, გვ. 147.

<sup>4</sup> თ. ო ი ა უ რ ი, ახალი ტიპის საცხოვრებელი ნავებობები ხევსურეთში, მასალები საქონიგრაფიისათვის, ნაკვ. VI, თბ., 1954.



ლებას მოითხოვს, ეს პრინციპი ნაშილობრივ მანც ირლვევა. ამ გარშემოქმედებული კარგად მეტყველებს ხელშრეთის მაგალითი, სადაც შეიჩნევა მიღრეკლება შედარებით გაშლილად დასახლებისა და კარმილაში სხვადასხვა ნაგებობათა განენისაკენ. ამასთან ერთად, საკოლეჯურნე წყობილება, რომელიც ახალ ნაგებობებს წარმოქმნის, ერთგვარად სკვლის კოლეჯურნის სამოსახლოში ნაგებობათა გარევეულ სახეობას; ან დევნის მას, ინდა მის ზომებს საგრძნობლად ამცირებს. ყოველივე ამას თან ერთვის საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლის მომენტი, გარშე შტრის შიშიანობას მოსპობა, რაც მოსახლეობას საშუალებას აძლევს შეიცრო-ტერასული დასახლებიდან გადავიდეს გაშლილ დასახლებაზე. საქართვლოს თიოქმის ყოველ მთიან კუთხეში ჩენ ვეკლებით შესაძლებლობის ფარგლებში მეტნაკლებად გაშლილ დასახლებას, რაც, მართალია, მთლიანად განხორციელებული არა. ამდენად, სოფელს თავისი პირვანდელი სახე ასე თუ ისე შეჩნინილი აქვს, მაგრამ მისან უკვე გამოყოფილია ცალკეულ მოსახლეთა ახლობერი კარმიდამოიანი სახლები. მაგ., პირიქით ხევსურეთში სოფ. შატილი, რომელიც ცნობილია როგორც ერთი მთლიანი შეკრული ციხე-სოფელი, დღეს უკვე ვეღარ ინარჩუნებს თავის ძეველ სახეს. მიუხდავად ვიწრო მდებარეობისა, მის გარეთ დაბლა ხეობაში უკვე გაჩნდა ახალი, ერთმანეთისაგან გაცალებული, კარმიდამოიანი სახლები.

როდესაც საქართველოს სხვდასხვა კუთხებში თანამედროვე დასახლებისა და სამოსახლოს მოწყობის საკითხს ვეხებით, ერთი გარემოება იქცევს უურალებას: საქართველოს ბარის რაიონებში, კერძოდ იმერეთში, ჯ. რუბაძემ დაადგინა ჩენ მიერ ზემოთ აღწერილი მდგომარეობის საწინააღმდეგო ვითარება; სახელდობრ, აქ იგრძენობა ტენდენციის საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ერთ კერძევეზ მოქცევისაკენ. ეს გარემოება აეტორის მიერ მიჩნეული იყო როგორც მისწრაფება სახლის ქალაქებით გეგმით მოწყობისაკენ, რაც მისი თქმით სოფლის თავისებურ გაშენებაზე მიუთითებს. როგორც ჩანს, ჩენ აქ გვაქვს მიღრეკილება სოფლის ქალაქებ ყიდაზე მოწყობისაკენ.

მთის პირობებში (ხევსურეთი, ფშავი, მთის რაჭა) ანდა მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში, სადაც საგანგებოდ ვიმეტავეთ (მესხეთის სოფლები—არალი, უდე), ამ მხრივ გარევეული გარდამავალი საჯეხურია, თუ შეიძლება მას ასე ეჭვდოს. აქ ჩენ თანამედროვე ვითარებაში ისწოთ მდგომარეობა გვაქვს, როგორც ეს ძირითადად ბარის საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი, კერძოდ შეიმჩნევა მისწრაფება გაშლილი კარმიდამოიანი დასახლებისაკენ, საცხოვრებლისაგან სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა გამოცალებებისაკენ.

ასეთივე მდგომარეობა დასტურდება ღების, ჭიორასა და გლოლის მიმართაც, სადაც კოლმეურნენი ცდილობენ გაშლილად დასახლდნენ, გაიჩინონ კარმიდამო.

\* \* \*

მთის რაჭის საცხოვრებელ ნაგებობათა შესახებ არცთუ ისე ვრცელი ლიტერატურა არსებობს. ეს განსაკუთრებით ითქმის ახალი ტიპის ნაგებობაზე. ისტორიული მონაცემები თუ მოგზაურ-კორესპონდენტთა აღწერილობანი, როგორც ზემოთ დაინახეთ, ძირითადად ძეველებურ დურიიან სახლებს შეეხება; ასევე, ძეველებური საცხოვრებელი სახლისადმია მიძღვნილი იყ. ჯავახიშვილის თაოსნობით შეკრებილი მასალები სენატებულ კუთხეში საცხოვრებელ ნაგებობათა შესახებ (მასალა შეკრებილია 6. რეხვიაშვილის



მიერ)<sup>1</sup>. ძეველ სახლთან ერთად ახალ სახლებს მეტად გაკვრულ კულტურულ ს. მაკალათია მთის რაჭისაღმი საგანგებოდ მიძლენილ წიგნშექაულების ბური დუროიანი სახლის ღრული რიცოლობის შემდეგ იგი იძლევა მის მიერ ადგილზე დადასტურებულ სახლთა ტიპოლოგიას: 1. დუროიანი სახლი, 2. დუროებმოშლილი იმავე გეგმით ნაშენი ორსართულიანი სახლი და 3. ქილა ჯურ გეგმაზე აშენებული სახლები. სამუშაროდ, ავტორი არ ჩერდება, გარდა დუროიანი სახლისა, არც ერთ მის მიერ დადგენილი სახლის ტიპზე, არ გვიჩვენებს ძეველების სახლზე გადასვლის კონკრეტულ ფაქტებს, ცვალებაღობის გამომწვევ მიზეზებსა და გზებს. ამასთან ერთდა, იგი არა ფრეს ამბობს სამეურნეო ნაგებობათა შესახებ; დუროიან სახლთან დაკავშირებით ასახელებს მხოლოდ „დუფანს, ხაფიცხებელს, ბელელს“ ამდენად, მისალას გარკვეული სქემატურობის დაღი აზის

არქიტექტორები მ. ჯანდიერი და გ. ლუეავა მთის რაჭის საცხოვრებელ ნაგებობებს სამ ტიპად ყოფენ: 1. დუროიანი სახლი, რომელიც უკვე ქრება. ამავე ტიპს მიაკუთხნებენ გადაკეთებულ დუროიან სახლებს, რომელთაც უკვე მოშლილი აქვთ მეოთხე დუროებიანი სართული. 2. აიგნიანი ძეველებური სახლი, რომელსაც შემონახული აქვს ციხე-სახლის ელემენტები, მაგრამ სუსტად. 3. ახლებური, ორსართულიანი აიგნიანი სახლი, რომელიც ვარბობს დასახელებულ სახლთა ტიპებს<sup>2</sup>.

ამ ტიპოლოგიას დადგრინისას ხსნებული ავტორები კონკრეტულ სახლთა აღწერილობიდან გამოდიან; ცდილობენ გაარკვიონ მიზეზები, რამაც გამოიწვია ძეველებური სახლის შეცვლა; აჩვენონ ძეველებური სახლის ახალი ქცევის გზები. სახელმძღვანელო, დუროიან სახლებში მეოთხე სართულის მოშლის მიზეზად მიიჩნევთ იმ გარემონტებას, რომ მტრის შიშიანობის მოსპონსობა ამ სართულს თავითი დაინიშნულება დაუკარგა და, ამდენად, ზემდეტად აქცია. შემდეგ საფუძურად მიიჩნევთ ხსნებული სახლების ისე გადაკეთებას, რომ მათი ცნობა ჭირს. შემორჩენილი აქვთ მხოლოდ ზოგიერთი ძეველილი მომდინარე ელემენტი და, ბოლოს, მთლიანი ინგრევა ძეველებური სახლი, რომლის საფუძველზე შენდება ახალი ტიპის სახლები, რომელიც დღევანდელ ვათარებაში ძირითად საცხოვრებელს წარმოადგენს<sup>3</sup>.

ხსნებული ავტორები საკითხს ძირითადად არქიტექტურული თვალსაზრისით უდებდან, ამდენად ნაჩერები მათც არ არის, თუ რანაირად მივიღა რაცველი კონკრეტურ ახლებურ სახლამდე, რა შემორჩი ამ სახლს ტრადიციული, ადგილობრივ ცოდნა-გამოცდილებაზე დაფუძნებული, ან რა დამატა მას ახალი.

ახალი საცხოვრებელი ნაგებობები აღწერილ, აზომილ-აგეგმილ და ფიქ-სირებულ იქნა ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ 1950 წელს. ეს მასალები ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია.

1953 წელს ახალ საცხოვრებელ ნაგებობათა შესწოვლის მიზნით ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების მიერ ონის რაიონში სა-

<sup>1</sup> ეს მასალები გამოუქვეყნებელია, ამაგან დაცულია ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებიში.

<sup>2</sup> ს. მაკალა თი ა, მთის რაჭა, 1930, გვ. 39—44.

<sup>3</sup> M. N. ლაჟალიერი, Г. И. Лежава, დასახლებული ნაშრომი, გვ. 60.

<sup>4</sup> მ. ჯანდიერისა და გ. ლუეავას დასახლებული ნაშრომი, გვ. 55.

განგებოდ გაიგზავნა ექსპედიცია, რომლის მიერ შექრებილ მასალებში დანობა წინამდებარე წერილი.

\* \* \*

მთის რაჭის საცხოვრებელ ნაგებობებთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, მშენებლობის ტექნიკაზე შეექნერდებით. მთხოვნელთა გადმოცემით მთის რაჭანი ძირითადად ქვის სახლებს აგებდნენ. დიდი თოვლი იცის, ხის სახლი არ დგება, კუტი ე. ი. ქვიტკირის სახლი ჯობიათ—მოგვითხრობენ ღებულები. სახლებს ადგილობრივი ოსტატები აგებდნენ. ღებული, კიორასა და გლობლიში საშენი ქვა უხვად ნიმარვებოდა. ღებული, მაგალითად, უპირატესობის აძლევდნენ ე. წ. მტრიცასუერ ქვას. იგი, მიუხედავდ იმისა, რომ რბილი არ არის, კარგ დასამუშავებელ ქვად ითვლება, როგორც უნდა ისე გატესს კვირით ხელოსნი. არის წითელი სათალი ქვა, მაგრამ იგი მცირე რაოდენობით მოიპოვება და ძირითადად კარ-ფანჯრებისთვის ჩმარობენ. რაც შეეხება სპონლით, მას კირად წვავენ და ბურის თაღებიც გამოყენოთ.

ძელად, როდესაც სასახლე ადგილს შეარჩევდნენ, მოასწორებდნენ და შემდეგ მოკრიდნენ ბალავერს (ს. გლობლაში ქალამანი ეძახიან) —საძირკველს, რომელიც დახლოებით ერთი მეტრი სილტმისა იქნებოდა. ქვიტკირის სახლები კიორელების გადმოცემით დაახლოებით ერთი ზომისა უნდა ყოფილიყო; მისი ფართობის მოცულობა 14 არშინიმდე აღწევდა. „შიგნი გული თუ 12 არშინი იყო, კედლიანად 14-ამდე აღწევდა, თუ 10 არშინი, მაშინ 12 არშინზე მეტი აღარ იქნებოდა“.

როდესაც ბალავერის ამოშენებას დაიწყებდნენ, ჩატუთ ღვინოს გამოიტანენ და საძირკველს დალოცავდნენ:—ლმერთო გვაშეველე, ლმერთო ბედნიერი სახლი გამოგვიყვანე, დოვლათი და ბარაქა მიეცი, ვაჟიშვილის სიმრავლე და სიცოცხლე დაუმკიდრეო. საძირკველის ამოშენების დროს ნათესავები და მოკეთები მოვიდოდნენ<sup>1</sup>. თან ბალავერი ამოქავდათ, თან სვამდნენ ილოცებოდნენ და მლეროდნენ:

სახლო სალხინოდ დადგმულო,  
აშენებულო ქვისაო,  
სახლად მიტომ აგაშენე  
არ ჩამოხვიდე ძირსაო.  
ლმერთო ნუ მოშლი ამ სახლში  
ლხინსა, ქორწილსა, სადილსა... და სხვ.

აქვე მლეროდნენ აგრეთვე ცნობილ სიმლერასაც:

ჩევნი მასპინძლის მარანში  
ალვის ხე ამოსრულიყო,  
თავში მოესხა ყურძნი,  
ბოლომდე გამოსრულიყო,  
მისი დამთვრალი ბიჭები  
ტალახში ამოსერილიყო.

<sup>1</sup> გარდა ნათესავ-მოკეთებისა, სახლის შენების დროს მშენებლებმაც იცოდნენ დამარება—როგორც მუშა ხელით, ისე სოჯახა საქმეებში (პურის გამოცხობა, საქონლის დაბინავება—და ა. შ.).



მი დღეს ბალავერდის ამოუკანა უნდა დაემთავრებინათ. ბალავერდის კონცერტი 30 კუთხეში ვერცხლის უზალთუნებს ჩააყოლებდნენ — ილბალი და ისტორიული ისტორიას, სახელში სიმღიდორე დებულებებისათ.

კედლელს ქვითა და კირწყლით მოიცავნდნენ. კირწყალი შემდეგნაირად შეაცლებოდა: ლისახა (სილა) და კირს ერთმანეთში აურევდნენ ისე, რომ ლისა კირზე ორ ზომაზე მეტი ყოფილიყო და შემდეგ წყლით გააზავებდნენ. მშენებლების დროს ასე შემზადებულ კირწყალს ქაჭჩით კედლელზე ასხამდნენ, როთაც ძებული შეუძლია დარჩენილი აღვილები იქნებოდა.

კელის აგების დროს ძირითადად შემდეგი იარაღები და ხელსაწყოები იმპერიუმიდან: ლარი, შვეული, ქაფია, შიშხა და კვერი. ლარი, შვეული და შიშხა კედლისა და მისი კუთხების სისწორის დასაცავად იყო საჭირო, ქაფიასა და კვერს კი კედლის აგების დროს სმარიობდნენ. როდესაც კედლებს კარებისა და ფანჯრების ადგილამდე მოიყავნდნენ, კარ-ფანჯრის ჩარჩოებს ჩადგამდნენ და მათ კედლებში ჩატაშულევდნენ<sup>1</sup>. ერთი სართულის მოთავების შემდეგ კედლებზე დირებს გამუშობდნენ, ზედ მერებს — მრგვალ ხებს მიჯრით დაალაგებდნენ, რაზედაც ჩალას ან წვლილ ტოტებს დარიდნენ. შემდეგ მიწას მოაყრიდნენ და დატკეპნიდნენ. ამის შემდეგ იწყებოდა შეორე სართულის აგება. ასე აშენდებოდა სამ ან თოხსართულინი სახლი, რომელიც თავში ოდნავ ვიწროვებოდა და ზედა სართულებიც შედარებით დაბალი იყო. როდესაც სხლს ბოლომდე ააგებდნენ, მას დაადგებმდენ სახურავს, რომელიც შემდეგნაირად იმართებოდა: სატვირთის ხის (იგუე ანუ გლოლაში) გასდებად, რომელიც მთელს სახურავს მაგრებდა, კედლესავე ამოაყოლებდნენ, რომელიც წვერში ვიწროვებოდა. გადებდნენ სატვირთის ხეს, რომლიდანაც კედლებამდე მარწეხებს — მრგვალ, შედარებით წვრილ ხებს გააწყობდნენ. მარწეხებზე გადებდნენ საქცევლებს (პორიზონტალურად გადებული წვრილი ლატნები), რომელშედაც ურა-ურა ყავარს დაალაგებდნენ. ასე დაწყობილ ყავარს ზემოდან წვრილ, გრძელ ე. წ. საქოლის ყავარში მოაწყოდენ და ზედ საქოლისავე ქვებს დააწყობდნენ, რათა ქარსა და უაშინობას ყავარი არ იშათა, არ მოიალება.

ამგვარი ტექნიკით შენდებოდა, საერთოდ, დუროიანი და ჰეიტერის სახლი (ჩაბ. 1).

სსენებულ სახლებში (ს. ს. ლება, კორა) შემდეგნაირად იყო სართულების მიხედვით საცხოვრებელი ოჯ სანერტონე დანიშნულების განყოფილებები გან-  
ლაგებული: პირველი სართული ორივე ტიპის სახლში ბოსელს წარმოადგენ-  
და, რომელსაც ზოგ შემთხვევაში შეიძლება პატარა კვებობით — სარკმლები  
ჰქონდა დატანებული. ბოსლის იარაყი მოყერილი იყო, ე. ი. იგი დაგებული  
იყო შეა-შეა დახეტქილი ხს მრგვალი კერძოთ. შეაში ბოსელს გაუკეთებ-  
დნენ ხაზძვაჭახს, — ლარის მსგავსს, საიდანაც საქონლის „მწურა“ გარეთ გამო-  
ლიოდა. ბოსლის კედლებზე ბავას მიამაგრებდნენ. ბოსელშივე ეწყობოდა  
საცხოვრე, საბორუ, საცხენე და ზოგჯერ ღორის სადგომიც. ხშირად ბოსელ-  
ში ე. წ. ხაკარტოფილე — კარტოფილის შესანახად ფიცრით გადაკედლილი  
ბავას მსგავსი მოწყობილობაც ჰქონდათ გამართული. ხაკარტოფილე ძირითა-  
დად შედგებოდა სამი განყოფილებისაგან: ერთში ღორის საკმელო უბარვისი



კარტოფილი იყო მოთავსებული, მეორეში აღაშიანის საჭმელი, ხოლო მესამეში სათესლედ ვაღადებული.

ბოსლის კარი ხის ურდეულით, ე. წ. ხაგდოლით იყო ტებოდა. ბოსლის კარის კედელში დატანებული ჰქონდა ხადულზე — ქურდის ან სხვი ავი განზრისახით მისულისათვის ზემოდან მდფულარე წყლის დასასმელად.

პირველსაც სართულზე შეიძლება მარანიც ყოფილიყო მოწყობილი, ბოსლის წინ, შესასელელთან ან გვერდზე. მარანი მთან რაჭაში ხშირი მოვლენა იყო. მოუხდავად იმისა, რომ უწერის ზემოთ ვაზი არ ხარობს, მთის რაჭის მცირდნი ქვევრებს მოტანილი ღვინით აესცდნენ. მაგალითად, გლოლის მცხოვრებ ბელაშვილებს, რომელთაც სამოცსულიანი გაუყრელი ოჯახი ჰქონდათ, წელიწადში ხუთას ფუთამდე ღვინო უდგებოდათ ობის რაონის სხვადასხვა სოფლებში ნაყიდი ვენახებისაგან. აქე უნდა შევნიშნოთ, რომ მარანი მხოლოდ ღვინის შესანახვად არ იყო განკუთხილი, მასში სხვადასხვა საზამთრო პროდუქტებიც ინახებოდა (რძის ნაწარმი, წნილეული და სხვ.) (ტაბ. 2).

ბოსლიდან მეორე სართულზე საგანგებო ერდოთი აღიოდნენ. როდესაც ლამე პატრონი საქონელს დააბინავებდა, ბოსლის კარის ხაგდოლს გაუგდებდა და ხსნებული ერდოთი, რომელსაც კიბე ჰქონდა მიღდმული, ე. წ. საჯალაბო ხახლში ავიდოდა. ხაჯალაბო ხახლი იჯახის საცხოვრებლად იყო განკუთვნილი. იგი მთლიან, გადაუკედლა რთას წარმოადგენდა, რომელსაც ფანჯრების ნაცვლად პაწია სარქმელები — კვებობი ჰქონდა დატანებული. რთასის შუაგულში მოწყობილი იყო ყვერბი, რომელშიც ერთი ან ორი რკინის ჟრა იდგა. კერის თავზე გამრთული იყო ნარტულა თვალისაფარი. საგანგებო ხავამურით საჯალაბო ხახლიდან კვამლი მომდევნო სართულზე ადიოდა. როგორც დუროან, ისე ქვიტკირის სახლს წინ უსათუოდ კარხელა ჰქონდა მიღდმული. კარსელ მომტრო, რთასის მსგავსი ნაგებობა იყო, მას სამი საკუთარი კედელი გააჩნდა, ხოლო მეოთხედ სახლის კედელი იყო გამოყენებული. კარსელიდან შედიოდნენ საჯალაბო სახლში. აქედანვე შეიძლებოდა გასვლა ბეღელსა და დეფანში, რომელიც ასევე მოღმული ჰქონდა სახლს. ბეღელში ძირითადად ჟურულს ინახავდნენ. მას თავის ზიგნით დანაყოფები გააჩნდა სხვადასხვა მარცვლეულის შესანახვად. დეფანი პატარა რთას წარმოადგენდა. მასში ინახავდნენ როგორც სხვადასხვა საოჯახო ავეჯსა და ინვენტარს, ისე საჭიროების შემთხვევში გამოყენებული იყო, როგორც ნეულ-დელოფლის საწოლი. შესაძლებელია, სახლს მიშნებული ჰქონდა ხაფუც-ნიძელი მარცვლეულის მშენებ გასახმობად, გასაფიცხებლად.

მესამე სართული თუ საცხოვრებლად იყო გამოყენებული, ყვერბს მასაც უკეთებდნენ, თუ არა და მასში საოჯახო და სამურნეო ინვენტარს, ავეჯსა და პროდუქტებს ინახავდნენ.

მეოთხე სართული დუროებიანი იყო. მას საომარი დანიშნულება ჰქონდა. ძელად ამ სართულზე აუარებელი ქვის ლოდები ეყარა, რომელთაც სხვა საბრძოლო იარაღობან ერთად მტრის შემოსევის შემთხვევაში იყენებდნენ.

სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებიან, რომელთა შესახებ უკვითესობის აუარებელი რაჭის ყოფაში დასტურდება ხაბელი, მაჩა, პურის საცხობი ლუმელი. საბელში საქონლის საკვები მარავი ინახებოდა. ვეიან ხანებში, როდესაც საცხოვრებელ სახლს ბოსელი გამოყოფი, საბძელი მის მეორე სართულზე მოექცა. ეს ნაგებობა ძირითადად ჭოხ-ბოსელის საშელით არის ცნობილი.



საინტერესო ნაგებობას წარმოადგენს მაჩა. მას კილოს მეტყველებული მართვენ, რომელშიც დროებით, საბოლოო დაბინავებამდე იწვევულ კორპუსს ნაძლევსა და სამეცნიერო იარაღებს. მაჩა კონსტრუქციულადც და დანიშნულებითაც ერთგვარიდ ხელსურულ კალოს წააგებს. იგიც კილოს მსგავსად სამ მხრივ ქიდლან, ხოლო წინ ლიად დატოვებულ ზემოდან გადაბურულ ნაგებობას წარმოადგენს.

რაც შეეხება პურის საცხობას, იგი რამდენიმე ოჯაბას საერთო გააჩნდა, ანდა იგი ერთი ოჯაბის კუთხონლება იყო და მეზობლები სარგებლობდნენ. ბაუმანიურის აღწერილი აქვს ასეთი ღუმელი — 1924 წელს. ჩევრ მიერ დადას-ტურებული სათანადო ნაგებობანი იმ შეჩივე სხენებული ავტორის აღწერი-ლობას გარეცეულად ემთხვევა. ბაუმანიური წერს: „მეტად ორიგინალურია პურის საცხობი ღუმლები, რომლებიც მკეთრად განსხვავდებიან ქართლური ღუმლებისაგან (გულისხმობას ალბათ თორნეს — თ. ო.). ისინი ჩვეულებრივ შეა-ქრის არიან გამართულნი. ეს ღუმელი მიზის ზედა ნაგებობაა, გრანიტის ლო-დებისაგან ნაშენი, რომლებიც დაიყვრინებულია თიხით. წვიმისა და თოვლი-საგან დაცვის მიზნით ღუმლის თავზე სახურავი გამართულია“<sup>2</sup>.

გარდა აქ ნამოთვლილი სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებისა მთის რაჭაში დასტურდება საგანგებო ქოხების არსებობა საზაფხულო სამთო საძოვებსა და სათიბებზე. ეს ქოხი, რომელსაც ჯარგვალს (ღები) ან ხულას (ზემო რაჭა) ეძახდნენ, ძირითადად ხინ ნაგებობა იყო, ყვერთ ან საგანგებო ბალანსით გადახურული. იშვიათად იცოდნენ ქვის ნაგებობა. მა ქოხებში ჩინა დუშეტებს ინახვდნენ და მშეგმისი ქალები იძინებდნენ. ქოხში გამართული იყო კუერბი, სადაც საჭმელსა და კუელს ამზადებდნენ, კედლებზე მოწყობილ თაროებზე კი სხვადასხვა საჭირო ინვენტარი იყო დალაგებული.

ასეთი იყო ძირითადად მთის რაჭაში ქველად გაერცელებული სახლები აგებდისა და მისი შიდა განლაგების თვალსაზრისით.

ონის რაიონში, როგორც უკვე აღვნიშვნეთ, გარდა ქედის სახლებისა, რომელებიც ამ რაიონის მთან ზოლს ასასიათებს, შედარებით დაბლა ძირითადად ზის სახლი იყო გამატონებული (ტაბ. 3). ხის ჟელლებური სახლის აგება შემდეგნაირად ხდებოდა: უპირველეს ყოვლისა უნდა დაემზადებინათ სათანადო მასალა. ხის საუკეთესო მასალად თელა ითვლებოდა, ვინაიდნან ძალინ დიდხანს ძლებს, ლამაზია და ადგილი დასამუშავებელი. ამ მასალის სიმცირის გამო მას კარ-ფანჯრებისთვის მარც იყენებდნენ გვიან ხანებში. გარდა თელისა, ხმარობენ ნაძეისა და ფიჭვის მასალას. ხის სახლის მშენებლებიც ადგილობრივი იყვნენ. ისინი ხის კარგ ხელოსნებად ითვლებოდნენ. ბაზმუშავერი რაჭვილ ხელოსნებს საუკეთესო ოსტატებად მიიჩნევს ლაზების შემდეგ<sup>2</sup>.

ხის შენობას ბალაგვერი არ კირტვებოდა. ჯერ დაწყობდნენ საძირკე-  
ლებს—მხსევილ ხეებს, რომელთაც სათანადო ხელსაწყოთ (ჩულუხი, იბზირი  
ანუ პირთხელი) ჰყლებს ამოულებდნენ, რათა ისნი ერთმანეთში ჩამოვარიყო,  
გადაკვარნულიყო. ამის შემდეგ დაგდამღნენ აფრებს, რომელთაც პირთხელითვი  
გვერდებს ამოულებდნენ ფიცრების ჩასაჯდომად. თუ ფიცარი მოკლე იყო და  
სახლი დიდი, მაშინ შეტი აფრები იყო საყირო. აფრის დანიშნულებაა კიდ-  
ლის დამგრება, რომ იგი აქეთ-იქით არ გადაიიდეს. ბოლობებში თიკრიბი

<sup>1</sup> Fr. Baumhauer, ପ୍ରାଚୀନ. କୁର୍ମ., ୩୩. ୭୫.

3030, 83. 67.

ჰადაიყელებოდა, ერთმანეთში ჩაჯდებოდა, გადაეკტავდა ერთმანეთს უფრო მიტვე უ... რად სახლის კუთხე იქმნებოდა. როდესაც კედელი სასურველ სიმაღლეს ზეასაუკეთეს გადა- წევდა, მერე სარტყლებს დაადგებდნენ. სარტყლები მსხვილი ხეები იყო, რო- მელთაც მსგავსად საძირკვლებისა ყულ გაუკეთებოდა და ერთმანეთს გადა- ეკდობოდა. სარტყლებზე შემდეგ გაიღებოდა დამთავრების კოჭები, რომლებ- ზედაც ფიცარს დააწყობდნენ. ამგვარად გამართულ კერძე ერდა მოიკრე- ბოდა კვამლის ასასვლელად. სწირ შემთხვევაში ფიცრებს არც დააკრავდნენ ზემოდან და ოთას მხოლოდ ყავრის სახურავი ჰქონდა კერად. დირექტა და სარტყლებზე ეყრდნობოდა ხაყვავის ბოძები (საყვავე იგივე სატეინეს ხე, იგივე აჩეა მთის რაჭაში), რომლებზედაც ხაყვავეს გადებდნენ. ხაყვავეზე მაგრადებოდა მარტუხები, რომლებიც დამთავრების კოჭაშიდე დადიოდა. მარ- ტუხებზე ხაყვილებს გააწყობდნენ, რომლებსაც შემდეგ ყავრით დაფარავდ- ნენ. ყავარს ამაგრებდა ლოფონჩანი — გრძელი, წვრილი ყავარი, იგივე საქო- ლი, რომელზედც შემდეგ საქოლის ქვებს დაალაგებდნენ. ამ ტექნიკით შენდებოდა ფიცრული დარბაზები, რომლებიც ძველად გაბატონებული იყო ზემო რაჭაში<sup>1</sup>. ეს დარბაზები, როგორც დაცნახეთ, ერთსართულიან იყო. ისევე როგორც დურიანი სახლს, მასაც შეაში ყვერბი ჰქონდა გამართული ოჯინჯალით. ფიცრული დარბაზისავე დამზადასიათებელი იყო ქოჩედი, რომე- ლიც სახლის ცალ მხარეს კედელზე იყო გამართული. ქოჩედს იყენებდნენ სურ- სათიასა და სხვადასხვა საოჯახო ინვენტარის შესანახავად. ფიცრის დარბაზებს, მთხოვნელთა გადმოცემით, გააჩნდა ორნაშენტირებული დედაბოძი, რომლის დამოწმება ექსპერიციამ აღიღილე ვერ შეძლო.

სამეურნეო ნაგებობანი ზის სახლებს გვერდზე ჰქონდა მიღებული ან ცალკე კარმიდამოში იყო გამართული. თუ ბოსელი სახლს ქვემოდან არ ჰქონდა შედგეული (ეს ხდებოდა დაფურდების შემთხვევაში), მაშინ ცალკე აგებდნენ. ე. წ. ქოჩ-ბოხელს, სადაც პირველ სართულზე საქონლის სადგომი იყო მო- წყობილი, ხოლო მეორე სართული საბძლის დანიშნულებას ასრულებდა. აქ ინახავდნენ საქონლის საკედ მარაგს. სახლის გვერდზე ან კარმიდამოში, სადაც უფრო მოსახერხებელი იყო, მარანი მართავდნენ. მარანი უკედლო ნაგებობას წარმოადგენდა. მიწაში ჩიტორილ ჭურებს მხოლოდ ფარდულს გაუკეთებდნენ ზემოდან, რათა ქვევრებს თოვლი და წვიმა არ დასდენოდა ან მზის სხივი არ მოცველოდა. გარანშივე იყო მოწყობილი ხის საწნახელიც. ზოგჯერ მარანი სახლის სახურავებეშიც თაქტებოდა. (ტაბ. 4).

ცალკე ეწყობოდა ბელელი, რომელსაც შეინით სხვადასხვა განყოფილე- ბები ჰქონდა სხვადასხვა ჯიშის ჰურეულის შესანახავად. სალორეს აგებდნენ ბოსლის გვერდით, რომელსაც ზოგჯერ საქათმე ჰქონდა თავზე დაღებული. რაჭის ამ კუთხეში მოწმდება მაჩას არსებობაც, რომელსაც იგივე დანიშნუ- ლება ჰქონდა, რაც მთის რაჭაში.

ზოგ შემთხვევაში სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი საცხოვრებელი სახლის კერავებაც შეიძლება ყოფილიყო მოთავსებული. სოფ. ირის მცხოვ- რები 88 წლის რუსულან სოფრომის ასული განიძე გვიაშბობს (მასალა ჩა-

<sup>1</sup> ა. გიკვიძეს აღწერილი აქც საცხოვრებელი სახლი ქვემო რაჭაში. რომელიც გამოქ- ვენებულია ენიმეს მომზადის მე-5 ტრამში სათაურით „შეა-სახლი“ რაჭა-ლექსუმში. ჩეკნ მიერ ალტერილი-ბის დარბაზები პარალელს პოლონებს მასთან როგორც აგებისა და მოწყობის, ისე შედა გვემისა და დანიშნულების მიხედვით.



შურილია 1953 წ.): „როდესაც გამოვთხოვდი, აქ დარბაზი იყო. შურილის ტერიტორია კვინდათ. ჯერ დეფანში შემოვიდოდით და მერე სახლში. იმ დეფანში ჩამოავარი იყო და ჰურებიც იქვე იყო ჩაყრილი. სტუმარს იქ უნდა გავვლო, სადაც ჰურები იყო. სახლში ცალმარეს იატაქზე ჰერები იყო გაწყობილი და ზიგ ცხენები გვება. ორი ცხენი გვყავდა და ორივეს სახლში ვინახავდი. — ცხენი რომ სახლში არ იყოს, დაყრულდებო, — იკოდნენ. ცხენი ვისაც ეყოლებოდა, სახლში უნდა ჰყოლოდა. ქათმებისათვის სახლში ჯოხები იყო გაეთუბული და იმაზე ისხვნენ.

ბოსელი ცალკე იყო. ვინც მისიკთანა ადგილის ესახლა, რომ გვერდი (ფურტობი) იყო, ბოსელი ქვეშ გამოიტებოდა, თუ არა ბოსელზე ჭიხს და-ადგამდნენ. კალთ ცალკე იყო. ჩაჩა ვისაც შეეძლო დაადგამდა, ვისაც არა და არა.

ნეფელ-პატარაძეალს ზოგჯერ ბელლის თავზე დააშევენდნენ. ვისაც შეეძლო პატარა ოთახს გამოართოვდა.

დარბაზს დიდი დედაბორი ჰქონდა, დატრელებული ძალიან. შეაცეცხლს თავზე ოჯინჯალი ჰქონდა. კერძებს გავწყობდით კელლიდან და იმას ქორედს ვეძახდით. ვინახავდით ზედ რაც გვინდოდა. ქათმებიც შესხებოდნენ და ზედ კერტებს სტებდნენ.

ნებმაბდას ძეირად ვინწეს ჰქონდა კარგი სახლი. კრიმიტით და ცინკით არავის ჰქონდა დასურული. შეუცემელი ჰქონდა ყველას და სხვ.

ხის სახლს, ქვის საბაზოთ შედარებით, უპირატესობას იმ მხრივ ანიჭებდნენ, რომ მისი სხვაგან გადატანა ანდა საშენ მასალად გამოყენება შეიძლებოდა. მას შემდეგ, რაც მასობრივი დაიწყო ძეველებულ სახლთა გადაკეთება თუ ახლის ავება, ძეველი დარბაზები ქვისაგან ნაგებ ქვედა სართულს დაედგა ოკენე, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად რესტრაგრირებოთ სახით.

სახლის მესამე სახეობად მასალის მიხედვით ე. წ. პალატიანი ხახლი გვევლინება, რომელიც ტელად ნაკლებად იყო გვარულებული რაჭაში. პალატიანი ისეთ სახლს ეწოდება, რომელსაც პირველი სართული ქვისაგან ნაგებია, ხოლო მეორე ფიცირისა აქვს. მისი აგებისა და გადახურვის ტექნიკა ას განსხვავდებოდა ჩენებ მიერ უკვე აღწერილი სახლების აგების წესისაგან. ქვის კედლებიცა და ხისაც ადგილობრივი ცოლნა-გამოცდილების მიხედვით შენდებოდა, ოლინდ, როდესაც ქვის პირველი სართული მოთავდებოდა, დირეს ნაცვლად კოჭებს დაადგებდნენ. კოჭები ორგვარია — სიგრძისა და სიგანის. სიგანის კოჭები სიგრძისას ამაგრებს, შემდეგ ფიცირები გაიწყობა, შევი იატაკი გატეთდება, რაზედაც იატაკს დააგებენ და ამის შემდეგ დგამენ ხის მეორე სართულს. პალატიანია სახლმა იირითადად შეცვალი ხის სახლი, იგი ამებად ზემო რაჭაში გაბატონებული სახლის ტიპად შეიძლება ჩაითვალოს (ტაბ. 5).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მანამდე კანტი-კუნტად მიმღინარე სახლის გაუმჯობესების ცდებით თანამდებობა მასიური ხასიათი მისი, რამაც განსაკუთრებით ფართო გასაქანი ჰქოვა საკოლმეურნეო წყობილების გაშტაციცების შედეგად. რევოლუციის შემდგომი პერიოდის სიმწელეების გადასახვის შემდეგ, ორდესაც ადგილზე ფართოდ გაიშალა სწავლა-განათლების ქსელი, გაყვანილ იქნა სააკტორობილო გზა, რითაც განამდე მოწყვეტილი კუთხები კულტურულ ცენტრებს დაუკავშირდა, დაარსდა კულტურულ-ადგინისტროგიული დაწესებულებები, ადგილობრივი შეიქმნა ინტელექტუალი



რაჭელი სახლის ცელებადობა თავდაპირეულად, ისევე როგორც ამას ხელშეკრეთის სინაძღვილეში აქვთ ადგილი<sup>1</sup>, საცხოვრებლად განკუთვნილი ბინის ფართობით დაიწყო. უპირველს ყოვლისა, როგორც ეს უკვე თავის დროზე აღნიშნული ქვითნდათ ჯანდარმერსა და ლეგიანს, დუროვბიან სახლს გაუცემდა და დუროვბიან მეოთხე სართული, დაპირება რა მან თავისი დანიშნულება. დუროვებმოშლილი სახლი ძირითადად სამსართულიან ე.წ. ქვიტკირის სახლად დარჩა. ეს ვითარება შედარებით ადრეულია და მას სახლის შიდა გეგმის მიხედვით დიდი ცელებადობა არც გამოიწევება. შემდეგში თვით ამ სახლმა განიცადა ცელებადობა დუროვბიან სახლთან ერთად.

ეს ცვალებადობა გამოიხატა სახლის შიგნით, საცხოვრებლად განკუთვნილი ფართობის გადაეკეთებაში. ამგვარად გადაკეთებული სახლები თავდაპირველად გარეგნული ფორმით სავსებით უცვლელნი ჩენდიან. რაჭული ქვიტკირის სახლებისათვის დამაზადებელი გარეგანი სადა, მყაყრი და სწორი ხაზები, თითქმის ყრუ კელები და ორუერდა ყავრის სახურავი ისევ ძალაში ჩენდა, თუ მხედველობაში არ შეიიღებთ ბუხრისათვის განკუთვნილი აღგილის კედლის საერთო ხაზგარეთ გამოწევას. ერთის ბუხრით შეცვლამ თავდაპირველად გარეგნულად ეს ცვლილება მოახდინა გადაკეთებულ სისტემით, რაც შემდეგ საერთოდ დარჩა ძალაში, კველა ხელებურ სახლს, რომელსაც ბუხარი გააჩინა, საბუხრე აღგილო გამოწევაში აქვა.

ამგვარ სახლებში ასევე უცვლელად რჩება ძირებით, სამეურნეო დანიშნულებისათვის განკუთხილი, სართული. იგი კვლავ ბოსტონი და თავის დანიშნულებას ძეველებურად ასრულებს ყოველგვარი ცვალებადობის გარეშე. რაც შეეხდა ყოფილ ხავალამ სახლს — მორე სართულს, ქვევე სკოლა სხვაობას ვხედავთ ძეველთან შედარებით. ამ ოთახში, როგორც უკვე ბეჭედნერთ, მოშლილია კერა. იატაკი ფიცირით მოგებულია, კერი ასევე ფიცარგარული. სახლს ჰქია კვებობის ნაცვლად უჩნდება მოზრდილი ფანჯრები. კედლები შეღესილია, ზიდა მოწყობილობა ახლო.

საერთო რიგს განვითარება სოფ. ლეგში ივანე პანტელეიმონის ძე გავაშელის სახლი. ოჯახის უფროსის გადმოცემით, ეს სახლი ტელებური იყო, რომელსაც ყველა მისთვის დამახასიათებელი ელექტრი გააწინდა (ქვეის კარსელი, საჯალობო სახლი შუაცხლით, ერდო, საღულრე, კვებირები, მიწის დატევი). ეს სახლი ორსართულანი იყო. პირველ სროტულზე ბოსელი იყო მოწყობილი, მეორეზე კი, ჩოგორუ აღნიშვნელ, საჯალობო სახლი.

<sup>1</sup> ග. ගිරිජාත්‍රී, තාසාක්, නිවේදනය.

2. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიკულის, ღ. IX

როდესაც მისი გადაკეთება გადაწყვიტებს, კედლები არ დაუტენტიფიულია მხოლოდ ფანჯრისა და ბუხრისათვის კედელი გამოინგრის. წარმოქმნილი ჯარა, გამართეს ბუხარი. მიწის იატაჟე კოქები გააწყვეს და შემდეგ ზედ ფიცრის იატაჟი დააგეს. ასევე რესტარინებულ იქნა ქერი: დაალაგეს ახალი კოქები, ზედ გააწყვეს ახალი ქერი, მოაყარეს მიწა და ლამფა გააკრეს. კედლებს ჩამოაფხისეს ჭვარტლი და თეთრად შელესეს. ძელი კარსელი გამოყენებულ იქნა სამზარეულოდ, დეფანი პატარა საცხოვრებელ ოთახი გადაკეთდა, ხომ ბელო ბელო განიკარგილ იქნა ცალკე, ეზოში. ამგანდ ყოფილი საჯაღალი სახლი წარმარტვნენ ფართო, ნითელ ოთახს, რომელიც უკვიდალაშური ავეჯითად მოწყობილი (ტაბ. 6). ყოფილი კარსელის წინ მას აიგანიც აქვს მიშენებული, პირველ სართულზე ბოსელი კი უცვლელად არის წარმოლ-გენილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ მიერ აქ აღწერილი და მისი ტიპის სახლები იმით იქცევს ყურადღებას, რომ მასში მომხდარი ცვლილებები სახლის გარევან იერზე არ ასახულა, ძელი ქვიტეირის ფორმა მათ თითქმის უცვლელად შეარჩენებული აქვთ.

ძელებური სახლის გადაკეთების მეორე სახედ ქვეიძლება ჩაითვალის იმგვარად გადაკეთებული სახლები, როდესაც სიახლე მის გარეგნულ, განსაკუთრებით ფასალის, მხარეს იგრძნობა. მართალია, სახლის კედლები და მისი პირველი სართული უცვლელად რჩება, მაგრამ დანარჩენი მეორე თუ მესამე სართული სულ სხვანაირადაა მოწყობილი როგორც შიგნით, ისე გარეგნული იერით. სანიმუშოდ შევეხებით სოფ. ღების მცხოვრებ შირიან მიხეილის ძე გაგაშელის სახლს (ტაბ. 7), ეს სახლი ძელებად ტიპიური ღუროანი სახლი იყო. პირველ რიგში მას ღუროები მოუშალეს, ხოლო შემდეგ დანარჩენი სამი სართული ახლებურ ყაიდაშე გადაკეთეს. ღლეს ამ სახლს პირველ სართულზე ბოსელი აქვს მოთავსებული, რომელსაც თავისი პირველები სახე არ შეუცვლია (ტაბ. 8). მასში, გარდა საქონლის სადგომისა, წარმოდგენილია —საცხარე, სათხე, სალორე, საკარტოფილე. მეორე სართულს, ყოფილი საჯაღალი სახლის წინ კარსელი მოშენილი აქვს, რომელსაც ძელიად თავზე ბელელი პქონდა გამართული. პირდაპირ შევლივან ფართო ვრცელ დარბაზში, რომელსც ფიცრის ჭრით და იატაჟი ვაჩნია, კედლები შელესილი თეთრად, აქვს მინებასმული ფართო, მაღალი ფანჯრები. კედლებში დატანებულია ბუხარი, რომელშიც საკიდელია ჩიმოკიდებული. ამ სახლშიც მხოლოდ იმ კიდელს დაჭირდა გამონგრევა, სადაც ბუხარი უნდა აეშენებინათ. ეს ოთახი ასრულებს მთელი ოჯახის ძირისთან სამყოფოს დანიშნულებას ამგანდაც, აქვთ მენ, საქმიანობენ, მინიჭენ (ტაბ. 9).

რაც შეეხებ მესამე სართულს, მისი წინა კედლელი საესებით მოშენილია და აიგანია გამართული ნახევარზე, რომლის უკან ფართობი ორ ოთახიდაა გადაკედლილი. აიგნის მიდგმის გამო, რამაც წინა კედლის შოშლი გამოიწვია, საჭირო შეიქნა ახალი კედლის ამოყვანა ხსენებული ოთახებისათვის. ეს ოთახები სრულიად ახალია, რაჭელი ძელებური სახლისათვის არადამიასია-ოთებელი. მათი გამართვა და მოწყობა ქალიქური ტიპისა (ტაბ. 10), ამავე დროს მისი ორნამენტირებული აიგანი ხას ელემენტს წარმოადგენს.

ამ სახლშიც, როგორც დავინახეთ, მხოლოდ საცხოვრებელი ფართობია შეცვლილი და დამატებით ახალი ოთახებია წარმოქმნილი. სამუშაო დანიშნულების ნაკეთობანი კი კლავ პირველ სართულზე უცვლელად დარჩა.

დუროიანის სახლის ამგვარად გადაეცების ბევრი მაგალითზე დასტურებული ლებში. ასეთ სახლებში კარგად ჩანს ძველისა და ახლის შემცირებული სურათი (ტაბ. 11).

დუროიანი და, საერთოდ, ქვიტკირის სახლების გადაეცების დადებით მხარედ აღვილობრივი მიმინენერი იმ გარემოების, რომ ეს სახლები მოცულობით დიდია, კედლები მკვიდრად ნაერი და გამშლე. მთხოვობელთა გადმოცემით ხელახლად აგრძა უფრო აღვილია, ვიზრე ამ კედლების დანგრევა. მიუხედავად ამ ღირსებისა, ასეთ სახლს ჰიგიენური თვალსაზრისით უარყოფითი მხარეები გააჩნია. „უსუფთაოა, როცა ბოსელი სახლშია და სუნიც ცულია“ — ალნიშავენ მთხოვნელები.

იქ, სადაც ხის დარბაზები იყო წარმოდგენილი, ცვალებადობა ასევე თანდათანობით მიმდინარეობდა. ხის სახლების გადაეცების კარგ მაგალითს გვიჩვენებს სოფ. ირის (ზემო რაჭა) მცხოვრებ სიმონ გიორგის ძე გაგნიძის სახლი. თავდაპირველად ამ ოთას ოჯინჯალიანი ხის დარბაზი ჰქონდა, კვამილისაგან შევად ვამურული კედლებით. კედლები ცულით გამოთალილი ფურისაგან იყო შეკრული. იატაკი ნაწილობრივ ფიცრისა იყო, ნაწილობრივ კი მიწისა, ვინაიდან ფიცარდაგებული იატაკის ქვეშ ბოსელი იყო მოთავსებული. ოთახი ერთი თვალი იყო.

მთელი ოჯახი ამ ერთ ოთახში ცხოვრობდა. ერთ კუთხეში ოჯახის უფროს ცოლ-ქარს ეძინა, მეორეში კი შეიღლა და რჩალს. სახურავი ყავრით ჰქონდათ დახურული.

გარეველული ხნის შემდეგ ოჯახის რძლის ინციდურით ეს სახლი დაუნგრევით და ოთახებად გადაეცებიათ, აუშენებიათ ქვიტკირის კედლები. სახლი სამაც იყო გაყიდვილი. შეუა ადგილი მიწით ამოუვსათ და საცხოვრებელი ოთახის იატაკად შეცევათ (მიწის იატაკს ამჯობინებდნენ პრაქტიკული მიზნით — ხეს მეტი მოვლა და სისუფთავე სკირდებაო), აქეთ-იქით გვიბულ ოთახებს კი ქვეშ სართულები ჰქონდა — ერთს სარდაფი, მეორეს ბოსელი. ორივე ოთახს ფიცრის იატაკი გააჩნდა. ორივე მათვანი სასტუმროს დანიშნულებას ასრულებდა. მისი ორსართულიან სახლად აგების წინააღმდეგ ოჯახის უფროსა წასულა: „მამამთილი წავიდა წინააღმდეგი — შერცხალი ხომ არა დარ მაღლა შევფრინდე და ჩამოვთრინდეო“, — მოგვითხობს ოჯახის რძლი. ამ სახლს გვერდზევე ჰქონდა მოთავსებული ბელელი, ონეგი, ქოხსაბძელი.

ოჯახის უფროსის გარდაცალების შემდეგ კვლავ შეუდგნენ სახლის გადატეობას. დანგრიეს ძველი და ააგდეს ხაბალი ორსართულიანი პალატიანი სახლი (ტაბ. 12). ძველ დარბაზს დედაბობი ჰქონდა, იგივე გადატყვა მას პირველი გადაეცების დროსაც. მაგრამ საბოლოოდ როდესაც ააგდეს სახლი, იგი დახერხეს და თავახეს კედლებთან აქეთ-იქით შეუყენეს. ამჟამად ამ სახლს თავახე აქვს, მაგრამ მას დედაბობის ნაცვლად გვერდებზე შედგმული სვეტები ამაგრებს. ოთახი მთლიანია, გადაუკედლავი. ასევეა მეორე სართულის ოთახიც. პირველ სართულზე გამართულია ბუხარი. ორივე სართულს წინ ორნამენტირებული აივითი გააჩნია. პირველი სართულიდან კვებე მეორე სართულის აივნებ ადას, რომლის ქვეშაც ბელელია მოწყობილი (ტაბ. 13). მეორე სართულიც, როგორც უკეთ აღნიშვნე, მთლიან დარბაზია, ოღონდ კიბის თავზე ასავლებოთან პატარა ოთახია გამართული, რომელიც დიდი დარბაზისაგან იზრდილი გადაეცებულია. ასეთი პატარა ოთახი ყოველ სახლს ახლავს განსაკუთრებული შემთხვევების (ქორწილი, სტუმრიანობა) დროს

გამოსაყენებლად. მეორე სართულის თთახი ფიცრებისაგანაა შემოტკიცვული წინ კი, როგორც აღვნიშნეთ, მოჩითული, ხეზე კვეთილი ორნაზენტურისტურის შემცული აიგანი აქვს (რაბ. 14).

სამეცნიერო ნაგებობები, გარდა ბელლისა, მას გამოყოფილი აქვს (თონე, ბოსკოვა და სხვ.).

განსხვავებით ძველი სახლის გადაკეთებისაგან — შენდება სრულიად ახა-  
ლი სახლები, რომლებიც ძველისაგან განსხვავებული არიან როგორც თა-  
ვისი შიდა გეგმით, ისე გარეჯენული იერით. სახლს უჩნდება ახალი ითახები,  
რომელთა დანიშნულება მეცნორად ჩამოყალიბებული არ არის. ძირითადად გათ-  
ასატუშროდ და ოჯახის საბყოფოდ იყენებენ. მართალია ახლებური სახლები  
გეგმითა და ფასადით ძველისაგან განსხვავდებიან, მათ აშენებაში ფართო გა-  
საქანი აქვს ყალბულ ლსტატთა შემოქმედებით უნარსა და ლსტატობას, მაგ-  
რამ რაკელთა ყოფილათვის დამახასიათებელი საპირო ითახებით თუ სათავ-  
სებები გასწი მანქანა, არის ჭარბოლებენილი. რაკველი ლსტატი ახლებურად გვგ-  
მავს სახლს და შესანიშნავად ამკობს მის ფასადს. ასეთი სახლის ნიმუშად  
შეიძლება დავისახელოთ სფო. ლებში მაღაქია ლუკას ძე ლომებანიძისა და  
სოფ. გლოლაში ირინე ბელაშვილის სახლები (ის. ტაბ. 15, 16). შალაქა  
ლომებანიძის სახლის ფასადი მთლიან მონუმენტურ შესახედაობას ქმნის. შისი  
შინა კედელი თაღისებურად არის ამოყანილი, ხოლო მთლიანად სახლი ერთი  
შეხედვით ტაძრის ფორმისაა. თაღის თავზე გამოდის პატარია აივანი, რო-  
მელსაც მეტად მდიდრად მონუმენტმებულ-მიჩინთული სკეტის თავები და  
მოაჯირი გააჩნია. მაზრედე ხეში ამოყენთილია ხელოსნის სახელი შიგა და  
შიგ ხელის, ჩაქუჩისა და ცულის გამოსახულებებით შემცირებული: „ვიტონი  
თელორეს ძე გავაშელმა მოაწყო“ აივნის ზედაკუთხეში ასევე სახლის აგე-  
ბის თარიღია დასმული. თაღის ზეშევრით გავდივართ სახლის უკანა მხა-  
რეს, სადაც ორივე შეხრივ პაწია ქვის კიბეებით შესასვლელია პირველი სარ-  
თულის ითახებში. ეს ითახება თაღის აქეთ-იქით მხარეს არის მოთავსებუ-  
ლი და მათ საჯალაბო დანიშნულება აქვთ. თითოეულ მათგანში განაკარი-  
მებია ცხოვრობენ. ორივეში მოწყობილია ბუხარი, ხოლო კედელში დატანე-  
ბულია ჰურის საზელი ვარცლი, რომელსაც გარეგნულად კედლის კარალის  
შეხელულია აქვს.

ეს ვარცლი ძევდი რაჭული ყოფისათვის იყო დამახასიათებელი. ვარცლი სელ სამი თარისაგან შედგება: ქვედა თარი, რომელსაც თავისი კარი გააჩინა, ჟურკლის ჟესალაგებლად არის გამოყენებული, მას არჩანი ეწოდება. შეორე თარიზე ვარცლი მოწყობილია. შექი აქ მის კედლში ჩატანებული მცირე სარტყელით გარედან შემოდის. მესამე თარის პატარა უჯრები აქვთ დატანებული კლავ ჟურკლის ჟესალაგებლად.

ამ ოთხებში წარმოდგენილი ბუბრები ამერიკად რეინის ლუმლის შესაც-  
გმელადა გამოყენებულია. ორივე ოთხი გადაუკედავია. ოთოოულ მათგანს  
გააჩნია აივანი, აივან-ქვევი მოწყობილია სალორები (ტაბ. 17).

მეორე სართულზე ფასადის მხრიდან ავგანს მიღმული აქვს ქვეს კაბე, საიდანც ავდივართ მეორე სართულზე. ეს სართულიც ფართო ტალინთორიდ არის გაყოფილი, თითოეულ ოთხს გასახსნელი კიდლები გააჩნია ტალინის მხრივ.

ესოსაც მოშუობილია მთლიან შესაბამდი, რომლის ორივე მხარეს პატარა ოთხები გადაკედლილია (ტაბ. 18).

ამ სახლში ქვედა სართულის ოთახები კვლავ საყვალეშო სახლში დაწინებულია ნულებას ასრულებს, ხოლო მეორე სართულის ოთახები სასტუმროდ არის განკუთვნილი. სამუშანეო ნაგებობები მისგან, გარდა სალორსა, გამოყოფილია და სახლის ეზოში მოთავსებული.

აბალი სახლები მთის ჩაქაში, როგორც ჟევე აღნიშნული იყო, ფასადისა და, საერთოდ, გარეგანი ფორმის მიხედვით ნაირსახეობას ამჟღავნებენ. საერთოდ, ჟევე მათგანისათვის შეძლება ჩითვალს აევნების მოწყობა ჟესა-ნიშავად ორნამენტირებული მოაჯირებითა და სკეტისთავებით, აგრეთვე ოთხფერდა სახურავით გადახურვა, ამავე დროს ძირითადი ქვის მასალის გამოყენება მშენებლობაში.

აბალი სახლის ჩამოყალიბებაზე გარკვეული ჟემოქმედება, იქნნა როგორც მეზობელ კუთხებში გავრცელებულმა სახლებში, ისე აღილობრივად აგებულმა კულტურულ-აღმინისტრაციული დანიშნულების შენობებმა და საკოლმეურნეო-სამუშანეო ნაგებობებმა, ამასთან ერთად საკურორტ მშენებლობაში აგარაკ შეიმუშავება, განსაკუთრებით სოფ. გლობაში არსებულ სახლებზე.

რაჭელი ისტატები, გადიან რა სამუშაოდ საქართველოს სხვა კუთხებში, იქ შეძენილ მათვის სასურველ ცოდნას ახმარებენ საკუთარი სახლების მშენებლობას. ეს განსაკუთრებით ითქმის აინების ორნამენტირებით ჟემკობაზე. ყალყაში სახის ორნამენტი, როგორც მთხოვნელები აღნიშნავენ, შემოტანილია ამბროლაურის რაიონიდან, დასვლეთ საქართველოს სხვა კუთხებიდან, კახეთიდან და სხვ. ამავე დროს, ზოგჯერ იყენებენ აღილობრივ ინგინერ-არქიტექტორთა რჩევა-მითითებებს და სახლს მათ მიერშედგენილი პროექტის მიხედვით აშენებენ.

ამგვარად, თანამედროვე რაჭულ საცხოვრებელ ნაგებობებს თუ გადავალებთ თვალს, შეიძლება დავიღვინოთ ძევლი სახლის ახლებურად შეცვლის გარკვეული საფეხურები:

1. ხდება ძევლებური სახლის ნაწილობრივი შინაგანი გადაკეთება ისე, რომ იგი გარეგნულად ძევლ სახს ინარჩუნებს. კეთილმოწყობილი ხდება მხოლოდ ოჯახის საცხოვრებლად განკუთვნილი ფართობი, სამუშანეო დანიშნულების ნაგებობანი სახლს კვლავ უცვლელი სახით თან ახლავს.

2. ძევლებური სახლი იმგვარადა გადაკეთებული, რომ მასში არსებითი ცვლილებებია მომხდარი როგორც გარეგნული იერის, ისე საცხოვრებელი ფართობის სხვარიგიად მოწყობის მხრივ. მას უჩინდება აიგანი, კეთილმოწყობილი ხდება საჯალაბო სახლი, ჩრდება სრულიად ახალი ტიპის დამატებითი ოთახები. სამუშანეო ნაგებობანი აქაც ძევლებურადვე წარმოდგენილი.

3. შენდება აბალი, ძევლისაგან სრულიად განსხვავებული, სახლი როგორც გეგმით, ისე ფასადით. სახლი მხოლოდ საცხოვრებელ დანიშნულებას ასრულებს. მისგან გამოცალკევებულია სამუშანეო დანიშნულების ნაგებობანი.

აქვე შენიშვნათ, რომ აბლებური სახლისაგან ძირითადად ისეთი სამუშანეო ნაგებობებია გამოყოფილი, რომლებიც ჰიგიენური პირობების დაცვას უშლიან ხელს. ასეთებია: ბოსელი ქობ-ბოსელის სახით, საბძელი, სალორე, საქათმე და სხვ. სახლს შეიძლება თან აბლდეს თონქ, ბელელი, მარანი.

დღევანდველ ვითარებაში წარმოდგენილი ბოსელი ჩეულებრივ მომტრო ზომისაა. საკოლმეურნეო წყობილების პირობებში, როდესაც საქონელი გატრიანებულა, დიდი მოცულობის ბოსლის საჭიროებაც მოხსნილია.

მიუხედვად იმისა, რომ რაჭულმა საცხოვრებელმა სახლმა არსებითი ცვლილებები განიცადა და ახალ, ძევლისაგან განსხვავებულ სახლად ჩამო-



ყალბიდა, მასში მაინც თავს იჩენ აღგილობრივი, ძელილან მომდინარე ტრანსპორტისა და კონფრუნტისა გამოცდილების გამოვლინება.

შენებლობის დროსცე შემორჩენილია ურთიერთდაბარების წესი, რაც გამოიხატება საშუალო ძალით დახმრებაში, ოჯახის მოვლაში, მუშაოთვის პრის გამოცხობასა და სხვ.

ძელი ტრადიციით შემორჩენილია გვრცევე ახალი სახლის ტელეჭი  
დატანებული პურის საცხობი ვარცე, რომელიც უფრო კურპლის კარიბის  
დანიშნულებას ასრულებს ბოლო ხანებში.

საინტერესოა ქველიდან მომდინარე ცოდნასთან დაკავშირებით ქველებური სახლის ღურაობის მსგავსი ორნამენტის გადატანა ხეზი აინის მთავრობისა და სკოლების შესამყობად. ქველებურივე წესით მართავდნ სამეცნეო დანიშნულების ნაგებობებს — მარანს, პურის საცხომო ღუმელს, თონხს, ქოხ-საბჭოლს, მაჩას და სხვ.

କ୍ରୀବ ଶ୍ୟୋକେତ ତାନାମ୍ଭେଦରୁଷ୍ୟ ରୂପକିମି ଏକସାହୁଲ ସାହୁଲତା କ୍ରିୟେବି, ବିଶେଷ କ୍ରୀବାମଧ୍ୟ ମନ୍ଦିରଶୁଣ୍ଡ ମ୍ୟୋଳି ଫୁରମିଦାନ ଅବଳାମଧ୍ୟ ଏବଂ ବାହୀରୁଣ୍ଟ ଶ୍ୟୋକେଦଲ୍ଲାଙ୍ଗିର ଫୁରଗୁଣଧରୀ ଯି ଘେବାର, ରହମୀଲାତା ଗ୍ୟାଲ୍ରେନ୍ରିଟାର୍ ହାମିନ୍ୟାଲାନ୍ଡର ଅବଲ୍ଲେଶ୍ଵରି ସାହୁଲ. ଯୁଗ୍ୟ, ରାଜ୍ୟକାର୍ଯ୍ୟ ମ୍ୟୋଳି କ୍ରିବାଦିପ୍ରାଚୀର ଗ୍ୟାଲ୍ରେନ୍ରାର୍ଜ୍ୟ ଓ ଲାହାର୍ଜ୍ୟ ଯାଦାଲ ସାହୁଲ୍ଯଦତ୍ତ ଦ୍ୱାରା ଉପରେବିଦିତ, ଶ୍ୟୋକେଦଲ୍ଲେବ୍ୟୁଦ୍ଧରୀଳା ସିନାହୁଲ୍ସାବ୍ୟ ମନ୍ଦିରଶୁଣ୍ଡର ଏରିତାର ତାପି ଦା ହାମିନ୍ୟାଲାନ୍ଦ ଯି, ରୂପ ଏକାଦଶମାତ୍ରାବ୍ୟକିରଣ୍ଟରେବ୍ୟ ଯୁଗ ମ୍ୟୋଳି ରାଜ୍ୟଶୁଣ୍ଡ ପ୍ରକଟିକାନ୍ତିରେ, ତୁମ୍ଭା ମାତ୍ରୀ ଅଧିକାରୀର ପାଦକିରଣ୍ଟରେବ୍ୟ ଦ୍ୱାରାବ୍ୟଶିର୍କେବିଦିତ ଶ୍ୟୋକ ଯିବା ସାମାଜିକ.

სიახლე თავს იჩენს, პირველ რიგში, საცხოვრებელ სახლში ახალი ოთხების წარმოქმნასა, რომელთაც საჯალაბმ სახლისაგან განსხვავდით ძირითადად სასტუმრო დანიშნულება აქვთ, და ამ ოთხების ქალაქურ ყაიდაზე მოწყობაში (ზელესვა, ზეღუბვა, ქარგად დამუშავებული ხის მასლის გამოყენება, ოთხების ახალი ავეჯით მოწყობა და სხვ.).

ამასთან დაკავშირებით ოლასინიშვილი სახლის გეგმისა და ფასადის ძლიერად შეცვლა, რომელიც დადგენილ ნორმებს აღარ ემორჩილება და აღიღონბრივ ხუროთა შემოქმედების შედეგად იქმნება, თუმცა მასში წარმოდგენილია ყველა ის ოთახი და სათავსო, რომელიც რაკველთა ყოფისათვისა საჭირო.

ახლ ვითარებას მიეწერება, აგრეთვე, სამეცნიერო ნაგებობათ გამოყოფა საცხოვრებელი სახლისაგან (ბოსქლი, საბეჭლი, სალორე და სხვ.), რომ

გამოწვეულია, ერთი მხრივ, კულტურული ცხოვრების მოთხოვნილებით ზოდო, მეორე მხრივ, გარეშე მტრის შემოსევის საშიშროების მოსპობით.

განსაკუთრებით სიახლე ჩანს სახლის გარეგან გაფორმებაში, მდიდარი ორნამენტურებული ხის მასლით აივნებისა და სვეტის თავების მოწყობაში.

საინტერესოა, რომ მთის რაჭაში, სადაც ქვის შენობები იყო წარმოდგენილი, აივნები და ისიც ორნამენტურებული მაჯირებით სრულიად არ იკოდნენ. ასევე მცირედ იყო ივი გამოყენებული ხის შენობების მიმართაც ზემო რაჭის სოფლებში (ირა, შოუბანი, ღარი, წედისი და სხვ.). დღეს ამ მხრივ, როგორც უკვე აღნიშვნეთ, სულ სხეანაირი სურათი გვაქვს—რაჭული სახლის ერთ-ერთ მთავარ შემამყობლიდ სწორედ აიგანთა ორნამენტირება გვევლინება. საყურადღებოა, რომ ხელოსნები ხშირად თვითონ ქმნიან ორნამენტთა ახალ სახეებს, რომელშიაც მდიდრას გამოყენებული სოლიდისტური ყოვისათვის დამახასიათებელი ორნამენტები—ჩაქუჩ-ნაგალი, ვარსკვლავი სხივებით და სხვ. ძველი და ახალი ელემენტები მეტად მოხერხებულადა ერთმანეთთან ჩაგრეხილი და ერთი მთლიანი პარმონიული ორნამენტის სახე იქმნება.

აქვე უნდა აღვინიშნოთ იშვიათად, მაგრამ მაინც ზოგ შემთხვევაში რეინის ჩანგლებისა და გარწეულების, გამოყენების ფაქტები ბოსლის ხეების ერთ-მანეთთან დაკავშირების მიზნით, ასევე რეინის რელის ხმარება ბოსლის თავების ნაცვლად, აგრეთვე კრამიტის გამოყენება სახლის გადასახურავად.

ძველი, მდიდარი საამშენებლო ცოდნა-გამოცდილების არსებობას ხალხში დაემატა ახალი ცოდნა, რის შედეგადაც შეიქმნა ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლი, რომელიც შეესატყვისება როგორც გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებას, ისე მეურნეობის აღილობრივ ნასიათს.

Т. А. ОЧИАУРИ

## НОВЫЕ ЖИЛЫЕ ПОСТРОЙКИ В ОНСКОМ РАЙОНЕ

### Резюме

ქართლში, სოფელ ბიჩნივაურთ-კარში „ხატი“ წარმოდგენილია. მარნეული ნაგრევითა და ჭმ. კაქლის ხით. ერთმანეთზე ახორციანებულია რამდენიმე ლოდი და, ამგვარად, მიღებულია ნიში - საჯურთხვევლი, რომელზეც მლოცვალები ანთებულ სანთლებს აკრავნ. დეკანონი მცადის კვერზე მით ამწყალობებს და მცადის კვერს კრის. დეკანონის თქმით, „მარანში“ დამარხულია ქვიშები<sup>1</sup>.

სოფელ ბაზალეთში ნათელაანთ გვარს ქერნძა მარანი, რომელიც იმას-  
თანავე ლაშარის ნაში წარმოადგენდა. ლაშარის მარანში სამი ქვევრი, ე. წ.  
„ზედაშე“ იყო მიაშა დაფლული. თითოეული ერთკორანი იყო. მა ლვინის  
ხარჯავდნენ ან საღმოთში, რომელიც ხვინის წინ იმართებოდა, ან ლაშარის  
ჯვრის, გმირი კობალეს, წმიდა გორგობა და ოპარ დედოფლის დღეობაზე,  
რომელიც მეტათოება პირველს მოდიოდა. ზედაშებს მაშინ მოსახილნენ პირს  
და ზესვამდნენ. საღმოთს გადახდისას საერთო საკლავს იყიდიდნენ და მაცხოვ-  
რის სახელზე დაკვლევინებდნენ.

სოფელ ქსოვილიში ლაშარის ნიში — მარანა. იქ ლეინს ინახვდნენ. ამ კვერცხს „ზედაშები“ უწევა. დღეობის დროს ამ ქვებრს გახსინდნენ და იქიდან ურთ ჩაერთ ლეინს ამოილებდნენ. ეს იყო თავიული, რომელიც დეკანოზ-თან დასამატალობრიბლად მიქვეოდა?

გარდა აქ დასახელებული ლეინოს ზედაშესათვის განკუთვნილი ნაგებობისა, აღმოსავლეთ საქართველოს ყოფაში (ფშავი, ხევსურეთი) დასტურდება კონკრეტული ლეთაგებისათვის განკუთვნილი საგანგებო მარნების არსებობა. იაქარს, კოპლას, ლაშერის ჯვარს, თამარ დელიულისა და გულანის ჯვარს კახეთში გამამდათ საკუთარი კვნახები, სადაც სათანადო შარანიც იყო წარმოდგენილი. მარანს ლეთაგების სახელით მოინახენიბდნენ: იაქსრის მარანი, თამარის მარანი. ხშირად მეითხვევი თამარის მარან უჩვენებდა მთხოვნელს — წადი, იქ ილოცე და უბედურება ავცდება. შარანში სანთელს აანთებდნენ და გარშემო დროშით შემოიტლიტნენ. მარანს მსხვერპლს სწირავდნენ. შეწირული საკლავი მარანში იყვლოდა. საკლავის სისხლით მარანი უნდა მოესხურებინათ. რომ ამით მარანი განათლათ.

„უძილოაურთ ხატს კობალის ვენახები ჰქონდა ახერტაში. ერთ-ერთ 30-ნაში იყო მარიანი. ლვინოს მარიანში აყენებდნენ. მარიანთან დროშის საბრძანი კოშეი იყო, სასანთლეც ამ კოშეთან იყო... მარიანში სანთელს აათებდნენ და კობალის ქვევრიდან ახალ ამოლებულ ღვინოზე აღიტებდნენ. ნათავრს ამოლებდნენ, ერთ საცალოს ავასებდნენ და შერე თვითონაც დალევდნენ. მარიანშე სანთლის ანთებაში და ღვინოზე ხატის აიღდებაში ახსენებდნენ: გმირ კობალის და ქვევრ-მარიანის და ზედაშის მცველ-მფარველ ანგელოზს (იგულისმებოდა: კობალის ჰყავდა თავისი ვე ნაშილი ანგელოზი, რომელიც ქვევრ-მარიანს იფარავდა), ამის შემდეგ ავასებდნენ ღვინით ყველა სასმისს და შეორე ღლისათვის დამზადებდნენ. დაილოცებოდნენ იმ მიცვალებულთათვის, რომელიც წინათ დაითონენ კელუხზე და ახლა აღარ არიან, \*იგრეთვე უპარ-

<sup>1</sup> 3. ଦୀର୍ଘ କାଳେ ପାଇଁ ଏହି ଶାଖାତମ୍ବୁଳିଙ୍କ ପିଲାର୍ଯ୍ୟାଲୋ (1947 ଫେବୃଆରୀ) ଉତ୍ତରନେଗରୀଜୁଗାଳ୍ପଣୀ ପ୍ରେସ୍‌ପ୍ରେସ୍‌ରେ, ପୃଷ୍ଠା 1, ପତ୍ର 23.

<sup>2</sup> 9330, 673, 2, 83. 104—105.

<sup>2</sup> *ibid.* 6, p. 385—386.



რონო მცვედრებისათვის, როშელთაც დანამიაღლისი ჰქონდათ ამ ქვეყნის მიმდინარეების შე—წევნი ვერ ვიგონებდეთ და ჩვენი სალოცავი არ ივიწყებდეს მარტინია

„ქისტაურთ ხატს ვენაბი ჰქონდა ახმეტაში. საკულუხედ როცა წამოვიდოდნენ, სალამი ხანს ახმეტაში თავის მარანზე იყო იაჯარის დროშა და მეკულუხებ. მოსული კვეის-ბერი დროშას მხრიდან გადმოილებდა, დაიპერდა ორი-ვე ხელში მარცხნიდან მარჯვნისაკენ და ზარის წყარუნით მარანს შემოუვლიდნენ გარშემო. იყო შემთხვევა, რომ ვენასაც შემოუვლიდნენ, თუ ეს იაჯარის-გან იქნებოდა ნაბრძანები. მოვიდოდა კვეის-ბერი და დროშას მოაბრაანებდა თავის საბაზანის კოშეზე, მობრუნდებოდა და დაამწყალობნებდა იქ მყოფთ... ამ თავის საბრძანებლის და მისი მარანის კარის ლოცვა ნუ შეგანანოსთ, სიხარულად გაგხადოსთ და კვლავ უყვეთსის გულით მიგავითოსთ ამ დღესა“... მეკულუხებს მიერ მოყვანილ საკლავს დასტური ყელს გამოქრიდა. დასტური თავმოჭრილ საკლავს დადებდა და დაამწყალობნებდა ყმათ, საყმოთ, იაჯარის მარანზე მოსულთ. საკლავის დაკვლის დროს სასისხლე თასი იდგა, რამიც საკლავის სისხლი ჩადგებოდა... ერთ-ერთი ამ თასს აიღებდა და ბალახის ქუჩით მარანს და მის მიდამოს ზიგნით და გარეთ ასხურებდა. მეზღვნებსაც, უმრავლესობას მარანის ნათვლა ჰქონდათ შეთქმული. მისი საკლავი რომ და-იკვლებოდა, დასტური ასეთივე წესით ასხურებდა სისხლს. მოსულებს სუფრას გაუმართავდნენ... კვეის-ბერი ამ სუფრიდან დროებით ადგებოდა, პირჯვრისწერით და შადლის თხოვნით მარანში შეეიდოდა, დასტურნიც თან შეკუყობოდნენ, აუნთებდნენ სანთლებს, ამოილებდნენ შეაფხოდანვე თან წალე-ბულ საწირავთ სანთლეს, კვევრის პირზე დაკრავდნენ (ქვევრს მაზინ წინასწარ ამდიდა კვეისბერი და გადასუფთავებდა მის მიდამოს) და საწირავთაც ქვევრის პირზე დააწყობდნენ ერთ კოშ ლეინოს ნათვარს, მისი მოსუფთავების შემდევ ამოილებდნენ და ჩასხადენ იმ ტიკზი, რომელი ტიკითაც შუაფხოში უნდა წაელოთ შედაზე. შეორედ ამოილებდნენ კოშით, სამ პატარა ვერცხლის თასს იკვებდნენ და იქვე კვევრის პირთან პატარა სუფრაშე დადგამდენ საწირავთან ერთად: კვეის-ბერი შეუდგებოდა ლოცვა-დიდებას და ეხვეწებოდა იაჯარის: კვევრ-მარანზე მისვლით და ამ კვევრისათვის ახდით თურამიტ სკოდა, აპატიოს... დიდება შენდა ჩენი სალოცაო დიდო იაჯარო, თვევნაც დიდებით ამ კვევრ-მარანზე, დადგმულ კიქა-ბარიძიშვილი და დაპე-რეთილ სეფისკვერთაზე. ლალო იაჯარო, მოგზაურო ანგელოზო, კვევრისა და მარანის მცელო-მფარელელო, თქვენა სწყალობდეთ იაჯარის საყმოთა, საყმო-თაში იაჯარის დროშისა-დ თანაბყოლთა კვევრ-მარანზე მოსულთა და იაჯა-რის ბრძანების შემსრულებელთა ლალო იაჯარი ჩენი სალოცაო, ზენა სწყა-ლობდე ზენს კვევრ-მარანზე ზოსულთ შენის სახელის მღლივთა. გხევიწე-ბიან და გვიღერდიან, ჩენი სალოცაო ლალო იაჯარო ზენს კვევრ-მარანზე მოსულნ, ზენის სახელის ლოცვაცნი, წესისა და რიგის მყენენი,.. მეტალუხენი უკან გამოგზავრების დროს კვეის-ბერი დროშას ააბრძანებდა, მარანში შევი-დოდა, მოცელ მარანს დროშით შემოუვლიდა შიგნით. მერე გამოვიდოდა და ერთ თას ლეინოს მიართმევდნენ, დაილოცებოდა, დააძწყალობებდა ყველა აქ მყოფთ, დაულლუცავდა მგზავრობას და გამოემგზავრებოდნენ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ა. ოჩიაური, რელიგია ფრაგმენ, რე. 16, გვ. 183—188, ხელნაწერი, ეთნოგრაფიის გან-ყოფილების არქივი.

<sup>2</sup> ა. ოჩიაური, რელიგია ფრაგმენ, რე. 9—10, გვ. 97—98, 99, 117, ხელნაწერი, ეთნოგრაფიის გან-ყოფილების არქივი.

„ხატ-ხევის თამარ მეფის ზეარი სოფელ აზმეტაში დაყორდნილი შეკვება ბერის სახელშედ. ზერის მოვლი და შემუშავება ყველა თემისათვის ზეგლიუ-ბულოა. ყოველ წელს რიგისა და წილის მიხედვით ამოირჩევნ ხოლმე მუშებს ზეარში სამუშაოდ და უარის თქმა არავის შეუძლიან. ზეარს თავისი მარანი აქვს და ხალხს იყი ზარანი წმინდა აღგილად მიაჩნია და კიდეც ლოცულობდა იქა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მეკითხავი სალოცავად თამარის მარანს უჩინვნებს მთხოვნელს: წადი, იქ ილოცე და უბედურება აგცდება თავიდამო. ლოცვა, ხალხის შეხედულებით, ხომ უმსხვერპლოდ არ შეიძლება და კიდეც ამიტომ წმინდა მარანში საემაოდ იყვლის ზეარავი. მასხვერპლად შეწირული საკლავის სისხლით ხვევისბერმა მარანი უნდა ასხუროს, „გასწმინდოს“. რაღაც მარანი წმინდა აღგილა, / ამიტომ ეგრეშოდებულ მებოსლე დედაკაცი ახლო ვერ გაუვლის. ფაზელის აზრით, დედაკაცი დედათ ბუნების დროს უწმინდურია და ამიტომაც აკრძალული აქვს წმინდა მარანის ახლო გაელა“<sup>1</sup>.

მარანის, როგორც საკულტო ნაგებობის, შესახებ მეტად საყურადღებო მასალას კარმინ-ბლურის გათხრები იძლევა. ბ. პიოტროვსკის ცნობით, კარმინ-ბლურში წარმოებული გათხრების შედეგად № 25 ღვინის სათავესში სამსხვერპლოს არსებობა დაინტერესობა. სამსხვერპლოს დარიუშელება მსხვერპლის შეწირვა, რასაც სათავესის გვერდით № 26 პატარა იოანეში აღმოჩენილი სხევადასხვა ახალშემძლო ცხოველების ძელების არსებობა მოწმობს. მისივე შეხედულებით, ღვინის სამეურნეო სათავეში სამსხვერპლოს არსებობა საკვები მარაგის აკა ძალებისაგან დაცა შეადგენდა<sup>2</sup>.

ამავე შეხედულებას აეთარებს პროფ. პიოტროვსკი იმავე შრომის 48-ე გვერდზე, სადაც ვკითხულობთ: ჩენ მიერ გათხრილ ქალაქ თეიშებაინის უძველეს მცხოვრებთა წარმოლებნით საწყობების დაცვა საჭირო იყო არა მხოლოდ ხალხის მიერ დატაცებისაგან, არამედ აგრეთვე ის ზიანისაგან, რომლის მოტანა შეუძლიათ ავ ძალებს. სწორედ ამით იისხება სამსხვერპლოსა და ღვთაებათა ქანდაკებების არსებობა № 25 სათავესის შეა ნაწილში.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან ნათლად ჩანს, რომ სამსხვერპლოსა და ღვთაებათა ქანდაკებების არსებობა, პიოტროვსკის შეხედულებით, ავი ძალების საწინააღმდეგო საშუალებათა საკიროებით იყო გამოწევული.

ქართული ეთნოგრაფიული მასალების შუქშე ლვინის სათავეში სამსხვერპლოს და ღვთაებათა ქანდაკებების არსებობა არსებითად და ძირითადად აისხება იმით, რომ ეს ლვინის სათავესი საკულტო ნაგებობა უნდა ყოფილიყო.

ცნობილია, რომ ყოველგვარი რელიგიური ჩიტუალი ღვთაების მომაღლიერებას, გულისმოგებას ემსახურება. მსხვერპლის შეწირვა კულტის ძირითად დამახასიათებელ მხარედ ითვლება. ამრიგად, სამსხვერპლოს არსებობა და მსხვერპლის შეწირვა გვიჩვენებს, რომ ღვინის სათავესი საკულტო ნაგებობას წარმოადგენდა.

### 5. სამსხვერპლო ცხოველები

ქართული ეთნოგრაფიული მასალებით ქართლში, მთიულეთში, ხევსურეთში უშობელას პირველ ხმოს სალოცავს სწირავდნენ.

<sup>1</sup> 6. ბიზანაშვილი, ეთნოგრაფიული მასალებით ქართლში, მთიულეთში, ხევსურეთში უშობელას პირველ ხმოს სალოცავს სწირავდნენ.

<sup>2</sup> ბ. პიოტროვსკი, დასხელებული შრომა, გვ. 21—23.

5. მასალები საჭარფველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. IX

ქართლში სოფელ მეჯვრისსევის მცხოვრები უსანეოს უზიმაშობა ვადგენი 30 ლ ხდის დაუყენებდნენ ზეარად. ზეარას ეკლესიის კარპეტები დაქრძალებულია. ჩაიგებულია ბორცის ზოგს ხალხში დაარიგებდნენ, ზოგს სახლში ჭაილებდნენ.

დღლის თავი ცხერის ფარაში პირველად გამონილი მამალი ბატყანი იყო. მას სოფელ ზანდუების მცხოვრები (წილაურები) თავის ხატს ფუძის ანგელოზის შესწირავითნენ და დაქალავებუნენ.

ზემოთ დადგენილ ქართულ ეთნოგრაფიულ მონაცემებს უბასესებს ქარ-  
შირ-ბლურის განათხარი მასალები. კარბირ-ბლურის გათხრების დროს აღ-  
მოჩენილი მასალების შედარება ქართულ ეთნოგრაფიულ მონაცემებთან საყ-  
რადლებო ქართული ეთნოგრაფიული მოცულენებისა და ობიექტების ქრონი-  
ლოგიის დადგენისათვის, კერძოდ, მარნისა და მასთან დაკავშირებული წეს-  
წევეულებების დათარიღებისა და ქართველი ხალხის კულტურის ისტორიისა-  
თვის. როგორც ცნობილია, ურარტელებისა და მისი შეზომელი ხალხების სა-  
ხით ჩენ საქმე გვაქეს ქართველების შონათეგავე ხალხებთან. მეორე შხრივ,  
ზემოთ ჩამოთვლილი ეთნოგრაფიული გადმონაშები ესმარება და ააზრიანებს  
არქეოლოგიურ მასალებს, რაც საქმიან სიცადით მიუთითებს ეთნოგრაფიული  
მასალების მნიშვნელობაზე.

<sup>1</sup> 3. ଢାର ଫାଟ୍ଟେ ଲେ କଥା, ମିତିକୁଳ୍ପେତାର, ମିଶାଳ୍ପେତା.

<sup>3</sup> 3. ଦୀର୍ଘାଳୀକା, ଶ୍ରୀଦାମିଶ୍ରାଙ୍କ, ମିଶନାଲେସନ୍.

<sup>2</sup> Б. Б. Пиотровский, *Дасаси. Зероми*, 83. 21—23.

Н. С. ТОПУРИА

ЭТНОГРАФИЧЕСКИЕ МАТЕРИАЛЫ

## НЕКОТОРЫЕ АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ДАННЫЕ В СВЕТЕ ЭТНОГРАФИЧЕСКИХ МАТЕРИАЛОВ

### Р е з у м е

Как известно, в быту грузинского народа в достаточном количестве сохранились пережитки далекого прошлого, отражающие его культурные достижения и особенности.

Посредством изучения этих пережитков становится возможным разъяснение многих вопросов истории культуры грузинского народа.

В грузинской этнографической действительности установлено использование смешанных семян, как одного из средств увеличения урожайности. Во время раскопок в Кармир-блуре найден кувшин со смешанными семенами (овес, горох, гречиха). Для объяснения их назначения ботаник Петров приводит параллели из этнографии Средней Азии. Между тем этот факт вполне удовлетворительно разъясняет грузинские этнографические данные.

Грузинские «марани» служат для изготовления и хранения вина, а найденные в Кармир-блуре винные сооружения служат только хранилищами.

Как известно по грузинским и кавказским материалам, рыбе приписывалась сила оплодотворения, поэтому найденные в Кармир-блуре скульптуры, покрытые рыбьей чешуей, можно считать божествами плодородия. Наличие в винохранилищах божеств, покрытых рыбьей чешуей, можно объяснить на почве верований грузин, согласно которому «марани» являлся вместилищем плодородия и изобилия.

Грузинские «марани», «саджваре», «зедаше» являлись культовыми сооружениями, представляя своего рода молельню «салодави», «хати». Винохранилище Кармир-блура, как видно, также представляет собою культовое сооружение, поскольку в нем сооружены скульптура божеств, жертвеники, установлены факты жертвоприношения.

По грузинским этнографическим материалам часть первого урожая и вообще первый приплод в хозяйстве были предназначены в жертву божеству.

По мнению проф. Б. Пиотровского, обнаруженные в Кармир-блуре кости, принесенных в жертву новорожденных телят, козлят и барашков, выявляют характер ритуала жертвоприношения.

Совпадения материалов, обнаруженные при раскопках в Кармир-блуре с данными грузинской этнографии, имеет значение для установления хронологии явлений и объектов грузинской этнографии, именно для датировки «марани» и связанных с ним обычаяев, тем более, что, как известно, урартийцы и другие соседние народы должны были быть родственными грузинам.

С другой стороны, вышеуказанные этнографические пережитки разъясняют археологические данные, что усиливает значение этнографических материалов.



ნაცელი აბმსაძი

### მეაბრეულებითობის ისტორია

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება მეაბრეულების კულტურის ჩინეთში უცველესი დროიდან არსებობის შესახებ. როგორც ტველი ჩინური ისტორიული დოკუმენტების კრებულიდან — „ჩიკინგილან“ („მეფეთა წიგნი“) ჩანს<sup>1</sup>, აბრეშუმი ხმარებაში ყოფილი ჯერ კიდევ 3000 წლის წინათ ჩვენს ტელთაღრიცხვამდე. ზემოაღნიშნული ქრონიკის მიხედვით აბრეშუმის ძარი უცველესი მუსიკალური საკრავის — ესის ლარებად გამოყენებია მეტე ჩინ-ნონგს<sup>2</sup>. ჩინური ტრადიციის მიხედვით აბრეშუმის პარევლი მომყვანი დედოფალი სი-ლინგ-ჩი იყო<sup>3</sup> (დაახლოებით შე წ. 2698 წ.).

აბრეშუმის პარკიდან ძაფის ამოხვევის ტექნიკის აღმოჩენის გამო ჩინულმა ხალხმა სი ლინგ-ჩი სიკედილის შემდეგ აბრეშუმებსოებისა და ოუთის ხის მფარველ დეთავაბად იღიარა. პირველად ჩინური აბრეშუმი მოიხსენიება შე. წ. 2255 წ. პროვინცია შანტუნგიდან და დღეისათვეის აწორედ ეს პროვინცია ითვლება მეაბრეშუმების უცველეს ცენტრად<sup>4</sup>.

აბრეშუმის მოყვანის წესი ჩინელების მიზრ დაიდ საიდუმლოებით ინახებოდა და, ამგვარად, ჩინეთი მრავალი საუკუნის მანძილზე რჩებოდა აბრეშუმის მსოფლიო მშარმოებლად. შეიძლება სწორედ ამით აიხსნას ის გარემოება, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმილა აღიარებული ჩინეთი მეაბრეშუმების, როგორც სამეცნიერო საქმიანობის, სამშობლოდ, სადაც უცველესი დროიდან ცონბილი იყო აბრეშუმის მიღება პარკიდან ძაფის ამოხვევით ისე, რომ ჩინელები იცოდნენ პარეშვეგ ჭუპრის ამოხვოცა. ცნობილია, რომ პეპლის გამოსვლა პარკიდან შეუძლებელს ხდის ძაფის ამოხვევის. ამგვარი პარკიდან მიღებული აბრეშუმი უხეში და დაბალი ხარისხისაა. ინდოეთისათვეის აბრეშუმის მიღების ეს წესი უცნობი იყო. ტველ სანსკრიტულში მოხსენიებული აბრეშუმის „Kāyasya“-ს<sup>5</sup> დაბალხარისხიანობა გულისხმობს.

<sup>1</sup> H. Silbermann, Die Seide, I, Dresden, 1897, გვ. 5; ჰ. ღვინე ჭარე, მეაბრეშუმება, თბილისი, 1953, გვ. 4; A. Натроев, Шелковичный червь в Закавказье, «Кавказ», 1895, № 332.

<sup>2</sup> H. Silbermann, დასახ. ნაშრომი, გვ. 5; გ. ნერისა ძე, კია-ლეიქარი, თბილისი, 1954, გვ. 12.

<sup>3</sup> H. Silbermann, დასახ. ნაშრომი, გვ. 5; „აბრეშუმის გილი ისტორია“, აუთონის ფედა“, 1862, № 10; ვეიდლიც, История распространения шелководства из Китая в Гималая и на Кавказ, «Кавказ», 1862, № 86; გ. ნერისა ძე, დას. ნაშრომი, გვ. 8.

<sup>4</sup> ჰ. ღვინე ჭარე, დასახ. ნაშრომი, გვ. 4; მეაბრეშუმება ჩინეთში უკვე ნეოლითის დროს იწყებს განვითარებას, იხ. Всемирная история, т. I. Москва, 1955, გვ. 440.

<sup>5</sup> H. Silbermann, დასახ. ნაშრომი, გვ. 9



ზემოაღნიშვნული წესის უკოდინარობას. ეს უკანასკერლი ვალურები განვითარებული მხვევის პარტიიდან მიღებულ აბრეშუმშე მიუთითებს. აბრეშუმის ტექსტები ვალური სახეობა ძველთაგანვე ცნობილი იყო ინდოეთში<sup>1</sup>.

შორეული ჩინეთიდან აბრეშუმბ დასავლეთში მოდიოდა ზღვითა და საქარავონ გზით. საზღვაო გზა, ჩვეულებრივ, ასეთი მარშრუტით მოემართებოდა. ჩინეთიდან ის ცეილონის კუნძულზე გადმოდიოდა, შემდეგ ინდოეთის ოკეანის გავლით სპარსეთის ყურადღი აღწევდა<sup>5</sup>.

ჩინერში იშუებოდა საქართველო გზა, რომელიც ჰინდუსუშის გადმოიახვით. ბაქტრიისა და ხორასანის გავლით, ქ. ეკბატანში მოდიოდა. ამ ქალაქში ერთმანეთს სცდებოდა ორი საქართველო გზა: ერთი ჩრდილოეთის—ჰეკატონპილიდან და მეორე სამხრეთის—მერვი-სამარყანდისა და ინდოეთიდან ყანდაგარს გავლით მომავალი. ქ. ეკბატანიდან გზა ჩრდილოეთი მიდიოდა. ქ. არტაშატისაკენ, ხოლო მეორე უფრო მოკლე გზა ქ. ნიზიბინში მთავრდებოდა?

ამ საქარავნო გზის გასწურებ მდებარე სიხელმწიფოები—ინდოეთი, სპარსეთი, ორაბული სახანები, რომის იმპერია—მცდმივ მეტოქეობდნენ აბრეშუმის მომღვევის საქმეში. მაგრამ ამ სახელმწიფოთა შორის რომის იმპერიისა და ორანის დაპარისპირება მკეთრად მდგავნდებოდა, ვინაიდნ ძირითადად ისინი წარმოადგინდნენ აბრეშუმის მომხმარებლებს. თუ რომის იმპერია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის საქარავნო ვაჭრობის ხიდს უჟღენდა, ირანი ჩინეთიდან მომავალი დიდი საქარავნო გზის იმ მნიშვნელოვან საკანონ ჰუნეტს წარმოადგინდა, რომლის გარეშე რომის იმპერია ხელთ ვერ იგდებდა აბრეშუმს<sup>8</sup>. მესამე საუკ-დან დაწყებული ირანი ისეთ გადაულახავ ზღუდედ აღმიართა რომის იმპერიისათვის აბრეშუმის დიდ სავაჭრო გზაზე, რომ მან ამჯერად ვერ შეძლო ამ პრობლემის გადაწყვეტა და ის განსახორციელობლივ თავის მეტყველეულს—ბიზანტიის იმპერიის უნდერძო.

<sup>1</sup> H. Silbermann, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

<sup>2</sup> Джавахарлал Неру, Открытие Индии, Москва, 1955, сс. 129, 224.

<sup>3</sup> Джавахарлал Неру, თასახ. ნაშრომი, №. 129—224.

<sup>4</sup> Я. Манандян, О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Ереван, 1930, за. 82.

<sup>5</sup> В. Бартольд. История изучения Востока в Европе и России. СПБ, 1911, гл. 47.

<sup>6</sup> Я. Манандян, Թասան. Խամբառնալու, հզ. 80—81.

<sup>7</sup> Н. Пигулевская, Византия на путях в Индию. Москва-Ленинград, 1951, с. 182.

<sup>8</sup> Н. Пигулевская, დასახ. ნაშრომი, გვ. 187; H. Silbermann, დასახ. ნაშ-

668, 33. 24; W. Heyd, Geschichte des Levantehandels im Mittelalter, I, Stuttgart-1879, 33. 8.

061135350

წევნოების საყურადღებო გარეშემგაბას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სკოლაში ეპურულიც დღრე ჩაეგა შორეულ აღმოსავლეთთან სავჭრო ურთიერთობაში. სწორედ დღრეელნისტურ ხანაში ხდება მსოფლიო მნიშვნელობის იმ დიდი სავჭრო-სატრანზიტო გზის წინ წამოწევა, რომელიც შორეულ ინდუსტრიულ მომენტადა სა ფინანსთან შეა ზღვის უნდა გამოსულიყო.

სტრაბონი მდგრადი, რომ მდ. ოქსით (აზუდარი) მრავალი ინდური სა-  
კონელი ჩაძევთ ჰირკანის (კასპიის) ზღვაში, იქედან გადააჭერთ ილბანეთში  
(აზერბაიჯანი) და ზემდეგ კი მტკვრით და მის იქით მდებარე აღგილებით  
ჩაძევთ ევსინში (ე. ი. ზავ ზღვაში)<sup>1</sup>.

ამ ცნობას, რომელიც არის სტრუქტურის შეჯვებით სტრაბონთანაა დაკული, არა კრისტიანული შეხებია<sup>2</sup>, ზოგიერთი მათგანი საეჭვოდ მიიჩნევს ამ ქრისტიანი საწყლო გზის არსებობას.

օյց. օ. մօնաճրանո ծարւռլուսա და շუրջո-շրկույթներ 1930 թվականին Մերքուրիով Թրոմա՛ն (О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времён, Эривань, 1930) շահպատճառ մուշտունու առմուսաւութեան մասին նշանը առաջանձաւ է առաջին գրական լուսաբառու մեջ:

<sup>1</sup> В. Латышев, Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, т. I, СПБ, 1890, гл. 149—150. Там же. Strabo, XI, 7, 3.

<sup>3</sup> В. Бартольд, Место прикаспийских областей в истории мусульманского мира, Баку, 1924, §§. 11—12; В. Бартольд, История изучения Востока в Европе и России, СПб. 1911, гл. 45.

\* ბარტოლდის ახორ აშენების კალაპოტის ცულილებას გასპისის ზღვისაკუნ მაინც ქვემდა აღდგილ XIII—XVI სს. მონოლითა ბარტოლომის დროს. მაგრამ ხორქმის 1937—47 წწ. (განსაკუთრებით 1945—1947 წწ.) ეს სტელის ცულებად და დაგრძელი იქნა, რომ ამ მარტინის კულტურული ერთვით და მის ასახულ ტაძრებს ტაძარი, პატარი, მარტინი, ადგინდა ქართველი მარტინის მობრუჩებას კასისის ზეგანასკენ. მაგრამ ეს ყო არა მარტინის აშენების, არამედ მისი ზეგანას — დარიალის მიმართ სულეიმანის ზეგველა სარიყამიშვილ ტაძარაკუნ. მონოლითთა თარგმანის ცულებად დანგრულ იქნა ამინდის ჭიდა დინიბის ირავავითული სისტემა, რის ცულებად დარიოვებულმ წყალმ



წერილობითი წყაროებიდან ისკვევა, რომ თვით ელიტისტურ ხანაში ჟეგნებული ჰქონიათ საწყლო გზის უპირატესობა საქართველო გზასთან, რასაც თავისი გამოხატულება უპოვაა სელევე ნიკატორის (312—288 წ.). ფანტას-ტიკურ გვეგმაში, რომელიც კასპიისა და შავი ზღვის არხით დააკშირებას გულისხმობდა<sup>4</sup>.

ჩინეთიდან დასავლეთში ფუფუნების საგნები—ძვირფასი ქვები, სპილოს ძვალი, პილპილი, ნელსაცხებლები, ძვირფასი ხის ჯიშები, სურნელოვანი ზე-თები, აბრეშუმის ქსოვილები, ნედლი აბრეშუმი და აბრეშუმის ტანსაცმელა შემოდიოდა. განსაკუთრებით დიდი იყო მოთხოვნილება ნედლ აბრეშუმზე.

იშეთ სარიცამისის ტბაში დენა. ამ გარემოებამ არაუცნორ გამომაურება ჰქოვა XIV—XVII სა ისტორიულ ნაწერებში. (С. Толстов, По следам древне-хорезмийской цивилизации, Москва—Ленинград, 1948, გვ. 296, 297, 307, 308; აგრეთვე С. Толстов, Работа хорезмской археолого-этнографической экспедиции 1951—54 гг., Вопросы истории, Москва, 1955, № 3, გვ. 173—174; აგრეთვე С. Толстов, А. Кесი, Т. Жданко, История средневекового сарыкамышского оазиса, Вопросы геоморфологии и палеогеографии Азии, Москва, 1955, გვ. 42, 43, 44, 45, 71, 72, 73; ს. ტრასტოვის ეს მოსახურება არაუცამაურებლად მიაჩინა გ. გოლაშვილის, აკროით გვირდება სათანადო ზოომაზი სპეციალურად შევძლოს ს. ტრასტოვის ამ მოსახურებას, იხ. Г. Гогалиშвили, О древнем торговом пути в Закавказье, сб. ინსტ. ზოომება, II, თბ., 1956, გვ. 158).

<sup>1</sup> Я. Манандян, თასახ. ნაშრომი, გვ. 45.

2 0330, 23. 47.

<sup>3</sup> Я. Манандян, О некоторых проблемах истории древней Армении и Закавказья, Ереван, 1944, стр. 66-67.

<sup>4</sup> ბ. ხ. ა. უ. რ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., შავი სტეის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საპარის ქართველი ტომბეგი ბერებუნ-ლაინი მწერლებს ცენტრიდა (ძ. ჭ. VI ს. —ა. წ. VII ს.), თბილის, 1954, გვ. 110. აკეთ უნდა იყოს იმ დროის ეგვიპტის, რომ ფარაონ-პიროვნების სეპარაციის შემდეგი საკადრო-სტრუქტურული განა უთავოდ არსებობდა მიუხედავად იმისა, ამუდანია კასისის ზღვას ერთგულად თუ არალის ტბას. ანიმისტური სტევ უშემოს სტევლი განა არ ვარაუდობდა, ის გარემოდ ადგილური საბატლეო განაია სარეგისტრობდა (ცირ. Strabo, XI, 3, 4).

რომლის დამუშავება აღვილობრივ ხდებოდა მომხმარებლის გეოგრაფიული მდგრადი სედევით. აბრეშუმის ვაკრობით დაინტერესებულ სახელმწიფოთა შოთაშვილი ტოქეობა სწორედ ხამი აბრეშუმის დაუფლებისათვის წარმოებდა.

ჩვენ, მართალია, ორა გვაქვს პირდაპირი ცნობები იმის შესახებ, რომ შოთაშვილი ჩინეთიდან და ინდოეთიდან ეს ძეირფასი აბრეშუმის ქსოვილები საქართველოში შემოდიოდა, მაგრამ სტრაბონის ცნობით მოწოდებულ „მრავალ ინდურ საქონელში“ ისიც აუცილებლად სავარაუდებელია.

ზემოაღნიმნული ფასიდ-ჰირკანის გზა, მართალია, ელინისტურ ხანაში დაწინაურდა, გაგრამ მისი შინიშვნელობა განსაკუთრებით ა. წ. I—IV სს. იზრდება. ამ დროს და უფრო გვიანაც (V—VI სს.) ცნობილია ეგრისის ქალაქების: ფაზისის (დღევანდული ფოთის ადგილას), დოისკურიის (სოხუმის აღვილას), პირიუნტის, ქუთაისის, ორქეოპოლისისა და შეტრას როლი საგარეო გვრმობაში<sup>1</sup>. სწორედ ა. წ. IV ს. მაბლობელ და შეა აღმოსავლეთში აბრეშუმით ვაკრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

აღსანიშნავია ის გირგობება, რომ ჩინეთიდან მიმავალი შოთაშვილი საქართვინ გზის ორბიტში მნიშვნელოვანი აღგილი ექირათ სომხეთისა და საქართველოს ქალაქებს. ასე მაგ., ამ დიდი საქართვინ გზის უკანასკნელ მონაცემს ქ. არტაშატიდან საქართველოსაკენ მიმავალი გზა შეაღვენდა. როგორც ზემოთ აღნიშნავდით, ქ. ეყბატანიდან იგი ქ. არტაშატისაკენ მოდიოდა<sup>2</sup>.

საქართველოს ქალაქების სატრანზიტო მნიშვნელობის ახსნისათვის საინტერესო მასალას ვპოვლობთ ა. წ. IV ს. რომაელი გვიგრაფის კასტრორიუსის მიერ შედგენილ ე. წ. „ტაბულა პეუტინგერიანაში“ (Tabula Peutingeriana), რომელშიც ისახულია იმდროინდელი მსოფლიოს სამიმოსვლო გზები ბრიტანეთიდან სერიკიმდე (ჩინეთი)<sup>3</sup>.

აღძრული საეკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია ამ რუკის ის ნაწილი, რომელიც უშეალოდ ა/კ-ის ქალაქებზე მიმავალ გზებს შეეხება.

პროფ. ს. ერემიანის გამოკვლევით გზა არტაშატიდან საქართველოსაკენ ორი მიმართულებით მოდიოდა: ერთი შტო ქ. არტაშატიდან ქ. არმასტრიემდე (არმაზი) აღწევდა, აქედან ის აღმოსავლეთისაკენ უხვევდა და დღვევანდელი კახეთისა და ქიზიყის ტერიტორიის შემოვლით გარკვეულ წრეს ქმნიდა. ერემიანის აღნიშვნით, ეს ტერიტორია ჰერეთს უნდა გულისხმობდეს და იბერიიდან აღბანიაში მიმავალი გზის სტრაბონისეულ აღწერას უნდა შეესაბამებოდეს<sup>4</sup>.

მეორე გზა ქ. არტაშატიდან შავი ზღვის სანაპიროსაკენ მიღიოდა. სომხეთიდან ის ჯავახეთზე გამოივლიდა, შემდეგ რიონის დაბლობში გადმოვიდოდა და მდ. რიონის ჩაულებით ქ. სევასტოპოლისამდე აღწევდა<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შოთაშვილი, I, თბილისი, 1949, გვ. 37, 38.

<sup>2</sup> ა. მანაძე, ი თოვალე..., გვ. 47.

<sup>3</sup> ს. ერემიან, თოვალე ვაკების შემოვლით გარკვეულ წრეს ქმნიდა. ერემიანის აღნიშვნით, ეს ტერიტორია ჰერეთს უნდა გულისხმობდეს და იბერიიდან აღბანიაში მიმავალი გზის სტრაბონისეულ აღწერას უნდა შეესაბამებოდეს.

<sup>4</sup> ს. ერემიან, გვ. 90.

<sup>5</sup> გვ. 93.

აყალ. მანანდიანის გამოკვლევით ეს გზა გაღმოღილდა ქ. ათენის ტერიტორიაზე<sup>1</sup> („პეტრინგერის რუკით“ ad Metcurium), რომელიც ძებულებიდან დღევანდელი ახალციხის მახლობლად; ძებული კი აბასთუმანზე გავლით ზექარის გადასასვლელით მდ. რიონზე („პეტრინგერის რუკით“ Ad fontem felicem) გამოღილდა, შემდეგ სევასტოპოლის—დიონისურიას გარელიდა და იქიდან სკვითებში გადადიოდა. ამ გზას აყალ. მანანდიანი მეორეა-კოლხეთის (მეორეა-კოლხეთის) მაგისტრალს უწოდებს<sup>2</sup>.

ალბანეთისაკენ გზა მიჰყებოდა ქ. ორტაშირიდან გამოსულ მონაკვეთს არტაშირი—არტასტრიდე—ლაბას მიმართულებით 2.

აყად. ს. ჯანაშიის მოსაზრებით „გერეტინგერის რუკა“ ორ გზას უწევებდს: ერთი ტრაპეზულტიდან ფაზის — სევასტოპოლისამდე აღწევს; მეორე იმავე სევასტოპოლისიდან იწყება და სომხეთის დღიდაქალაქ არტაშატისაკენ მიემართდება<sup>4</sup>.

ჩინეთიდან მომავალი საქარაენო გზი თავის მნიშვნელობას ინარჩუნებდა აბრეშუმის მოყვანის საიდუმლოების გამეღავნებამდე. დაახლოებით V—VI სს. (შეიძლება უფრო ადრეც) ჩინეთიდან გამოტანილ იქნა აბრეშუმის კის თესლი. მა სიდუმლოების გამეღავნების შემდეგ ჩინეთი თანდათან კარგავს თავის ჟურირატესობას აბრეშუმით ვაჭრობის დარგში და მომთაბარეთა თარებშის შედეგად ამ საქარაენო გზის ის მნიშვნელობაც მცირდება, რაც მას ადრეულ ზეა საუკუნეებში ენიჭებოდა.

ახლა ჩევნ წინაშე იძალება საკითხი—მაინც როდილიან შეიძლება ვივა-  
რაულოთ საქართველოში მეტაბრუმეობის არსებობა.

შესაბამის შესახებ პირდაპირი შითითება არ არსებობს.

შეაბეჭუმეობა საქართველოში მეტრნეობის პერიოდაგანვე მომდინარე და ახევამაღაც საკმაოდ ფეხმოყიდვებული დარგი ჩანს, მაგრამ მეტრნეობის ამ დარგის დასაბამის დადგენა მაინც ინტერესია. შეაბრეჭუმეობის განვითარება შეკიდროლად დაკავშირდებული მეთუთეობასთან და უკანასკნელის გარეშე მისი არსებობა წარმოუდგენელია. თუთის ხის სამშობლოდ ტროპიკულსა და სუბტროპიკულ რაონებს თვლიან. თუთის კლიმატი სახეობა მოიპოვება აზიაში სამხრეთ განედის 50°-ზე, ჩინეთში, იაპონიასა და ინდოეთში; შემდეგ კავკა-სიაში, თურქეთსა და შუა აზიის რესპუბლიკებში<sup>5</sup>. ვ. ჰენის აზრით თუთის ხე აღმოსავლური წარმოშობისაა (ვ. ჰენი მას «МИДО-ПОНТИЙСКОЕ дерево»-ს უწოდებს), რომელიც ძალიან აღრე გავრცელდა დასაცავეთში<sup>6</sup>. ნ. ზაგროვი თუთის სხვადასხვა სახეობას შორის თეთრ და შავ თუთას უხსოვარი დროი-

<sup>1</sup> Я. Манандян, Тигран второй и Рим, Ереван, 1943, 83-204.

<sup>2</sup> Я. Манандян, Тигран второй и Рим, №. 204.

\* Ա. Հաննա Շոտ, պրոֆեսոր ՀՀ ԳԱԱ Տեսական գիտությունների ինստիտուտում, 1949, 22, 38, 47.

<sup>3</sup> ვ. ჯაფარიძე, მცუცულის მუკლა კუნის, თბილისი, 1948, გვ. 9; პ. ჯუკო-სკი, კულტурные растворения и их сородичи. Москва, 1950, გვ. 380, 381.

\* В. Ген, Культурные растения и домашний животный в их переходе из Азии в Грецию и Италию, а также в остальную Европу, СПб, 1872, с. 221.



დან გავრცელებულად მიიჩნევს კავკასიაში<sup>1</sup>. ამავე დროს მისივე განმარტებულობის კავკასიის ბუნებრივი პირობები ისეთი ხელსაყრელია თეთრი თუთისათვის, რომ ის ველურ მდგომარეობაში გვხვდება ზევი ზღვის სანაბიროზე, კახეთში და მტკვრისპირას, ხოლო ზევი თუთა სპარსული წარმოშობისაა, ზავროვის აზრით, მაგრამ გვხვდება კავკასიაში როგორც ბალის კულტურა<sup>2</sup>.

არქანჯელო ლამბერტის ცნობით დას. საქართველოში—კოლხეთში თუთის ნის მთელი ტყეები იზრდება და არ არის იქ ადგილი, რომ ის არ ხარობდეს<sup>3</sup>.

კ. კრიას თავის ენციკლოპედიურ ლექსიკონში აღნიშნული აქვს, რომ თეთრი თუთა ბუნებრივიად (самородно) იზრდება ჩინეთში, კავკასიაში მტკვრის სანაპიროებზე, ზემდეგ ვოლგასა და დონს შორს მდებარე ველებზი. სპარსეთში, საიდანაც ის გადატანილ იქნა იტალიასა და სიცილიაში, იქიდან საფრანგეთსა და გერმანიაში. ხოლო ზევი თუთა ველურიად იზრდება მცირე აზიაში<sup>4</sup>.

სულბან-საბა ორბელიანის განმარტებით „თუთა სხვათა ენაა, ქართულად ულად ჭევიან და ხართუთას—ტუტა“<sup>5</sup>. საბას ეს განმარტება და საქართველოში დღემდე ხმარებაში მყოფი თუთის ნის ხალხური სახელწოდებანი (დასავლეთ საქართველოში ქოლა, სამეგრელოში ჯამბი, კაშეთში უურცელი), გრ. ჯაფარიძისა აზრით, „ადასტურებს იმ მკვლევრების აზრს, რომლებიც თუთის ნის ერთ-ერთ სამშობლოდ დღიარებენ ა/კ-ს, სადაც საქართველოს ამ კულტურის განვითარების საქმეში თვალსაჩინო ადგილი უკირავს“<sup>6</sup>. თუთის ნის გაშენების დღემდე შემორჩენილი წესი საერმოდიამო ფართობზე, თუთის ხეინების გამოყენება განის შესაგებელად—ავტორს უფლებას აძლევს გამოთქვების მოსაზრება იმის შესახებ, რომ თუთის ხე, როგორც ბალის კულტურა, უსხოვარი დროიდან ყოფილა გავრცელებული საქართველოში<sup>7</sup>. ამრიგად, ცადი ხდება, რომ მეოუთება, ისევე როგორც აღმოსავლეთში, წინ უსწრებდა მეობრეზუმეობას საქართველოშიც.

<sup>1</sup> Н. Павлов, Шелковица как плодовое дерево на Кавказе, Тифлис, 1894, № 5.

<sup>2</sup> იქვ. მართლაც დღესაც მო. მტკვრის, ივრისა და ალაზნის ნაპრებან იზრდება კვბერთელა თუთნაწები.

<sup>3</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალ. კუინიასი, ობილისი, 1938, № 191.

<sup>4</sup> Справочник энциклопедический словарь, издание К. Крайя, т. XI, СПБ, 1848.

<sup>5</sup> სულბან-საბა თრბეგვანი, ქართული ლექსიკონი, ი. კოფტიშვილის და ა. შენიანის რეაციით, ტოლისი, 1828, სიტყვასთან „თუთა“. ავტორი იქვე ფრჩხილებში მიუთითებს „ლელებულელს“, ხოლო სათანადო ადგილის მას ეს ხე ასე აქვს განმარტებული: „ეს არს (+ქოლა), რომელს (+სომხურა) თუთა უკმიბენ, რამეთუ. რომელუად სიკანიროს კრლასა ჰქვად, ვათარმედ სით ლელე და მორთ სულელი. ჩენთა მთარგმნელთაცა ამის გამო აუწერიათ, თვარა სადაც ლელესულელი წერილი არს, ქოლა ეწოდება. ვინთა ლელესულელი და ლელესულარი არა გაურჩევიათ“ (2 ნებრ. 9, 24), (დასახ. ლექსიკონი, № 185, სიტყვასთან „ლელებულელი“). აქ საინტერესოა ერთ გარემობა. ვ. ჟენი, კოლონბს რა დადგინდს თუთის ნის სახეცნოდების (morus) ერიმოლოვი, არყვენ, რომ მისი ლათინური საეჭლა უნდა წარმოშობილიყო ამ ნის, ერთი მხრით ლელის ხესა (συκόμαρος) და, მეორე მხრით, მაცვალონი (μύρων) დამსახუების ნალაგაშე (მენის დასახ. ნაშრომი, № 222—23). ამ ნისი იტალიურში გადასცემის შემდეგ სახელწოდებას საკამიარის დაკარგვი პირველი ნაწილი და დარჩენილა თუთის ნის სახელწოდებად ამ სიტყვის მხრით მეორე ნაწილი მურის (№ 524). სულბან-საბა თრბელიანისათვეს ეს გარემონაც ცნობილი ყოფილა.

<sup>6</sup> გრ. ჯაფარი ძე, დასახ. ნაშრომი, № 7.

<sup>7</sup> ი ქ 3 0 .



აბრეშუმის კულტურის ხანიერების დაღვენისათვის ჩვენ ჯურისტობის შეცვებით რამდენიმე საკითხს.

აყად. ივ. ჯავახიშვილის აზრით აბრეშუმის ქსოვილი ჰქონაუბრის სახელწოდებით მოხსენიებულია. უძველესი ხანის ძეგლებში, ხოლო ამ ნივთიერებისათვის ჩვეულებრივ შიღღებული სახელი აბრეშუმი სპარსულია და იგი პირველად XI ს. გვხვდება გორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში<sup>1</sup>.

დაბადების ქართულ თარგმანში აბრეშუმის ქსოვილი ორი ვარიაციათაა. მოცემული. ასე მაგ., „დაასხა მას... ჰქონაუბრი ძოწეული, მეწამული ქსოვილივე“ (ესთერ 1 ლ: იშეი); მეორე ადგილას, ეზეკიელთან კი ასე: „იქმნენ გარემოსასხმელი შენი ბისონისანი და ტრიხაპტანი და ქრელი ქიქნაუბრითა შეგასხენ“ (16\_1)<sup>2</sup>. დაბადების ქართული თარგმანების სხვა თარგმანებთან შედარებამ აყად. ივ. ჯავახიშვილი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ეზეკიელის სათანადო ადგილას მოხსენიებული ბერინული „პოველია“, ლათინური „მულტიკოლორი“ და სომხური „პაჭანავუხტ“ აბრეშუმის ქსოვილის აღმნიშვნელი კი არაა, არამედ მრავალფეროვან ქსოვილს გულისხმობს და ქართული „კრელნის“ იდენტურია. მაგრამ დაბადების ქართულ თარგმანში, ისევე როგორც ებრაულ დედანში, „კრელნის“ მოეპოვება მსაზღვრელი „ჰიქნაუბრი“ (ებრაულში ასეთი კონტექსტით — „შემზ ვა მეშზ“; „მეშზ“ აბრეშუმია, „შემზ“ წრელია), ამიტომ დაბადების ქართული თარგმანის ამ ადგილას აუცილებლად აბრეშუმია საგულისხმებული, როგორც ეს აყად. ივ. ჯავახიშვილს მიაჩინია (ყოველ შემთხვევაში კრელი აბრეშუმის ქსოვილი). ბერინული, ლათინური და სომხური თარგმანების „კრელს“ კი ასეთი მსაზღვრელი არ ამღავს<sup>4</sup>.

სულხან-საბა არბელიანიც აბრეშუმს განმარტავს როგორც ჰქონაურს და იმოწმებს ეზეკიელის ზემომოყვანილ ადგილს<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ნაკვეთი III, ტანაციურები და ქსოვილები საქართველოში. ხელმარტონ ბ. ფონდი VIII, გვ. 31—32. აყად. ივ. ჯავახიშვილის გადმოცემით X ს-დე აბრეშუმის აღსანიშავედ ბრაზებაში კართული მეორე კართული „შარიდი“ შარიდი (იმოწმებობს მარს). მაგრამ პატივისმეტე აკტორს აქვთ მოახერხონ იუსტიცია ასულადნის მოსახლეება იმსას შესახებ, რომ შავადი „შარიდი“ მცდარი წანაკითხით, უნდა იყოს საკარსული („შარიდ“), რაც წინადა, ძვირფას ტილოს ნიშანებს (ე. ი. აბრეშუმი აქ არ არის საგულისხმებელი). ეს სატყვა შემოვრის იმთავითვე შარივნილია ხელნაწერებში და გვხვდება ან შედის, ანდა შარიდს სახით (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშროვი, გვ. 33). ასევე „შარიდ“-ი განმარტებული პროფ. მილერის მიერ შედგენილ სპარსულ-რუსულ ლექსიკონში — Высококачественное тоноческое полотно, Персидско-русский словарь, составил проф. Б. Миллер, Москва, 1953, №. 309, სტრუქტან چرب.

<sup>2</sup> ი ქ 3 ვ, გვ. 32.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშროვი, გვ. 32.

<sup>4</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი აღმნიშვნელი აქვთ, რომ ენეგერეას ხემომოყვანილ კონტექსტში აბრეშუმის ქსოვილის ვარაუდი საგვევოდ მიაჩინა პროფ. სოციის. ერთადერთი ადგილი სადაც სოციის ასაზოთ აბრეშუმშე შეიძლება იყოს საუბარი, არის ითანებელი გამოცხადების (18\_1). ადგილი, მაგრამ ბერინული „სერივანის“ და ლათინური „სერივების“ სათანადო ქართულ თარგმანში აბრეშუმის აღმნიშვნელი კართული ტერმინი სულ არ მოიპოვება, ისევე როგორც სომხურში. ივ. ჯავახიშვილის მოსახლეობით, შეიძლება აქ აბრეშუმის აღმნიშვნელი სიტყვა გამოტოვებული იყოს და ქართულ თარგმანში წითელი ფერის ქსოვილების ელოდზე მოკაბებებული სოხუმი ქართული თარგმანის სხვანაშია რედაქციების შეერთებისაგან იყოს წარმომადგარი (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშროვი, გვ. 33).

<sup>5</sup> სულხან-საბა თ რ ბ ვ ლ ი ა ნ ი. ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქტორით, ტფილისი, 1928, გვ. 4, სიტყვასთან „აბრეშუმი“.

კივნაუხტი „შუშანიკის წამებაშიც“ არის შოსხენიებული: „შუშაშეგ წინაუზია ცვლად კივნაუხტისა საქმისა... კელთა აღისუნა დავითინი და... იგი ფსკლეშუმეობა დაისწველნა“. ამ ძეგლის გამომცემლისათვის — ს. გორგაძისათვის სიტყვა „კივნაუხტი“ გაუცემარია, თუმცა მას გამოთქმული აქვს მოსაზრება ამ სიტყვის კავშირზე სომხურ „კავანაუხტთან“, რაც თავის მხრივ ბრწყინვალეს, მრავალფროვანს, ცრელს ნიშნავს<sup>1</sup>.

საყურადღებო გამოკვლევა მოეპოვება ამ საკითხზე პროფ. ილია აბულაძეს. მისი განმარტებით „შუშანიკის წამებაში“ მოხსენიებული კივნაუხტი გულისხმობს „აბრეშუმით ქსოვას, ან აბრეშუმის ხელთასეპარს“, ხოლო „კივნაუხტისა საქმე“ აბრეშუმექსოვილის თუ ოქროქსოვილის საქმეა („საქმარია“)<sup>2</sup>. ეს კი ხელთასექმარი იყო ქალისა, როგორც უფრემ მცირეც აღნიშნავს (დედაკაცი არს მომღებელი კივნაურისა-ო). ამიტომაც იაკობი აღნიშნავს, რომ ნაცვლად ქალისათვის (ისიც დაიდგულის კოლისათვის) მიჩნეული გარკვეული ხელთასექმარისა (რაც აქ ამ აბრეშუმისა თუ ოქროქმედის საქმიანობაა), მან „დიდითა გულმოდგინებითა კელთა აღისუნა დავითნი...“<sup>3</sup>. ხოლო თუ რა მიმართებაშია კივნაუხტი კივნაურთან, ილ. აბულაძის განმარტებით, უცნობია. პარიზუმული აეტორის მოსაზრებით, „კივნაუხტის შეცვლა კივნაურად დაწერილობის ნიადაგზე არ უნდა მომხდარიყო“<sup>4</sup>. კივნაუხტის სომბური შესატყვესი, ამავე აეტორის ცნობით, კაპანაუხტია; იგი იმოწმებს აქარიანს და აღნიშნავს, რომ სომხური „კაპანაუხტი“ შედგენილი სიტყვაა, რომლის მეორე ნაწილი „ვუხტ“ ქსოვილს ნიშნავს, ხოლო პირველი ნაწილის „კაპან“ ის ეტიმოლოგია უცნობია. ერთად აღებული იგი ფერად-ფერადი, ბრწყინვალედ ნაეკთები ნაეკთები თუ ტანსაცმელია. თუ „კაპან“ იგივე ქართული „პინაა“, გაზინ იგი აბრეშუმი იქნებოდა, ხოლო კაპანაუხტი აბრეშუმის ქსოვილი. ილია აბულაძის აზრით, ქართული კივნაურის თუ კივნაურის სინონიმიდ სომხურში იქროქსოვილი ანუ ოქროქმედი იხმარება (იმოწმებს სომხურად და ქართულად დაცულ „მამთა ცხოვრებას“)<sup>5</sup>.

კივნაური რომ აბრეშუმის ქსოვილს ნიშნავდა ზოგადად, რომელშიაც ოქრომკედი თუ ოქროქსოვილიც იგულისხმებოდა, ეს მოვეიანო ხანის ძეგლებითაც დასტურდება. დ. ფანასკერტელი-ციციშვილი, აღწერს რა სიძის სამისელს, აღნიშნავს: „მაზინ სასიძოცა შთაიცვამდა ძეირფასსა სამოსელსა: პერანგსა კივნაურისასა, პერანგის ამხანაგსა კივნაურისავე. წევითა ზედა პაიტსა. ფერხთა ზედან წინდასა აბრეშუმისასა“<sup>6</sup>. ამ კონტექსტში, რასაკერვლია, აბრეშუმის ქსოვილი იგულისხმება, რაღან საცვლებისათვის ოქრო-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 31. იმოწმებს შუშანიკის წამების<sup>7</sup> ს. გორგაძისულ გამოცემას, XII, გვ. 14—15. შერ. „სამებაა წმინდისა შუშანიკისი დედოფლისას“, ქრისტენი წინ ისტ. ქრისტომათა, გამოსცა ი. იმნაიშვილმა, ა. ზარიძის რედაქციით თბილისი, 1953, გვ. 154.

<sup>2</sup> იაკობ ცერტაველი, მარტივლობა შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლეულა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი. აბულაძემ, ტუილისი, 1938, გვ. 98, სიტყვებთან „კივნაუხტი“.

<sup>3</sup> იპვ.

<sup>4</sup> იპვ:

<sup>5</sup> იპვ.

<sup>6</sup> დ. ფანასკერტელი—ციციშვილი, შემოკლებული მოთხოვნა ქცევასა და წევრულებათათვეს ქართველთა, „ივორია“, 1891, № № 121, 122.



ქსოვილს არ ხმარობდნენ. ხოლო ქალის ჩატულობის აღწერის ფრენტის აზრით რა განასხვავებს ოქრომკედას ჩვეულებრივი აბრეშუმის ქსოვილისაგან? „თავ-ზე ქალებს ებურათ ლეჩაქი ზედოვლებულის ფონითა, რომელთამც ლერო-მკედის, რომელთამც კიქნაურისა“<sup>1</sup>. მესამე ადგილას კა დავით ფანასკერტე-ლი-ციციშვილი ოქრომკედას კიქნაურთან აიგივებს: „პერანგი ზოგთა წითელა, ზოგთა კვათელი გრძელნი ფერხთამდე, გულთან ზედან მოვლებულის გრეხა-ლითა, რომელი იყო მრავალგვარი: მარგალიტისა, მძიეისა, ხავერდისა, ნაქ-სოვ ლერომკედის ანუ კიქნაურისა და შეკრული ძვირფასის ერთის ლილითა“<sup>2</sup>.

კიქნაური აბრეშუმის მნიშვნელობით დ. გურამიშვილის შემოქმედებაშიც კვხვდება. გურამიშვილს ერთ თავის ლექსში, რომელსაც „უკვდავების წყაროს იგვთ აქსნა“ ეწოდება, ნათებადი აქვს: „ღმერტონი ქვეყნად რაც მოჰყინა, უკვლა ჩევნოვის განაჩინა... კიაც ჩევნოვის ამერია, კიქნაური აბარკინა“<sup>3</sup>.

მშასადმე, კიქნაური-კიქნაუჩხეთი აბრეშუმისაც ნიშნავს და აბრეშუმის ქსოვილსაც (ოქრომკედი, ოქროქსოვილი). ხოლო „შუზანიკის წამებამი“ მოხსნიებული ჭიქნაუჩხის საქმე თუ ქალისათვის მიჩნეული აბრეშუმის გარ-კვეული საქმიანობა, გაშიც ცხადი ხდება, რომ V ს. საქართველოსათვის ცონილია აბრეშუმის კულტურა.

ზემოაღნიშნული ფაქტები და ის გარემოება, რომ საქართველოში არსე-ბული გაღმოცემა აბრეშუმის კულტურის შემოტანას ინდოეთიდან ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება<sup>4</sup>, საშუალებას გვაძლევს ვიერაულო მეაბრე-შემების კულტურის არსებობა საქართველოში V—VI ს-დან მაინც.

Н. Н. АБЕСАДЗЕ

## ИЗ ИСТОРИИ ШЕЛКОВОДСТВА

### Р е з ю и е

В статье автор касается вопроса первоначального производства шелка, и существования шелководства в Китае с древнейших времен; рассматривает вопрос торгового сношения Грузии с Востоком, существования караванных дорог между Грузией и Китаем и далее пытается определить время возникновения шелководства в Грузии.

<sup>1</sup> დ. ჭანასკერტელი ი-ცი ი-ცი ი-ცი ი-ცი ი-ცი, იქვ.

<sup>2</sup> იქვ., დასახ. ნაშ.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 49. ავტორს გურამიშვილის ეს ლექსი ციტირებული აქვთ ალ. ბარამიძისა და ს. იორგაშვილის გამოცემით, „პერთული წიგნი“, 1931, გვ. 41, §—141. შტრ. დ. გურამიშვილი, „დავითიანი“, თბილისი, 1955, გვ. 46.

<sup>4</sup> А. Натроев, დასახ. ნაშრომი; Н. Шавров, Описание Кавказского шелководства, СМОПК, XI, Тифлис, 1891, გვ. 154; ბ. ჯანშვილი, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1894, გვ. 41; Известия Кавказской шелководственной станции за 1904 г., том VI, вып. 14, გვ. 46; Поверия и предания, относящиеся к шелководству, в некоторых местностях Закавказья, «Кавказ», 1891, № 161; ბ. ღვიარფაქ, დასახ. ნაშრომი, გვ. 8; ნემსახ, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

## გურიაშვილი

 ხევსურული აბჯარი<sup>1</sup>

ბერძნული წყაროებიდან ცნობილია, რომ შავი ზღვის პირას მცხოვრებ ძეველ ქართველ ტომებს — ტიბარენებს, მოსინიებსა და მაქრონებს და. წელთაღრიცხვის V—IV საუკუნეებში ჰქონიათ სამხედრო ორგანიზაცია და ჰყოლიათ შეიარაღებული ძალები. ამ ტომებს თავზე ხის ჩამარჯვები ეხურათ, იარაღიად კიდევ პატარა შეტებსა და ფარგებს ხმარობდნენ ხოლმე<sup>2</sup>. მეტად საურადლებო ცნობებს გვაწევდის ჰქონდოლე (V საუკ. ძვ. წ.): „მოსოხებს თავზე ეხურათ ხის ჩამარჯვები, შეიარაღებულები იყნენ ფარგებით და მოკლე შუბებით... კოლხები თავს იფარავდნენ ხის ჩამარჯვებით, ჰქონდათ არც თუ დიდი ფარგები ხის ტყავისა, მოკლე შუბები და დანები“<sup>3</sup>. „აჩვარიშვასაწევია ქსენოფონტეს ცნობები (V—IV საუკ. ძვ. წ.): „ხალიბებს სელის პერანგები ეცვათ, რომელიც მუცლამდე ჩამოდიონდა. ატარებდნენ ჩამარჯვებსა და საჩერნეებს“<sup>4</sup>.

განსაკუთრებით საინტერესოა არქეოლოგიური მონაცემები ძვ. წ. აღრიცხვის მეორე ათასეულის პირველი ნახევრისათვის. თრიალეთში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა: „სპილენძის ბაჯრის ნაწილები (ექვსი ბუცობი, წვრილ-წვრილი კობებით შემცული და შუაში თასმის გასაყრელად გახერხეტილი), სპილენძის ბრტყელი შუბისპირი და სხვა“<sup>5</sup>. ვამზე აღმოჩნდა ფართლისტებური ბრინჯაოს ჯავშანი, რომელიც თარიღდება ძვ. წ. აღრიცხვის IV—III საუკ. საყურადღებოა მდ. ენგურის შესართავთან ერთ-ერთ სამართში აღმოჩნდილ ჯავშანი (ბრინჯაოსი), სამართი თარიღდება ახ. წ. აღრიცხვის I—II საუკ.<sup>6</sup> ასევე კლდეეთში აღმოჩნდილია ჯაჭვის პერანგის ნაშთი, რომელიც დამზადებულია ახ. წ. აღრიცხვის II—III საუკუნეებში<sup>7</sup>. საინტერესოა სოფ. გოლოვინოში (სომხეთის სსრ) აღმოჩნდილი აბჯარი, რომელიც მსავასებას პოულობს თრიალეთის აბჯრის ნაწილებთან<sup>8</sup>.

<sup>1</sup> ძირითადი მასალა შეიარაღების კომპლექსის შესახებ მოპაცვებული ვაჭვების ველზე, ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვივებში.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი, 1951, გვ. 11.

<sup>3</sup> Геродот, История в девяти книгах, Москва, 1886, стр. 166—167.

<sup>4</sup> Ксенофонт, Анафасис, М.—Л., 1951, стр. 120.

<sup>5</sup> Б. Куптии, Арх. раск. в Триалети, 1947, стр. 149.

<sup>6</sup> А. Амирканашвили, Новая находка в низовьях р. Ингуре, г. Тбилиси, 1952, стр. 38.

<sup>7</sup> ესარგებლობით კ. ჩოლოფაშვილის ს ხელნაშერით „ჯაჭვის პერანგები“ (საქართველოს საბ. მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილება).

<sup>8</sup> А. Минацаканян, Арх. раск. могильников у села Головино, СИМК, вып. XVI, 1952, стр. 68.



ქართულ ისტორიოგრაფიაში გაფანტული სახით მოიპყვრდა ზოგიერთი უკანასკნელი შემადგენელი ელემენტების აღწერილობა. პირველი არასრული ცნობა აბჯარის შესახებ მოცემულია თხზულებაში ჭოქურად ქართლისა: „და ამა დღა კაცი ერთი სპილენძისაც, და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭვ იქროსა და ჩაფაფუტი იქროსა. და სამეჯარნი ესხნეს ფრცხილი და ბივრიტი. და ხელსა მისსა აქ-უნდა ქმალი ლესული“<sup>1</sup>. ნიკორწმინდის სიგელში (XI საუკუნე) სამოთვლილია „აბჯარის“ ელემენტები: „წირქვალელის ძებან შემოსწირა გლეხი: ზა და კრმალი:ა ... მივეც ჯაჭვა:ა და ქაფი ჯაჭვსაცა:ა ... მივეცი ცხენი:ა: და ჩაბ-ლახი გუდამყრული:ა:“<sup>2</sup>. თამარ მეფემ, როგორც წესია, „განახნა სპა-ნი მისინ და იხილნა აბჯარითა კეთილითა და პატიოსნითა და მოწყონა აბ-ჯარი და ცხენ-კეთილობა მათი, სიდიდე და სიმენე სასთა მისთა შურითა სპარსთამთა აღსავეობად“<sup>3</sup>. ე. ი. თამარმა დაათველიერა მოლაშქრეები და მათი შეიარაღება „იხილნა აბჯარითა“, „მოუწონა აბჯარი“, ამ შემთხვევაში „აბჯარი“ შეიარაღების მთლიანობის გამომხატველი სიტყვაა.

ტერმინი „აბჯარი“ ქართულ ისტორიოგრაფიაში IX—X საუკუნის ძეგ-ლებში გვხვდება<sup>4</sup>, მან განდევნა შეიარაღების კომპლექსის გამომხატველი მისი წინარე ტერმინი „საკურველი“. მაგრამ „საკურველი“ მაინც რჩება პა-რალეურად აბჯარისა, თუმცა ეტყობა, რომ მიმდევნო ხანაში იგი თანა-თონობით გადის ხმარებილი და ტერმინი აბჯარი საბოლოოდ მცვიდრლება<sup>5</sup>. ეს კარგად ჩანს „ქართლის ცხოვრებისა“ სათანადო ადგილებიდან, სადაც შეიარაღების კომპლექსის აღმნიშვნელ ტერმინიდ საკურველი იმშარება და იმავე დროს მის გვერდით მოიხსენება ახალი ტერმინი აბჯარი. უპასი იყო ჭურვილი რეინითა და რვალითა ტერფთაგან ვადრე თხებამდე<sup>6</sup>, ანდა „ადგირო სისარულითა აღიძურნა საკურველითა მშევნიერითა“<sup>7</sup>. იქვე, სელვა აბ-ჯარისა მათისა<sup>8</sup>. იგივე ფაქტი დასტურდება XII საუკუნის ქართულ მწერ-ლობაშიც, სადაც ერთსა და იმავე დროს დასხელებულია კომპლექსის აღმ-ნიშვნელი ორიცე ტერმინი: „ჯაჭუ-საკურველი“<sup>9</sup>, „ჩაფაფუტ-ჯაჭუ ჭური“<sup>10</sup>, და „აბჯარ-ხმალი“<sup>11</sup>.

ასეთივე საინტერესო ცნობას იძლევა საგმირო-საფალავნო თხზულება.

<sup>1</sup> ქართული ენის ისტორიული ქრესტომათა, ტ. I, გვ. 275.

<sup>2</sup> თ. ე თა და ნია, ქრონიკები, წიგნი II, 1897, გვ. 45.

<sup>3</sup> ისტორიანი და ამანი ზარაგანულთანი, ტ. ჰელიონის რედაქტ., თბილისი, 1941, გვ. 132.

<sup>4</sup> ივ. ჯავახი შეი და, მატერიალური კულტურის ისტორიის IV ნაკ., ფონდი B, № 8, გვ. 5 (შემნახური).

<sup>5</sup> იარაღის კომპლექსის გამომხატველმა სახელმა დროთა განმავლობაში ასეთი გზა განვ-დლო: ა) ჭურვდა (იხ. „დაბადება“, გვ. 50 ადალი ჭურველი შენ, გამარტი და მშეოლდა). ანდა იმურბელი „რეინისა“, ივებ, გვ. 338), ბ) საკურველი „აბჯარის“ წინარე ტერმინი („და უქრეს ასი იგი კაცი შეკურვილი საკურველითა საბრძოლოსათა“, „დაბადება“, გვ. 533), გ) „აბჯარი“ და დ) „შეიარაღება“.

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრება, ს. ყაუ ხ ჩ ი შეი დ ი ს რედაქტ., 1942, გვ. 4.

<sup>7</sup> ქართლის ცხოვრება, ს. ყაუ ხ ჩ ი შეი დ ი ს რედაქტ., 1942, გვ. 24.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 24.

<sup>9</sup> ზავთვლი, ს. კიბინარის გამოცემა, 1882, გვ. 21.

<sup>10</sup> ზავთვლი, გვ. 16.

<sup>11</sup> ზავთვლი, გვ. 20.

„ამირანდარეჯანიანი“: ნახეს „საქურვლისა ნალეწი“ და დილასა მშევეგმიშვილის  
ამირან საქურეთოთა აბჯრითა<sup>1</sup>.

„ეფუბისტყაოსანში“ მრავლად არის ნახმარი აბჯარი, როგორც შეკურ-  
ვილობის გამომსახველი სახელი: „კიდობანი გახსნეს, პოდი მუნ აბჯარი სამი  
ტანა“<sup>2</sup>. შემდეგ კი ჩამოთვლილა, რა ელემენტებისაგან შეღება აბჯარი:  
„ჯაჭვი, ხმალი, მუზარადი, საბარკულინი მათა გვანი“<sup>3</sup>. ჩვენ ვასკვნით, რომ  
ტერმინი აბჯარს XIII—XIV საუკუნეებიდან უჩნდება შეტოვე „იარალი“<sup>4</sup>,  
როგორიც აბჯრის გვერდით იხმარება:

ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული აბჯარი სა-  
ყურადღებო და რთული შედგენილობისაა. აბჯარმა დიდი ხანია დაკარგა თა-  
ვისი პირვენდელი მნიშვნელობა, როგორც შეიარაღების მთლიანობის აღმნიშვ-  
ნელმა ტერმინმა, რომ „აბჯარი, რაც რო საჭირო ას კაცისად იარალი, იმას  
ეწოდების“<sup>5</sup>; ანდა „სრული იარალი რაცა ას, რო არაფერი ძკლია კაცს“<sup>6</sup>;  
ეს კარგად ჩანს ხევსურულ პოეზიაში:

ფშაველ-კევსურთა უთხარით  
წელთით დაინიშნან აბჯარინი<sup>7</sup>.

აბჯარი ამ შემთხვევეში თავისი მოცულობით ძალიერი ვიწრო მნიშვნელო-  
ბის შემცველია და იგი შეიარაღების მთლიანობას აღარ ნიშნავს. „წელთით  
დაინიშნან აბჯარინი“—იმდენად დაკინებულია, რომ აღნიშნავს ხმალს ან ხან-  
ჯალს. ასევე, როდესაც ხევსური ქორწილში ანდა სტუმრად მიღიოდა, მასპინ-  
ძელი ეტყვოდა მას: „აბჯარი ჩამაიყარენი“, აქაც ხმალის ან ხანჯლის მოხსნაშე  
მიუთითებენ. „აბჯრის“ გვერდით გვხვდება სხვადასხვა სახელწოდებები. მაგ.:  
„ერთ კევსურ ვნახი, ჰალასი მოვიდოდ, ჯაჭვ-მუზარადში ჩამჯდარი იყევ“<sup>8</sup>.  
„ჯაჭვ-მუზარადში ჩამჯდარი“<sup>9</sup>, „იარალში ჩამჯდარი“<sup>10</sup>, „ჯაჭვ-იარალიანი  
კაცი“<sup>11</sup>, „საფარ-იარალიანი კაცი“<sup>12</sup> და სხვ.

განვიხილოთ, როგორ ესმით „ჯაჭვ-მუზარადში ჩამჯდარი“, „იარალში  
ჩამჯდარი“, „საფარ-იარალიანი“ და სხვა ტერმინები თვით ხევსურებს.

გიგია ნუნუას ძე ჭინჭარაულის (სოფ. ბარისახო) ცნობით, „ჯაჭვ-  
მუზარადი ას: თოფი და ქმალი, ჩაჩქანი და პერანგი, სამკლავე და საფუქარი,  
საჩქრენ და ჯლანი“. სუმბატა ხეთისას ძე არაბული (სოფ. გველეთი), „ია-  
რალი ჩამჯდარს“ ასე გვიხსნის: „მოლაშერეს ეხურა ჩაჩქანი, უცვა ჯაჭვი.  
ჯლანი გაზელილი ტავისაგან დამზადებული, უკეთა სამკლავები, საფუქრე-  
ბი, ლაჯიები, ჭეონდა თოფი, ფარი და ხმალ-ხანჯარი“<sup>13</sup>. 75 წლის გაგა გიორ-

<sup>1</sup> ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. II, გვ. 202.

<sup>2</sup> შ. რუ ს თავე ღ ი, ლენინსტყაოსნი, 1951, სტრ. 1963.

<sup>3</sup> შ. რუ ს თავე ღ ი, ლენინ, 1019 სტრ.

<sup>4</sup> „აბჯრის“ მაგირე „იარალ“ აბარება; „შეცურვალის“ მაგირ „შეიარაღება“.

<sup>5</sup> მთხოვნელი გაფა გოორგის ძე ჭინჭარაული, 76 წ., სოფ. ლული (ბაცალიგოს სასოფ. საბჭო).

<sup>6</sup> მთხრ. გიგია ჭინჭარაული, 55 წ., სოფ. ბარისახო.

<sup>7</sup> ნ. ბი ზანა შვილი, ეთნოგრაფიული წერილები, თბილისი, 1939, გვ. 129.

<sup>8</sup> გიგია ჭინჭარაული (სოფ. ბარისახო).

<sup>9</sup> მთხრ.-სუმბატა არაბული (სოფ. გველეთი).

<sup>10</sup> მთხრ. ვანო არაბული (სოფ. გველეთი).

<sup>11</sup> მთხრ. მიხ. წიკლური (სოფ. როშე).

<sup>12</sup> მთხრ. გაგა ჭინჭარი (სოფ. ლული).

<sup>13</sup> მთხრ. გაგა ჭინჭარისათვის, ტ. IX.



გის ძე ქისტაური „საფარ-იარალიანს“ ასე გვიხსნის: „კაცი უზრუნველისი მარტივი და სრუ ყველა იარალი“. ეცვა ჯაჭვის პერანგი, ჰქონდა სმილ-ხანჯარი, თოფი და სრუ ყველა იარალი“.

მაშასალამე, მთხრობლები შეიარაღების კომპლექსს სხეადასხეა ტერმინებით აღნიშნავენ და, თუ დავუკვირდებით, აღნიშნული ტერმინები იგვე „აბჯრისა“ სახეცულილებებია, რადგან შეიარაღების კომპლექსი დროის მიხედვით ხან იზრდებოდა და ხან მცირდებოდა. ასეთივე ცვლილების განიცდიდა თვით ტერმინოლოგიაც.

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ამჯარი ორ ჯგუფად იყოფა:

პირველი ჯგუფი — თავდასასასხმელი იარალი: შევილდ-ისარი, შურდული, შუბი, მათრახი, სმილ-ხანჯალი, საბრძოლო სათითურები და თოფი დანართით.

მეორე ჯგუფი — თავდასაცავი იარალი: ჩაქანი, ჯაჭვი, ფარი, სამელავეები, საფუქრები, სანერნები და უბის ფარი.


### თავდასასხმელი იარალი

თავდასასხმელი იარაღების ჯგუფში შემავალ ელემენტთა შორმედების სფერო და მათი გამოყენების ხერხები მოითხოვს ამ ჯგუფის იარაღთა ქვე-ჯგუფებად დაყოფას:

- სატყორცნ-სასროლი იარალი (შევილდ-ისარი, თოფი თავისი დანართით და შურდული),
- საქრელ-სახები იარალი (ხმილი და ხანჯალი),
- საჩევლერი იარალი (შუბი),
- შემოსაკვერცლი იარალი (მათრახი),
- საბრძოლო სათითურები.

### ა) სატყორცნ-სასროლი იარალი

შე რ დ უ ლ ი (სურ. 1) ადგილზე, ხევსურეთში მზადდებოდა ხის ქერქისა (ცაცხვის) და ტყავისაგანაც. ცაცხვის ქერქისაგან დაწნავდნენ შურდულის



სურ. 1

- დამზადებული წვერი
- გამშევები წვერი
- საჭვე
- შურდულის ქვები

თარ ჭყერს: „გამშვებს“ და „დამკავებელს“, ჭყერებს შუა ტყავის ანდა ნაკუთხვის „საქვე“ იყო, სადაც „შურდულის ქა“ თავსცდებოდა. შურდული მარჯვენა ხელში ეკავათ: „დამკავებელი“ წვერი სალოე თითხე იყო ჩამოცმული, ხოლო „გამშვები“ წვერის ნასკე სალოე და ბერია თითხე შუა იყო მოთავსებული. მარტენა ხელით „შურდულის ქას“ ჩასდებდნენ „საქვეში“, შემდეგ სამჯერ-თხხევრ დაატრიალებდნენ შურდულს და „რომ მონარქვება, მაშინ უნდა გასროლა“<sup>1</sup> (ბერა და სალოე თითხებიდან „გამშვებ“ წვერს გაუშვებენ) (სურ. 2). შურდული შეარაღების კომპლექსში სატყორცნ იარაღად გვიცლი-ნება. („შურდული ტყორცად ქვსა“<sup>2</sup>) და წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს იარაღს. ჯერ კიდევ ჩე. წ. აღმდე VI—V საუკუნეებში იგი საშიშ და სერიო-ზელ იარაღად ჩანს: „...სხვა უფრო მცირე ქვებაც, შურდულით გასროლილი მიღიერთა მუზარალებსა და ფარებს სტებდნენ“<sup>3</sup>. ასევე მომდევნო ხანშიც შურდული მშვილდ-ისართან ერთად იმბარება სატყორცნ სასროლ იარაღად. ლაშქარში იყო სპეციალური ჯუფური მეშურდულებთა<sup>4</sup>, რომელიც ბრძოლის დაწყებისას მოწინააღმდეგაც ზორ მანძილზე (დაასლოებით 500 ნაბიჯზე) უშენ-დნენ ქვებს, ტყვიისა და რინის ნაკრებს<sup>5</sup> (სურ. 3).

მშვილდისა და „ისრისაგნ“. საინტერესოა ამ იარაღის დამზადების ხალხური წესები. „წავლო ტყეცი, ვეკარჩევთ სამშვილდე ხეს—დგნალს, იმით რო სხვა ხე ადგილიდ ტყდება, დგნალი კი ცოტა ლვედიანია (მოქნილი) და ადვილიდ იწელების. ამოვარჩევთ ხეს, სათაც სჭო-რი ადგილია, ექვსი მტკავლის სიგრძისას და მოვერით წალდით. „სამ-შვილდე ხეს“ გაექერქავთ, მოვიტანთ სახლში და ზავდებთ მაღლა ასაყარზე (კერის თავის ხეები), რო ზაქენეს. 3—5 დღის განმეოღლობაში გაშრება ხე, მერე ჩამოვიტავთ, ავილებთ ძაფს, გაეზომავთ ხეს, შემდეგ გადავკეცავთ ძაფს ზუაზე. სამაც შაიყრება, შუა ადგილი ის იქ-ნება და იქით-აქეთ სამ-სამ თითო გა-დაგზომავთ. შუა ადგილი ექვსი თითოს სიგრძისა არის და ეგივე მშვილდის საკულურა. ჩაეკიდებთ საკელურას ჰლოს და დავიწყებთ თლას შეგნიდან“ (ც. არაბული, სოფ. პეტა). პირველად გო-ზებს გამოიყვანენ და ამას ეწოდება „გამოშვილდვა“. შემდეგ კოპოზარით (რეინის საფხელელი) ფხევენ და გაუკეთებენ მშვილდის თავსა და ბოლოს. მშვილდი როგორ „მასა ას“, შემოიკიდება იშეკიბენ საბაზის დამზადებას, რომელიც



<sup>1</sup> මින්සුරු- සාමාජික පිළිබඳ රාජ්‍යාංශය (බෙංගල. බාරුපිසාක්ෂ).

<sup>3</sup> „ပေါင်းစပ်မြတ်”, ၁၀၂၃၊ ၁, ၃၃, ၉၃၄.

<sup>3</sup> Georgica, ბათუმიული მუზეუმის ცნობები საქ-ს შესახებ, ტომი III, სიმ. ყაფნი- შეკვის (რედაქც., 1936, გვ. 148).

<sup>4</sup> Большая энциклопедия, изд. I-ое, т. XV, стр. 564.

„აბრაშუნისა“ ანდა კანაფისა იყო. დათესავდნენ კანაფს, როტერაც მუსიკის დებოლდა საექნე, მოკრეფლენენ, ღეროს გაახმობდნენ, შემდეგ წყლის ჩასულდნენ.



სურ. 3  
მეშურდული

ამოვილებთ „კილოს“, შემდეგ ამოვერით სათბერებს. ავილებთ ბალის წებოს (ბალმწარი), გავაღნობთ რძეში (ცივ-ცხელში), ჩაუშევებთ წებოს დახაზულებში და დავაგრავთ ბორას თბებებს, სამ რივ თბეს გაუკეთებთ ტოლებს<sup>1</sup>. შემდეგ უკეთება რინის „ჭრო“<sup>2</sup> (ჭერი). „ჭროს გაეკეთებთ ლურსმისაგან, დავჯენ-ჯავთ და დავაძრტყელებთ ლურსმანს, გაუკეთებთ ყუნწს, ჩამავაცვამთ ტარს და მივილებთ ისარს“<sup>3</sup>.

ამის შემდეგ მშევილდ-ისარი მზად იყო (სურ. 4). მშევილდი ისრის სატყორცნა, მის აქეს ორი „გონა“ („მწუტრეფლი“—საბა), გონებს შეა საკელურა“, სადაც თაესდება ისრის „კილო“ (ბოლო), მშევილდზე გადაჭიმულია „აბრაშუნის“ ანდა კანაფის „საბამი“.


<sup>1</sup> მთხრ. გუჯი თოთიას ქე არაბული (სოფ. აქება).

<sup>2</sup> მთხრ. გ. ვ. არაბული (სოფ. გველთი).

<sup>3</sup> „ჭრო“ საბას მიხედვით კაცის ან ისრის ტანი. იჩ. საქ. საბ. მუშეუმის ეთნოგრ. განც-ფონცების რეკინისხროანი ისარი, სოფ. ზატილიანა № 3—27/222—223.

<sup>4</sup> მთხრ. განი ორას ქე არაბული (სოფ. გველთი).

მოლაშქრეს მშეილდი შარცხენა ხელში ეკავა, ხოლო მარჯვენა მოშენების სალოკ და ბერა თითებს შორის ისარი იყო მომწყველული. მსროლელი ამონილებდა მტერს „ლიშანში“ ისე, რომ „ისრის ზრო ეხდებოდეს ლიშანს“<sup>1</sup>, ჰემდევ მოსწევს ისარს და გაუშევებს. მთავარია მშეილდის მოზიდვა, რათა ისარი „მრუდეთ“ ანდა „არმართლად“ არ წავიდეს:



სურ. 4  
მშეილდი და ისარი

ისარი	ისარი	ისარი
1. მშეილდის თავი	1. წევრი	1. კოლი
2. მუცული	2. ზრო	
3. ზურგი	3. ტანი	
4. გოხა	4. თბენი	
5. საკელურა	5. ყია	
6. საბამი		

მსროლელი ხელის გულზე ტყავს ანდა თასმას იხევდა, რათა მშეილდის შონიდვის შემდევ საბერლის დარტყმა შეენელებინა. ხელის გულის დაცვის ეს ძეველი საშუალება დასტურდება სხვა ხალხშიც.

ისრები მოთავსებული იყო „ქარქაშში“, „საისრეში“ ანდა „ქაპარჭში“. „საისრე“ კეთდებოდა დგნალის ხისაგან, რაღაც „დგნალის ხე მზუბუქი ას“<sup>2</sup>. ორ ტოლ ხის ნაჭერს გულს ამოუთლიან, ერთმანეთზე მიაწყობენ, თავსა და ბოლოში შეერავენ ბაჭრით და დააწებებენ. ჰემდევ გადააკრავენ ტყავს, გაუკეთებენ „საკიდელს“ და ქამარზე მარცხენა მხარეს აქვთ ჩამოქადებული. „სა-

<sup>1</sup> მთხრ. ტ. ვ. არაბული (სოჭ. გვილეთი).



୩୮୯

კირო, სური სტრაფი ცეცხლი თვითონ წარმოადგენდა საფარს, ბოლო ხიზტი საჭიროების შემთხვევაში ცეცხლიდა შებაზა<sup>6</sup>.

თუ დევლად მშეიღლო-ისარი სასროლ საშუალების წარმოადგენდა, ხოლო შები საჩხვდეტ-საძგერებელს, ხელა კაფიანმა თოვფა ხილტით ამ იარაღთა ფუნქციები შეისრულა. ცეცხლმსროლელი იარაღის ხმარებაში შემოსულმა შეიარაღების კომპლექსში ძირეული გარდატეხა მოახდინა, მაგ მრავალი ულემნერთი განლევნა ამ კომპლექსიდან. განსაკუთრებით დაჭკარგა მნიშვნელობა

<sup>3</sup> ଡ୍ର. ଜୁଗାଶି ଶ୍ରୀଙ୍କାଳ, ପ୍ରାଚୀନ ଇତିହାସକା, ପୃ. I, ପୃ. 16.

<sup>3</sup> ქართლის ცენ-ბა, ზაქ. გიგეინაძის გამოკ., წიგნი 1, 1897, ვ. 19.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, ზაქ. ჭიჭინაძის გამოც., წ. 1, გვ. 21.


\* ଫୁଲ. ଏ ନ କ ଏ ଗ୍ର ସ ର, ଅନ୍ତରୀଳ-ପାଇସିରିଜ୍‌ର, ୩୩- ୪୩୩.

\* ପ୍ରକାଶନ କେନ୍ଦ୍ର ମୁଦ୍ରଣ ବିଭାଗ, ପ୍ରକାଶନ ନଂ ୩୮୯, ୧୯୫୫, ପୃଷ୍ଠା ୪୩୪.

(ერთ დროს ეპოქის შემქმნელმა)<sup>1</sup> მშვილდ-ისარმა, რომლის მოქმედების უკანასკნელი არის შეიძლება და მომდევნო ხანაში გამოიყენებოდა როგორც ფრანგული ტექსტების სანალირო იარაღი.

როდის დაიწყო ხევსურეთში თოფის ხმარება, ეს წერილობითი ანდა ზეპირი გადმოცემებით გარკვეულად ვერ დასტურდება.

ხევსურები თოფებში კველაზე მაღლა აყენებენ „ოსტამულს“, „ხირიმს“ და „ტალკვესინ“ ქართულ თოფს. „ხირიმულს“ ანუ ყირიმულ თოფს კონდახის ბოლო ძვლისა პქონდა და ვერცხლის საღრევებით იყო მოჩატული. თოფს თავისი დამხმარე ელემენტებია: პქონდა: „საზალი“, რომელიც რკინისა იყო; გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, თუ ლულაში „ზემბა“ ჩარჩბოდა, ანდა ხრანის მოსაჭრე-მოსაშვერად; „სავაზნე“, რომელშიც ვაზნები თვესდებოდა (სურ. 6); ტყავის „საკიდი“, რო-  
თაც იყიდებდნენ მხარზე;  
„საპირისწამლე“ — გავეთ-  
ბული ხარის ან ჯახვის რქი-  
საგან (სურ. 7). რქის ამო-  
ასუფთავებდნენ, ბოლოში  
ვაუკეთებდნენ „გამოსაყ-  
რელს“, რომელსაც აქვს  
რკინის სარქველი „ფახით“;  
როცა „ფეხს“ დაწვებოდ-  
ნენ, სარქველი აიხდებოდა  
და წამალი გამოიყენებოდა.  
საჭიროა აღინიშნოს, რომ  
ხევსურები თვეითონ ამზადებ-  
დნენ „თოფის წამალს“<sup>2</sup>.



სურ. 6

#### თოფი ტყვია-წიმლით

ასე იტენება: „მარცხნი ხელში თოფი გვეჭირა, ჩარჯვენა ხელით ლულაში წა-  
მალს ჩავკრიდით, შემდევ ტყვიას ჩავდებდით და ისარს (ე. ი. ზემბას) დაკუ-  
რავდით, ჩავტენიდით. მერმ გამოვკრავდით ჩახმახს, კაერ ცუცხლს გაჰყრიდა,  
მოეკიდებოდა წამალს და ბეგვანი (ქუბილი) იქნებოდა“<sup>3</sup>.

#### ბ) საჭრელ-ხაჩები იარაღი


ხ მ ა ლ-ხ ა ნ ჯ ა რ ი (სურ. 8). შეიარალების კომპლექსის დამახასიათებელი  
ელემენტებია ხმალ-ხანჯარი ფართან ერთად. შეიძლება მოლაშქრეს სხვა იარა-  
ღი არ პქონდა, მაგრამ ეს სამი ელემენტი თუცილებელი იყო მისთვის. ამ სამ  
ელემენტს შემორჩა შეიარალების კომპლექსის აღმნიშვნელი სახელი „აბჯარი“. „საისკენ მშვალ აბჯარინ“ — უტყვიან ხევსურები ბავშვს, რომელსაც მხოლოდ  
ხანჯალი ჰქიდია. „აბჯარნ ჩამაიყარენი“, აქაც ხმალ-ხანჯარისა და ფარის მო-  
სნაზე მიუთითობენ.

<sup>1</sup> ფრ. ენ გე ლ ს ი, ოჯახის, ჭრისა საკუთრებისა და საქლმწიფოს წარმოშობა, 1953, გვ. 28.

<sup>2</sup> თოფის წამლის დამზადების წესი აღწერილი აქვთ: A. Зиссерман, ქადაგი 5-6, „ანალები“, ტ. I, 1947, თბილისი, გვ. 215—217.

<sup>3</sup> მთხრ. ბეჭინიქა კონკარაული (სოფ. ბარისახო).

ხევსურები ხმლებს ორ რიგად ყოფენ: „ჯიშიანი“ და „უჯერული“ შიანი“ ხმლების რიგს მიეკუთხება: „დავითფერული“, „ფრანგულმარიანული“ „გორდაფრანგული“, რომლებიც თავიანთი გამტრელობით, სიმტკიცითა და ფოლადის ხარისხის მიხედვით მაღლა დგაანან „უჯიში“ ხმლების რიგთან შედარებით („ჭარული“, „ლეკური“ და სხვ). „ჯიშიანი“ ხმლები ძირი იირდა, რაც თავისთავად გულისხმობს ამ რიგის ხმლების უპირატესობას. მაგ.: შაშინ, როდესაც „დავითფერული“ 20 ძროხა ლირდა, „ჭარული“ ხმალი 3 ძროხად იყოდებოდა.



სურ. 7  
1. ფექი. 2. გამოსაყრული. 3. საკიდი

ჯიშიან ხმლებს ურთიერთისაგან „ლიშებით“, „ბეჭედებით“ და ღარებით ასხვავებდნენ. მაგ., „ურანგული“ „დავითფერულისაგან“ „ლიშებით“ და „ღარებით“ განსხვავდებოდა. „ქმალს აქვ მარცვლები დანიშნულები ყუვზედ და ტარზედ, აქვ სამი ღარი და სწორია“ — შენიშნავენ მთხორმლები. ქმლის პირზე „ფრანგულს“ აქვს „ზეჭედი“ და 18 „ლიშები“ (6 ჯგუფი, თითოეულში სამ-სამი მარცვალი). ფრანგული ხმლის ხალხური ზომაა: „გაშლილი ხელი პირველ ლიშებამდე, შემდეგ შტკაველი და ორი გოჯი და ერთი ციდა, ციდა უკვე „შაშალია“. დავითფერულს აქვს ორი ლარი, დავითფერულის ნიშები პირზეა დაწერილი, მთელი ხმლის პირის 1/3 „შაშალი“ აქვს<sup>1</sup>.

ჩვენ გვინდოდა მიახლოებით მაინც გაგვიგო, თუ საიდან შემოდიოდა „ფრანგული“ ხმალი ხევსურეთში, ანდა სახელწოდება „ფრანგული“ საიდან შეერქვა მას, მაგრამ ამის შესახებ წერილობითი წყაროები სღუმან, ეთნოგრაფიული მასალებით ჯერონიდ პასუხის გაცემა კითხვაზე ვერ ხერხდება, ხალხურმა ზეპირსიტყვაობამ კი ცოტა-ოდენი მასალა შემოგვინანა ამ საკითხზე:

„ხმალმა თქვა, ფრანგეთს ნაჭედმა,  
ფრანგმა ფრანგეთში გამჭედა.  
ამამამლერა პატრონმა,  
წამაგა, ჯვარი დამწერა“<sup>2</sup>.

ამ ლექსის თავისი პარალელებიც გააჩნია, სადაც ჭველგან ნათქვამია: „ხმალი ფრანგული რკინაო“<sup>3</sup>, „ფრანგში ოსტატმა დამჭედა“<sup>4</sup>, „ხმალო ფრანგისა ნაჭედო“<sup>5</sup> და სხვა.

<sup>1</sup> მთხ. გ. ი. არაბული (სოფ. გველთი).

<sup>2</sup> მთხ. გ. კ. არაბული (სოფ. გველთი).

<sup>3</sup> ძელი საჭართველო, ექ. თავაზშილის რედაქც. ტ. III, 1913—19 წწ., გვ. 8.

<sup>4</sup> ძ. საჭართველო, ტ. II, გვ. 4.

<sup>5</sup> ძ. საჭართველო, ტ. III, გვ. 176.

ჩვენი აზრით „ფრანგული“ ძველად ევროპულს—უცხოურს ნიშნივდა შეკრულები ვალ შემთხვევაში ზუსტად საფრანგეთს კი ორა), ამასთან დაკავშირებულ დაუკავშირებულ რაიონში დღევანდლამდე შემორჩენილ ჰქნას „ფრანგება“, „ამოფრანგებას“, რაც ამოლარების მნიშვნელობით იხმარება.


ხმლის პირები და საერთოდ სხვადა-  
სხვა სახის იარაღი „...სეკსურეტში სხვადა-  
სხვა გზით და სხვადასხვა დროს შექვენდათ  
ხოლმე, უმთავრესად კი ტფილისიდან და  
თელავიდან“<sup>1</sup>. შაგრამ იყო შემთხვევა, რო-  
დესაც ხმალს თვით ხეკსურებიც აკეთებდ-  
ნენ, თუმცა უფრო მოვეიანო პერიოდში.  
მაგ., ბულეჯან არაბული სოფ. უკენბადოდან  
ხმლებს აკეთებდა მიმსვავებით. დაიყითფუ-  
რული გაუკეთებით გიორგი ლიქოველს სოფ.  
აჭერან, რომელმაც „რკინის ველი“ იცოდა.  
შეკრული<sup>2</sup> ხმალს ან ხანჯალს რკინისა-  
ვან აკეთებდა. „მოხელელავდა რკინის, გა-  
ათბობდა, აადულებდა და იწყებდა გა-  
მოკვერვას. მერე გააძრტებულებდა და ისე  
ჰქნავდა. რკინა მქედელი შეატყობდა „რკინა

შეა ას“, მარწმუნით აიღებდა და გეჯაში „აწლობდა“, ე. ი. აწრობობდა. „იმაად  
გაეაწლობ, რო ფოლად უნდა გამოვიდეს“ — შენიშვნას 75 წლის ვანო არა-  
ბული. იმ შემთხვევაში, თუ რკინიმ თეთრი ფერი მიიღო, ე. ი. დიდი რაო-  
დენობით მოსცილდა „ფირჩელები“ (შევი კანი, რომელიც გახურების შედე-  
ვად ეკრიბდა რკინის), მაშინ გადაჭრებულად ფოლად ის“, იგი მყიფე იქ-  
ნება, არავითარი დრეკალია არ ექნება და ადვილად გადატყდება.

ამ შემთხვევაში მქედელი ხელახლად გააცხელებდა და ხელმეორედ „აწ-  
ლობდა“ ხმალს. „შემდევ გააზუმუარივებდა“ ჩილებზე, „სამარაულის“ (ხევია)  
ქვით პირს გაუკეთებდა, ხოლო ჯიხვის ან ძროხის რქსაგან ტარს და ბო-  
ლოს „შავერცხლავდა“.

ხეკსურეტშე ქარქაშს (სურ. 9) ადგილზე ამზადებდნენ. წავიდოდნენ ტყეში  
„ხაჯრის საქარქაშე ხის მოსალებად“, შეარჩევდნენ დგნალის ხეს, რომელიც  
„მუტუქებიც ას“ და „მარჯვედაც ითლების“. შეარჩევდნენ ისეთ ადგილას, სადაც  
კაპი (ნუერი) არ იქნებოდა, ორი ან სამი მტკაველის სიგრძისას და წალდით  
მოკრიდნენ, მოიტანდნენ სახლში, გაქერქავდნენ და გააბმობდნენ, შემდევ  
გახერქავდნენ შუაზე, აიღებდნენ მურწასმულ ხანჯალს, საქარქაშე გვირ-  
დებს დაადგებდნენ და შემოსწერდნენ, „მურმა უნდა გვიჩენოს ამოსათხრელი  
ადგილი“.

ასე „თხრიდნენ“, სანამ ხანჯალი არ შორწყობოდა, შემდევ ამოიღებდნენ  
„ხოშით“ (რკინის იარაღით) გულებს, შეკრავდნენ საქარქაშე ხეებს (ზედა ქარ-  
ქაში და ქვედა ქარქაში), ბორილას ტყას შემოაკრავდნენ და პირებს შემო-



სურ. 8


<sup>1</sup> ვ. ბარ დავით იძე და გ. ჩიტაია, ჭართული ხალხური ორნამენტი, 1, ხევსურუ-  
ლი, თბილისი, 1939, გვ. 2.

<sup>2</sup> დაწმილებით სამკედლო იარაღებსა და მქედელის საქმიანობაზე იბ. გვ. 99—100.



კერავდნენ. ბოლოში უკეთდებოდა თუნექის ბუნი, სათავე მხარეს ყელაშე უკეთდებოდა კავ-ზალტე, ხანჯლის ბუნს „გრეხილას“ დაახვევდნენ, ხოლო ბოლოს შევეღის-ლავდნენ<sup>1</sup>.

საინტერესოა ის, რომ აბჯრის ელემენტებს შორის ყველაზე დიდი მნიშვნელობა ხმალს ჰქონდა, როგორც დამახასიათებელ სამხედრო ემბლემას. ხევსურეთში ერთოვერაულიშა სინამდვილემ კარგიდ შემონაბა საინტერესო ფაქტი:



სურ. 9.

ქარეჭში

1. ბუნი
2. საცეცხლი
3. ზალტე
4. სამშელის კავ-ზალტე
5. სანეკური
6. სამარა-ილლის გამზათი
7. სამხარ-ილლი

იმ დროს, როდესაც ხანჯლის ტარება განურჩევლად წლოვანობისა ყველას შეუძლია, ხმალს მხოლოდ განსაზღვრული ასაკის შემდეგ ატარებდნენ. ასე მაგალითთაც: „ხუთმეტი წლისამ ქმალ უნდა შაიბას“<sup>2</sup>, „შენიშნავენ მოხრობლები, „ქმლის შებმამდე კაც არ იყეას“<sup>3</sup>. რას ნიშნავს „კაც არ იყეას? ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ასაკობრივ დიფერენციალისათან; სახელდობრ, ხუთმეტი წლიამდე ხევსურს უფლება არ ჰქონდა ხმალი ეტარებონა, ჩარეულიყო სათემო საქმეებში. იგი ხმლის შებმამდე კაცად არ ითვლებოდა, ხოლო როდესაც „შეიბამს ქმლუ“ (ე. ი. ჩათვლება, როგორც მეომარი), მაშინ მას ენიშებოდა „კაცობის“ უფლებაც და ხმლის ტარებისაც. მას უკვე პასუხი მოეთხოვებოდა დააბაზულზე, ტელიქონთული სამართლის ნიხელითაც, „ცოდნა და მაცლი თხუთმეტი წლას უნდა ეკითხოს“<sup>4</sup>. როგორც ვხედავთ, ხმალი არის უფლებამოსილობის სიმბოლური გამოხატულება. სხვათა შორის საინტერესო ცნობები შემოგვინახა ასაკობრივი დიფერენციალის შესახებ ძეველშა ქართულმა მწერლობა. „ამირან-დარეჯანიანში“ გვხვდება

საინტერესო ადგილები „კაცობის“ შესახებ. მაგ., ომარმა ხუთი წლის ამარი ალსაზრდელად მისცა აბუტარს „ესე ჩემი შეილი ამარ შენდა მომიცემია, ასწავლე ამი და აბჯართა კაზრი და ვთა სჯობდეს ჭაბუქსა ყველასა არა-ბეთსა შეგან“<sup>5</sup>. აბუტარი ასწავლის ამარს ყოველ საქმიანობას, რაც „საკა-

<sup>1</sup> მთხრ, აბიკა არაბული (სოფ. ჩირდელი).

<sup>2</sup> მთხრ, ადეტა არაბული (სოფ. ბარისაბო).

<sup>3</sup> ვ. ი. არაბული (სოფ. ველეთი).

<sup>4</sup> ალ. ვაჩე ი შეი ი ლ ი, ნარევები ქართული სამართლის ისტორიიდან, წაკ. 1, თავი VI, დანაშაულის სუბიექტის ცნება, გვ. 204.

<sup>5</sup> ტელი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. II, თბილისი, 1949, გვ. 21.



შუკო იყო, ხოლო თხუთმეტი წლის ამარს ცხენი უყიდეს და სუფრაჟის მიერად სახელიც უწოდეს: „...და უწოდა (მიმამ) ამარს სახელი ამბრი არაბი და უძრავნა შეჯეო“<sup>1</sup>, ე. ი. თხუთმეტი წლის ამარ ამბრი ვაეკაცია, მას „კაცობის“ და იარაღის ტარების უფლება მოპოვებული აქვს.

ხევსურეთში დასტურდება „მმის შესწის“ წესი, სახელდობრ, როდე-საც მამას „კმლოსანი“ შეილი მოესწორება (15—16 წლისა), იგი ხმალს შეის-ნის და გადასცემს შეიღოს.

„ხმალი“ საქართველოში სამხედრო თანამდებობის ნიშანიც იყო. „ამირ-სპასალარს თავისი სამხედრო თანამდებობის ნიშანი „ქრმალი“ ჰქონდა<sup>2</sup>. ასევე სამხედრო მოხელეებს შელზე „ქრმალი“ ერტყათ: „ქრმალი ამილახორსა არტყას დარბაზობას ჰქდა“<sup>3</sup>. ხოლო მეფეთა კურთხევის დროს ხდებოდა „დადებად ქრმალისა“. მაგალითად, თამარ მეფეს კურთხევის დროს „ქრმალი“ შეარტყეს ... და ყოველთა ერთა ქმა-ქმნილთა აწუის თამარსა ქრმალი მამული თანა საყდროთურთ მამისა მინიჭებული“<sup>4</sup>. მეფეს ქრმალს სახეიმოდ შემოარტყამდა ამირსპასალარი. „ამირსპასალარმან ქრმალი შემოარტყას“<sup>5</sup>, ე. ი. მათვარსასარდალი მეფეს აღიარებდა უმაღლეს სამხედრო პირად. „ხმალი“ წარმოადგენდა აგრეთვე უმაღლესი ხელისუფლების გამომხატველ სიმბოლოს: „დაეგორილეთ მეფეთ, რამეთუ არა ცუდად ქრმალ აბიეს“<sup>6</sup>. ე. ი. დაეგორილეთ მეფეებს, რადგან მის ხელშია ხელისუფლება, მას ხმალი ცუდად არა აბია.

#### ამგვარად:

1. ხმალ-ხანჯალი ერთ-ერთი ტიპიური და დამახასიათებელი ელემენტია აბჯარისა, რომელთაც შემორჩათ შეიარაღების კომპლექსის აღმნიშვნელი ტერმინი „აბჯარი“.
2. ხმალი არის სამხედრო ვალდებულისა და „კაცობის“ ნიშანი.
3. ხმალი არის სამხედრო პირის, მთავარსარდლისა და ხელისუფლების გამომხატველი სიმბოლო.
4. ხმალი გადადის მემკვიდრეობით მამიდან შეილზე (უფროსშე).
5. ხმლოსან პირს (-კაცს) დანაშაულზე პაქუხი მოეთხოვება.

#### გ) საჩხვლეო-საძგერებელი იარალი

შუბი (სურ. 10). იგი ადგილზე, ხევსურეთში მნადდებოდა. შუბის მექანიზმი ხევსურეთში მრავალდ იყვნენ, მათგან ყველაზე ცნობილი იყო ნუნუა აბიკის ძე<sup>7</sup> ჭინჭარაული (სოფ. ბარისახო). მექანიზმი შუბს ამზადებდა რკინი-

<sup>1</sup> ძვლი ქართული ლოტერატურის ქრესტომათა, ტ. II, თბილის, 1949, გვ. 21.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილ რ, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. 1, თბილის, 1928, გვ. 149.

<sup>3</sup> ქვემოთის კარის გარისება, ექ. თაყაიშეილის რედაქციით, 1920, გვ. 2.

<sup>4</sup> ისტ-ნი და ასმ-ნი, გვ. 74.

<sup>5</sup> ბათონ ქარ მოძღვანი, ცნოვრება მეფეთ-მეფისა თამარის, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, თბილისი, 1944, გვ. 13.


<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილ ქართველი, ქართველი, სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. 1, გვ. 150.

<sup>7</sup> ქართლი ცხავრება, ს. ყაუჩინშვილის რედაქციით, გვ. 134.

<sup>8</sup> თუ მემკვიდრე პატარა, „მეწიკეა“ ან „ცოტა“, სანამ წამოისრდება, იარაღის ტარებას სანამ შესძლება; ხმალს დედა, ბიძები ანდა სახლიკაცები უნარავნ.



სიგან; პირს აულესავდა, „ააფხავებდა“ წყერს, ბუღით ჩამოაგებდეს ტურქული და „უსმრით“ გაამაგრებდა. „ისეთ ტარს დააგებდა, როგორიც უჭირა უმარტივეს ჯვებოდა კაცს ჰელში“, შენიშვნავენ მთხრობლები.



ხეესურეთში არჩევენ სამი სახის ზუბს: 1) ხანჯლისებური, 2) წვერეუთხა (ოთხეუთხა) და 3) სამწვერა.

უპირატესობას სამწვერას ანიჭებდნენ: „შემოხედვითაც შაზარავდ კაცს სამწვერი, დარტყმის ღრუს ერთშვერ მაინც მოხვდებოდ გულში. მას ფასიც მეტი ხეონდ“<sup>1</sup>. შუბი შედგებოდა შემდეგი ნაწილებისაგან: წვერი, პირი, ლარი, ბუღე, „საუსმრე“, ტარი (ხისა) და კოჭი (შუბის ბოლო)<sup>2</sup>.

შუბი წარმოადგენდა რიგითი მოლაშქრის მთავარ იარაღს და შეიირალების კომპლექსში მნიშვნელოვანი იდგილი ეკავა.

#### დ) შემოსაკვრელი იარაღი

მათრახი (სურ. 11). მათრახი თავდასასხმელი იარაღია, იგი შედგება ტარისაგან, მათრახისა და თასმისაგან. ტარი ხისაა, ბოლოში ძევს თასმი, რითაც მოლაშქრე მხარზე იყიდებს მათრახს. მათრახი დაწულუბი ნაგარი ტყავ-ლევდისაგან, ზედ დაბვეული ძევს რკინის მავთულები. ხეესურები შენიშვნავენ, რომ „მეომარი ატარებდა მსხვილ მათრახს“. მსხვილ მათრახებს ზიდავლნენ „მსხვილი ბიკები — ჯანწარმნებულები“. ვაერ-ფშაველა მოგვიოხრობს: „ზარცხენა გვერდზე (ჩალხოს—გ. გ.), მხარ-იღლივ თასმებზე დაკიდული ჰქონდა სქელი, დაშიბული ტარიელის მათრახი“<sup>3</sup>, რომლითაც ჩალხო ჩხუბობდა. „დღეს კი ჩალხო მათრახს აღარ ატარებს, შესანიშვნავი სახელოვანი მათრახი, ანუ, უკეთ რომ ესთვეათ დაბჭი, მალალ კარებზე ჰყიდია“<sup>4</sup>. ალ. ყაზბეგიც შენიშვნავს: „ჩხუბში ხმარობენ აგრესუებ მათრახებს“<sup>5</sup>. მათრახი რომ შემოსაკვრელ-გადასარტყმელი იარაღია, ამას გან. „დროებაზიც“ შენიშვნავენ: „...შეიქმნება ერთ ცუმა-ტყავა... მაკაულ-დაბვეულის მათრახებითა, რამდენი თავი გაუტყდება ვინ იცის“<sup>6</sup>. „ვეფუნისტუაოსანში“ მრავალ საყურადღებო ადგილს ვკითხულობთ მათრახის შესახებ: „ხელთა ნაკედი მათრახი ჰქონდა უსხეოსი მკლავისა“<sup>7</sup> (შეადარეთ მთხრობლების შენიშვნა: მეომარი „ატარებდა მსხვილ მათრახს“, ანდა შემოთ თმშული: „ჩალხოს... დაშიბული ტარიელის მათრახი...“). მომდევნო სტროფში ჩანს მათრახის, როგორც საბრძოლო იარაღის, დანიშნულება:

„ჰქირა ერთმანეთსა, დახოცნა თავსა ხელაუმჯრობელად.

<sup>1</sup> „სალარიანი შეტი შეინტის ჯონშე იყო დავბული სატევარს ჰელდა“ (ც. ითონიშვილის მოხეული მასალები).

<sup>2</sup> მათხრობლები გიგანი და შეთისო ჭინჭარაული (სოფ. ბარისახო).

<sup>3</sup> „მეომრებს უკავათ შუბი, როგორთა ბოლოები ანგესისებრ რკინებს უკრუნობდა“ (პროფესიული კესარიელის ცნობები საქ. შესახებ, ს. ყაუბჩიშვილის რედაქციით, თბილისი, ნაკ. II, 1933, გვ. 192).

<sup>4</sup> ვაერ-ფშაველა, თხს., ტ. 6, 1939, გვ. 111.

<sup>5</sup> ვაერ-ფშაველა, თხს., ტ. 6, 1939, გვ. 120.

<sup>6</sup> ალ. ყაზაბეგი, თხს., ტ. V, გვ. 73.


<sup>7</sup> გან. „დროება“, 1880, № 120.

<sup>8</sup> „ვეფუნისტუაოსანი“, სტროფი 85.

ზოგსა გადაპქრა მათრახი, მკერდამდის გასაპობელად<sup>1</sup>. ასევე მკერდამდის მკერდამდი მოუბარნი მათრახითა შეგვამწიფნა<sup>2</sup>. „მით ერთითა მატრახითა თავი ასრე გადაპქროწა<sup>3</sup>.

ხოლო 288-ე სტროფში პირდაპირ ჩანს მათრახის მიერ ხმლის როლის შესრულება:

„ყველავასა მათრახითა თავი უხმლოდ გარდაპევთა<sup>4</sup>. „ამირან-დარეჯანიანში“ საყურადღებო ამბავია აღწერილი: „თავმან მე—



სურ. 11

1. ტარი
2. მათრახი
3. რკინები
4. სკიდი

ფობისა შენისამამ, მრავალ ჯერ მათრახითა მოკლული ლომი მინახავს<sup>5</sup>. როგორც ირკვევა, „მსხვილი მათრახი“ წარმოადგენდა საბრძოლო იარაღს (მემოსავრელ-გადასარტყმელს), რომელსაც შეიარაღების კომპლექსში სათანადო ადგილი ეკვება.

### ე) საბრძოლო ხათითურები

ჩხუბის დროს ხევსური იყენებდა რეინის „სათითურს“. იგი ბრტყელი რგოლია, გარეთა პირის ნახევარი ალესილია ანდა ქბილებით დალარული.

<sup>1</sup> „ვეფხბისტყაოსანი“, სტროფი 94.


<sup>2</sup> იქვე, სტროფი 207.

<sup>3</sup> იქვე, სტროფი 209.

<sup>4</sup> „ვეფხბისტყაოსანი“, სტროფი 288.

<sup>5</sup> ჭართული ქრესტომათა, ანუ გამოკრებილი ადგილები დ. ჩუბინოვისა, 1846, პუერტურგი, გვ. 19.

უორმის მიხედვით სათითურები ნაირსახეობისაა: „ხევულა“, „ზურგაზურული“ შარეული“, „მაღალა“, „ღაჯია“, „ლესულა“, „ცალკეილა“ და სხვა უფრო უფრო უფრო სამოთვლილ საბრძოლო იარაღს „სათითურები“ ეწოდება (სურ. 12) იმიტომ, რომ „თითიზე არის შემოსაცმელი“<sup>1</sup>. გარდა ამისა, „ღაჯიათ“ ან „ლესულით“ დასახიჩრებულ კაცზე იტყვიან „ნასათითვარი სჭირდაო“<sup>2</sup>.



სურ. 12  
საბრძოლო სათითურები

მეტელი „ლა-  
ჯიას“ ლითონის ნა-  
პრისაგან აკეთებდა,  
ერთ ღაჯიას ცხე-  
ნის საში ნალი კი-  
რდებოდა. ღაჯიას  
დასამზადებლად საჭი-  
რო იყო შემდეგი ხელ-  
საწყო იარაღები: 1.  
შარწუხი, 2. ქლიბები,  
3. რესული ფხა (ხერ-  
ხი), 4. ქურა, 5. კვერი  
და 6. ღაჯიას დასაჭირი  
ხის განგალა.

ხევსურეთში ღაჯიას  
ადგილობრივი მეტე-  
ლები კედავლნენ. მათ  
შორის გამოიჩინდა  
„ზეიადათ (მამის სახე-  
ლი) გაგა კინჭარაუ-  
ლი“<sup>3</sup>. „ზეიადათ გაგა

კულაზე კარგი მეტელი ას ღაჯიასი“ — შენიშვნავდნენ ხევსურები.

მეტელი პირველად აკეთებდა „დაკრულებას“ ერთს, ორს ან სამს. „დაკრულებას“ ერთმანეთშე ამაგრებდა „კალა-ლიშადურით“, შემდეგ ჩასლებდა შანვანაში<sup>4</sup> და „ოვეგით“ დაამრგვალებდა. აიღებდა რეინის ხერხს და კბი-  
ლებს ჩატეტჩავდა, ხოლო ქლიბით ქილებს აუღესავდა. მეტელი გააცხე-  
ლებდა ღაჯიას და „აწლობდა“. ღაჯიას აქვს „ბუდე“, საღაც თავსდება „ბე-  
რა თითი“. „ბუდეს“ აქვს, სპილენძის სარჩული, „იმათა რო თით არ ეტკვ-  
ნას ცემის დროს, სპილენძი მბილი ას, გლუვი“ (მთხ. ს. არაბული). თუ  
სარჩული არა აქვს, მაშინ „დგინდგელით ჰგონენ, რომ „ღაჯია შაგრად იყოს  
შერა თითშე“.

„ღაჯიას“ ნაწილებია: „კბილები“, „კბილის ძირები“, „ბუდე“ და „უკვი“. საბრძოლო სათითურების ნაირსახეობა, მათი გამოყენებისა და დამზა-  
დების წესები ამ იარაღის აღმოსავლეთ საქართველოს შთანეთში წარმოშობა-  
შე უნდა მიგვითოთებდეს. სამართლიანად შენიშვნაეს პროფესორ გ. ჩიტაია,  
რომ „საცერული მართლაც ხევსურული კულტურული ელემენტია“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> მთხოობლები: ს. არაბული, გ. არაბული (სოფ. ველეთი), ს. კინჭარაული, გ. კინჭარა-  
ული (სოფ. ბარისარი) და გ. ქოჩასული (სოფ. გველთი).

<sup>2</sup> მთხ. ს. არაბული (სოფ. გველთი).

<sup>3</sup> მთხ. გ. კინჭარაული (სოფ. ბარისარი).

<sup>4</sup> გ. ჩიტაია, ხევსურულ საცერულო, საქართველოს სსრ მუზემის მომბეჭ. ტ. V.  
1930, გვ. 299.

ლა ჯ ი ა ს ზ ო მ ე ბ ი . „ლაჯიას“ სიმაღლე ძირიდან ქბილის პირამიდული ტექსტით  
შევის სიმაღლე — 5 მმ. ლაჯიას 6 ქბილი აქვს, ქბილები ნაპირიდან დაწყებული  
ლი მაღლდება, ზემდევ კი იკლებს სიმაღლეში. მაგ.: თუ I ქბილის სიმაღლე  
2,5 სმ-ია, II ქბილის სიმაღლე 1,8 სმ-ია, III—2 სმ, IV—1,8 სმ, V—1,6 სმ,  
VI—1,4 სმ. ბუდის დიამეტრი 2,5 სმ.

### თავდასაცავი იასალი

ამ ჯგუფში შედის: ჩაჩენი, ჯაჭვი, სამკლავე, საფუქარი, საჩერნე, ფარი  
და უბის ფარი.

ჩაჩენი მოლაშერეს ენურა და წარმოადგენდა საომარ თავსაბურავს  
(სურ. 13). იგი ჯაჭვისაგან იყო ასხმული, სათავეზე ჰქონდა „რკინის ჯამი“  
ანდა „ჩაჩენის ჯამი“:

ჩაჩენი ორი ნაწილისაგან შედგება: „ჩაჩენის ჯამი“, რომელსაც დიდი  
მნიშვნელობა ჰქონდა თავის ქალას დასაცავად. ჯამის ზედაპირი ბრტყელია,  
ოდნავ ამობურული და „კოპებით“ „მორთული“. ჯამიდან ჩამოდის რკინის  
„ბადე“, ანდა, როგორც ხევსურები შენიშნავენ, „ჩაჩენის ჯამის ქვემოდ რო-  
ცა ას ზარადი ეწოდება“<sup>1</sup>. სულხან-საბა იარბელიანი შენიშნავს „ზარადი ზუჩის  
ჯაჭვა“. ზარადი პირისახეს და კისერს იცავდა. ის ფაქტი, რომ „ზარადი“  
ჩაჩენის „ჯამის“ ქვედა ნაწილია და პირსახეს იცავდა, დასტურდება „ვეფხის-  
ტყაოსანშიც“:

„დაეხურა ზარადები  
პირსა მათსა უფარვიდა“<sup>2</sup>.

„ზარადს“ ჰქონდა „სათეა-  
ლურები“, საიდანაც მოლაშე-  
რე იხდებოდა. ჩაჩენის ან-  
და მუშარადს ჰქონდა „სად-  
ები“ (ჩაგებული რაიმე ქსო-  
ვილი), მოლაშერეს რომ თა-  
ვი არ სტენოდა ხმლის  
დარტყმისას.

„მუშარადისა სადები  
ამოქტრიშის“<sup>3</sup>.

ჩაჩენის პარალელები:  
ჩაფეხური, ჩაბალახი, ზუჩი  
და მუშარადი (სურ. 14),  
რომლებიც განსხვავდებიან

ერთმანეთისაგან ფარმით და „ზარადის“ მეტ-ნაკლები გამოყენებით<sup>4</sup>.

<sup>1</sup> საჩერნოდ გაფაიშურა ჩაჩენი ზარადიანი, ჰართული ზალური პოეზია, ხევსურული,  
აკ. მანიძის რედაქტ., 1932, გვ. 69.

<sup>2</sup> „ვეფხისტყაოსნი“, სტროფ 1379.

<sup>3</sup> ისტ-რი და აზნი, გვ. 128.

<sup>4</sup> გან. „ოვერიაში“ № 66, 1904 წლისა ნ. ალექსიევ-მესმიერის საინტერესო წერილია  
იარაღებისა და საცრთოდ ტანაცემების შესახებ. ჩაჩენის პარალელებზე აკტორი ასეთ დასკუ-  
ნიბს იძლევა: „ზერი არ კეტები, წინ და უკან მოვებებული ჰქონდა ჯაჭვის ბადე-ზარადი.  
ჩაფეხადო, ზუჩადო, თეტები აქვთ მცირე პოლოორიის“. ჩაჩენი, აქვთ კისრის კერძოთაშედა  
მცირე ზარადი და პირახდილი, ჩაბალახი, ლიტონი ჯაჭვი უკოლოატებოთ“.

ასევე ჩაჩენის პარალელების გამარტება მოცემული აქვს დ. ჩუბინოვს თავის შრომაში  
Русско-грузинский словарь, С. Петербург, 1846.



სურ. 13.

ჩაჩენის ჯამი

1. ზარადი

2. ზარადი

3. ქუდი



ჩატეტური (№ 9—24). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართველური ხელსურული). იწონის 900 გრამს, „ჯამის“ წრის ზომა 47 სმ-ის, დიამეტრი 15 სმ. „ზარალი“ პირსახეს ფარავს ზუბლიდან 14 სმ-ზე, კისერსა და მარებს 39 სმ-ზე. „ზარალის“ რგოლები ფარეშდადუღებულია.

ჯაჭვი მოლაშერის ტანის იცავდა, მისი საყვლო იფარებოდა ჩაჩქნის „ზარალით“. ჯაჭვი ჩამოდის „საწელებდე“, ხოლო მელავებზე — ნიდაყვებამდე».

ჯაჭვი, რომელიც ასმულია მრავალი რკინის მავთულის რგოლისაგან, ორი სახისაა: უფარეშო და ფარეშიანი, ეს დაყოფა შეპირობებულია მავთულის რგოლების დამზადების ხერხით.

უფარეშო ჯაჭვი თავისითავიდ ორ ქვეჯუფად იყოფა:

ა) დაუღულებელი და ბ) დაღულებული.



სურ. 14

საფეხური (არქეოლოგიური)

რგოლი თავის შიგნით აერთებს ოთხ მეზობელ რგოლს და ამგარი შეერთებით რგოლები ჰქმნიან „რკინის ბადეს“ ჯაჭვს. საბაც ასე გავიმარტივებ: „ჯაჭვ ეწოდება ყოველსა ილეკროსა (ერთობლიობას) ერთი შეორეში გაყრილსა“.

ჯაჭვს ღიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოლაშერის დაცვისათვის. მასზე იყო ადამიანის სიცოცხლე დამკიდებული და შემთხვევითი არაა, რომ დელი შეერლები ჯაჭვის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან: „...და განუდნენ ერთმანეთსა და დაასხეს ისარი, ვითა ტყე ტანში ისე იყო, და ჯაჭვის ხიკეთით ვერც ერთს ვერ შეატანა“<sup>1</sup>.

„ამირან-დარეჯანიანში“ ჯაჭვი თვალსაჩინოდ მოიხსენიება: „მან კაცმან ეგრე მოახსენა: ჩვენ იმათი ომი არ ძალვიც, ისინი თორმეტიათანი არიან სრულ ჯაჭვით შემოხილნი“<sup>2</sup>.

ჯაჭვს თავდაცვაში ღიდი მნიშვნელობა ჰქონდა და შეიარაღების კომპლექსში ჩაჩქანთან ერთად ხშირად მოიხსენიება. მაგ., „ჯაჭვ-ჩაბაბაბოსანი“,

<sup>1</sup> ჯაჭვის დამზადების შესახებ იხილეთ: История культуры древней Руси, том I, 1951, стр. 118.

ასვე Brockhaus, Conversations Lexikon, B. XII, 1885, стр. 661. იხ. „Panzer“.

<sup>2</sup> დ. ჩუბინოვი, ქართ. ქრესტ. ანუ გამოკრებილი ადგილები, გვ. 25.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 25.

„ჯაჭვ-ქური“, „ჯაჭვ-მუზარადი“ და სხვა. ანგარიშგასაწევია ხევსურებრივი მორჩენილი საბრძოლო სიმღერა:

„ჯაჭვმა თქვა შაბალხეთურმა  
ქაჯებმ ამასხეს თითითა“<sup>1</sup>.

ჯაჭვის ადგილობრივ ქართულ წარმტებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ მსუდველობაში მიყიდულ მნიშვნელოვან საინტერესო ფაქტებს: არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია „ჯაჭვის“ ნაშები განში, კლდეეთსა<sup>2</sup> და სხვ. ძველ საქართველოში არსებობდა ადგილი, რომელსაც კარსანი ეწოდება. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით ძველად, როგორც მისი სახელიდან ჩანს, ადგილი კარსანის ილეკროს ჯაჭვების წორმოქმნით ყოფილა ცნობილი. საბას მიხედვით +კარსანი-ილეკრო, რაც ჯაჭვებრ გაყრილია ერთმანეთში<sup>3</sup>. თავდასაცავ საჭურველი აღმოსავლეთ საქართველოს მთაშიც უმშადებიათ. ამ გარემოებას ებმაურება ნიკოლაშვილის XI საუკუნის სიგვეზში მოხსენიებული ცნობა გუდმაყრული ჩიბალაბის შესახებ<sup>4</sup>, რაც ჯაჭვის, ე. ი. ლითონის რგოლებით ნაქსოვე, საომარი თავსაბურავია. რაკ საომარი თავსაბურების მნადება შესძლებიათ გუდმაყრულებს, შესაძლებელია ტანის დასაფარავი „ჯაჭვიც“ აესხათ, მითუმეტეს რომ ძველთაგანვე განთქმული ყოფილა „ჩიბალაბი გუდმაყრული“. ანგარიშგასაწევია პროფ. მ. რაბინოვიჩის შენიშვნა რუსეთში ჯაჭვის გავრცელების შესახებ, რომ ჯაჭვი რუსეთში ვრცელდება X საუკუნიდან, „ალბათ აღმოსავლეთის და შავი ზღვისპირეთის გავლენით“<sup>5</sup>. თუ კველა ამ მონაცემს გავითვალისწინებთ, მაშინ ჩვენ მიერ ზემოთ წამოყენებული დებულება „შაბალხეთური“ ჯაჭვის შესახებ, რომ იყი ქართველი ხალხის ნაწარმია და დამზადებული, შესაძლებელია საეჭვო აღარ იქნეს. ჯაჭვი ჯარისხულ ლაშქრობამდე ფეოდალურმა დასავლეთ ევროპაში არ იცოდა<sup>6</sup>.

„ჯაჭვი“ № 10—27/274 საქართველოს სახ. მუზეუმის კოლექცია (ხევსურული, ფარგშიან დაღულებული). სიგრძე 66 სმ, სიგანე 59 სმ, საყელოს სიმაღლე 11 სმ, საყელო გადაშლილია 57 სმ-ზე, მხრის სიგრძე 22 სმ, წონა 8450 კგ.

სამკლავე ჯაჭვი მქალავებშე ნიდაცვებამდე ჩამოლიოდა, შემდეგ კი მოლაშქრეს რკინის „სამკლავე“ ეკეთა (სურ. 15). საბას შიხედვით „სამკლავე ხელნავია“. იგი უზედა ზალტესთან“ ფართეა, „ძირის ზალტესთან“ კი (მაჯასთან) ვიწროვდება ისე, რომ ხელის ზურგს ფარის და იცავს, რადგან სამკლავე ხმლის მოქნევის ისხლეტს.

სამკლავე შედგება ორი ნაწილისაგან: ა) სამკლავე და ბ) სამაჯური. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული არიან „ჰიკუთი“ (გირგოლები). სამკლა-

<sup>1</sup> მთხო. ადგა არაბული, 80 წ. (სოჭ. ბარისახო).

<sup>2</sup> იბ. ზემოთ, გვ. 80.

<sup>3</sup> ქრონიკები, წიგნი II, გვ. 45.

<sup>4</sup> М. Рабинович, Из истории русского оружия IX—XV вв., Труды Института им. Никлауса-Маклая, т. I, стр. 76.

<sup>5</sup> М. Рабинович, დასახ. ნაშრ., გვ. 74.

ფეოდალურ კვრამას ჯარისხულ ლაშქრობამდე და უფრო ფიან მმარტებაში იყო ტრეჭელი ფიცირისებური საბრძოლო ტანსაცმელი.

<sup>7</sup> მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. IX

უესა და სამჯურს აქვს „ლელები“, რითაც ხდება „ხელნავის ჭრაში“ შელავშე.

„სამელავე“ № 9—24—7 (საქართველოს სახ. მუზეუმის კოლექცია) ხელსუ-რულია. სამელავის სიმაღლე 31 სმ, „ზედა ზალტეს“ სიგანე 10,5 სმ, ძირის ზალტესი 8 სმ, „სამაჯურის“ სიგრძე 10 სმ, სიგანე 5,5 სმ,

სამელავეს ლელის სიგრძე 22 სმ, „სამაჯურის“ ლელის სიგრძე 12 სმ, წონა 250 გრ.

საფურული: „სამელა- გის“ პირი ძირის ზალტე- თან ფარავდა „საფურულის“, რომელიც ჯაჭვისაგან იყო მოქსოვილი. „საფურული“ ანუ საბრძოლო ხელთაომანი ეკითა მოლაშერეს. მისი ზე- დაპირი ჯაჭვგადაგრულია, ხოლო „ნეფი“ შიშველი, მხრლოდ ნაქრით ანდა ქსო- ვილით გამოკრული, „რო კუ- ლებ არ დაინაცხოს“<sup>1</sup>.

„საფურული“ № 13— 27/30 (საქართველოს სახ. მუზეუმის კოლექცია) მარჯ- ვენა ხელისაა, „საფურული“ №—13—27/29 კი მარცხნა ხელისა, იწონის 150 გრამს.

ს ა ჩ ე რ ნ ე. ხეესურული აბჯრის ერთი თავისებური ელემენტია წევისა- ფარი—„საჩერნე“. სახელშიადება „საჩერნე“ ნაწარმოების სიტყვილად „ჩე- რანი“, რომლითაც ხეესურერთში წვიეის ძვალი აღინიშნება. სიბას „სიტყ- ვის კონის“ მიხედვით: „ჩერანი-წვიეის გნდეა“, „გნდე-გარეგან კუთხეა“, ე. ი. წვიეის ძვალი. ამ ძვალის დასაცავი ჯაჭვია „საჩერნე“, რომელიც მოლაშე- რის ქვედა კიდურებს იცავდა. „იგი მოდიოდა ხეცროდან (თეძო) კობოხინამდე (კოში) და „გადაკერძობული იყო შალეარზე“<sup>2</sup>.

ხეესურული საჩერნე თავის პარალელებს პოლიოში რუსეთში<sup>3</sup>, საბერძ- ნეთში<sup>4</sup>, იტალიასა<sup>5</sup> (იხ. სურ. 16) და გრჩენიაში<sup>6</sup>.

„საჩერნე“ ფარეზიან დადუღლებულია (იყად. ს. ჯანაშიას სახ. საქართვე- ლოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული გამოფენა). მარჯვენა ფენის სა- ჩერნეს სიგრძე 74 სმ, სიგანე 25 სმ, მარცხნას სიგანე 76 სმ, სიგანე 24 სმ, წონა 2,100 კგ.

<sup>1</sup> მთხ. ს. არაბული (გველეთი).


<sup>2</sup> მთხ. გ. არაბული (სოფ. ჯველეთი).

<sup>3</sup> M. Рабиновиц, დაახ. ნაშრ., გვ. 74.

<sup>4</sup> Военная энц., стр. 197. ბერძნულად საჩერნეს კოუსეს ეწოდება.

<sup>5</sup> Die Vorklassische Chronologie Italiens von Oskar Montelius, 1912, pp. 79- იმილეთ Beinschienen von Bronze.

<sup>6</sup> საჩერნებს გრჩ. Beinschienen ეწოდება.



სურ. 15.

1. ზედა-ზალტე, 2. ღვედი,  
3. ძირის ზალტე, 4. სამაჯური,  
5. ჭიფ, 6. ღვედი

ფ ა რ ი. ხევსურული „აბჯარის“ დამიხასიათებელი ელემენტია ფართული სახულის ილუსტრაციონ განვიზილავთ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრა- ფული განყოფილების კოლექციის დაცულ ფარს 25—66/2, რომელიც სინ- ტერესოა როგორც შემადგრნლობით, ისე მასალის თვალსაზრისით. ფარი წარმოადგენს საფარ იარას, მისი ძირი- თადი მასალა ტყავია, რომელზედაც გადაკ- რულია ლითონის სალტერი (გორგვლები). ტყავი ხარისაა, ეტყობა ფარის მასალად არ- ჩეცნენ ყველაზე სქელ გვის ტყავის აღნიშ- ნული ფარის ტყავი თანაბრად სქელია და მაგარი.

ტყავზე დამაგრებულია ორი ძირი- თადი „გორგოლი“, დამაგრება განხორცი- ლებულია პატარა ლურს მანებით. შეაგულში ჩამჯდარი აქვს ოთხეუთხა რკინა, რომლის თითოეული კუთხე გაგრძელებულია ცენტ- რიდან ნაპირებისაკენ. მეორე მასარეს ფარს აქვს ტყავ-ღვედის „საბლუჯი“ (სახელური).

ფარი ხევსურეთში ადგილობრივ მხად- დებოდა. მაგან, ფარი კეთდებოდა სოფ. გვი-



სურ. 16.  
ბრინჯაოს საჩერებები

ლეთში, მჭედელი იყო არაბული გიორგი. ასევე ფარის კარგი მჭედლები იყვ- ნენ: არაბული ბიძურა (სოფ. აყნ-ბაკალიკოვს სასოფლო საბჭო), ბერდია ჭინ- ვარაული (სოფ. ჭიე), ქორია ქისტაური და სხვები.

შემცველი მჭედლის დაბარჯული შრომის საფასურად („ხელო-ფასს“). „სამ ცხვარს“ აძლევდა. ვახუშტი მიუთითებს: „არა უწყინონ თეთრი, არამედ თეთრის წილ ნაბადი, ცხვარი, ძროხა... და ვაჭრობენ ურთიერთსა ზინა ამით“<sup>1</sup>. განსცენებული იყენებოდა. ს. ჯანაშია აღნიშნავდა: „ვისაც არადი სქიო- დმოდა, მაგრამ მისი გაეკეთება არ შეეძლო, ის მჭედლობან მიღიოდა, აა- რას სთხოვდა და სამაგიეროს აძლევდა. რაც თვითონ ებადა—შინაურ ჭირ- უტყვს, ჭირნახულს ან სხვა რაიმე სიგანძს“<sup>2</sup>.

მჭედლს საცხოვრებელი სახლისაგან დამოუკიდებლად აქვს ისეთი სა- მეურნეო ნაგებობა, როგორიცაა სამჭედლო, და „სამჭედლო იარალი რაც აქვს, იმაჩი აქ“ (ე. ი. სამჭედლოში—გ. გ): გრდემლი, ქურა-საბერველი, ჩალხი, გეჯა (გობი), ქვერი (საორხელე და საცალხელე), მარწუხი (დიდი და პატარა), ქლიბები, ჯანდარა (მავთულისა, რომლითაც მჭედლი რკინას „წურთნის“-ფსიიკავი), „საბლილავი“ (უსმრებისათვის) და სხვა.

მჭედლი ფარს რკინისაგან ამზადებას<sup>3</sup>, მუშაობის დაწყების წინ ჩამოიფა- რებას ტყავის „საფარს“, აანთებს ქურას, დაყრის ქურაზე რკინას და „საბერ- ველით“ დაუბერავს. როდესაც შეატყობს „რკინა აღუძიდოთ“, ამიოღებს და- დი მარწუხით და საორხელე კერით დაუწყებს „ცემას“, რათა რკინას გარ- ავიული ფორმა მისცეს. მჭედლს წინ უდგეს ფარის მოღელი „სახე“ და მიშს-


<sup>1</sup> ვახუშტი შტრი ი, აღწერა სამეცნისა საქ-სა, თბ., 1941, გვ. 12.

<sup>2</sup> საქ. ისტორია, ნაწ. I, გვ. 17.

<sup>3</sup> შერ. კ. ჩ თლი თ ყა შე ი ლ ი, ქართული ფარი, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII, გვ. 230 და შედ.



გაესებით აკეთებს ფარს (სურ. 17). ჯერ გააკეთებს გირგოლებს „შემზებით“ შემზებით შაოის ხატს“ ანდა „გუმბათის ფარს“ „გიდებით“ და „უსმრებით“ შექრავს გამაგრებს. მეორე მხრიდან გამოაკრავს ხარის „გავაძს ტყავს“<sup>1</sup>, ნაბდისაგან გაუკეთებს „საბლუვის ნაბაღს“, ხოლო ტყავის ნაჭრებისაგან „საბლუვს“ (სურ. 18). „ფარს აკერენ ტყავს, გარეთა ნაპირი, სადაც იარაღ ხედების, რეინა ას, ხოლო შიგათი კი ტყავი. ეს იმად, რო ფარს სიმზუბუქე ხეონდის და



სურ. 17

ადვილად მოსახმარებ იყვას“. ანდა: „ხარის ტყავი, რომელიც ფარს აქვს გამოკრული, ჯერ ერთი ერთებს ფარს მთლიანად, მეორე კი დრეკადობისა და სიმაგრის მიმცემი არის“. ბოლო დროს ფარებს ტყავის მაგიერ რეინას აკრავდნენ, მაგრამ ჩვენის აზრით ფარის მოცულობა შემცირდა, დაატარავდა. თვით ხევსურები უპირატესობას მაინც ლითონგადაკრულ ტყავის ფარს აძლევენ, რადგან „რეინის ლამფარიანი ფარი ხმლის დარტყმის დროს იქლალება, ხოლო ტყავ-გადაკრული დრეკადია“<sup>2</sup>.

ფარის სიმაგრეს ამოწმებენ „უსმრებით“ და „გიდებით“. „უსმრებით“ თავიანთი ბორცვული მოყვანილობით ზიანს აყენებენ მოწინააღმდეგის ხმლის „ფხას“, პირს უფუშებენ ზას, ხოლო ფარის „გუმბათი“ თავისი ამობურცულობით ისხლეტს ხმლის დარტყმის. ამიტომ მჟედელი ცდილობს ბევრი „უსმრებითა“ და „გიდებით“ შეკრას ფარი. ფარს უკეთდება ტყავის „საკიდია“, რომლითაც მოლაშქრე ფარს მარცხენა მხარშე იყიდებდა. ბრძოლის დროს

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ფარი № 10—29, რომელსაც ღორის ტყავი აქვს გამოკრული (რაჭიდან).

<sup>2</sup> მთბრობლები: გ. არაბული (სოფ. გველი), მ. ლიქოველი (სოფ. ჭობული) და გ. ჭინ-ჭარაული (სოფ. ბარისახო).

მოლაშერე გარჯვენა ხელით „საკიდას“ მხრიდან გადმოიგდებს, გარცხენილ გადასახულების სტაციურის ფარის „საბლუჯეს“ („ფარს დაისაბლუჯებს“), ფარის და ხმელეთს ტრიუმფის თად „შეხყრის“ და მოლაშერე იღებს საბრძოლო დგომის. ფარის „საბლუჯი“ გარცხენა ხელის ოთხი თითით უჭირავს, გარჯვენა ხელში კი ხმალი უვავია, გარცხენა ხელის ბერა თითი ხმლის ვადაზე გადატედობილი (სურ. 19) და ასე ფარიკაობს (სურ. 20)<sup>1</sup>.

საჭიროა ალინიშნის, რომ, სხვა იარაღი რომ არ ჰქონდა მოლაშერეს, „ფარბებალი“ მისი განუშორებელი იყო.

ფარის ფორმა ხელგალი ფორმისაა, ამას ალინიშნავენ მოგზაურ - მკვლევრები<sup>2</sup>. ფარის სიმრგვალე ძალზე საურადლებოა, იგი შეპირობებული იყო ცხენოსნობასთან. ჩვენ გართებულად მიგვაჩნია პროფ. ანუსინის მოსაზრება, რომ „მრგვა-

ლი ფარი უფრო მოსახერხებელია ცხენოსნებისათვის“<sup>3</sup>. ამასვე შენიშნავს ჰანს ბონე<sup>4</sup>. მხედარს ორივე მხარეზე უხდებოდა ბრძოლა და სწორედ აქ მულავდება მრგვალი ფორმის ფარის უპირატესობა სხვა ფორმის ფარებთან შედარებით.

მრგვალი ფორმის ფარის უძველეს გამოსახულებად ჰანს ბონე სთვლის ციხე-სიმაგრე ზენჯირლის ზიგნითა კარზე მოთავსებული ფაროსანი რაინდის ფარის.

შეა საუკუნეების მცსლიმანი ავტორების ცნობით ფშავ-ხევსურებს ყარაცლლანებს (ზავფარინებს) უწოდებენ<sup>5</sup>.



სურ. 18

<sup>1</sup> ფარიგაობის შესახებ იხსლეთ ვ. ელაშვილის 『Фехтование в системе военно-физического воспитания хевсур, Краткие сообщения Института этнографии АН СССР, 1940, VIII, стр. 64-69.


<sup>2</sup> გაბ. „Кавказ“, 1876, № 84.

<sup>3</sup> М. Рабинович, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

<sup>4</sup> კ. ჩოლოვაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 275.

<sup>5</sup> Е. Вейденбаум, Путеводитель по Кавказу, 1886, стр. 82. „ყარაცალლანი“ არაფინას საფრისათას ეწოდება: „ოთიმერას მეფის ელჩის ნიკიფორე ირბაზის (ბერი) ძმის შვილს პრექტევა ზურაბ, ერისთავი ყარაცალლანისა“ (იჩ. მ. თამარაშვილის შრომა — ისტორია კათალიკიბითა

„მედგრად მორთულთა მთიულთა ფარი ეკიდა შავია“<sup>2</sup>.



Georg, 19

ფარის სიშავე შეპირობებული იყო ფარის გამოსაკრავი ტყავის დამზადებასთან. დღევანდელი ეთნოგრაფიული მსალების მიხედვით, გამჭვარტლულ ფარის ტყავს ქონით ჩიგლესდონენ<sup>3</sup>, ანდა საფარე ტყავსა და კერის თაღიდან ჩამოწმდნდილ ჭვარტლს ერთად იღულებდნენ წყალში. ტყავი დილიდან მოირე დილამდე, ე. ი. 24 საათი, მოთავსებული იყო ჭვარტლიან წყალში. შემდეგ ტყავს გააშრობდნენ და ფარს გაიორიადნენ.

ფარი ძელი ქართული იარილია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავდაცის საქმეში. ეს თვით სახელწილებიდანაც ჩინს. „ფარი“, საბის განმარტებით, „დასაფარებული“ საბურველია. ქირთულ ენაში გვხვდება ფართან დაკავშირებული ტერმინოლოგია: „საფარი“, „დასაფარი“ და სხვა.

ქართველთა შორის XIII—XIX საუკ., 1902, გვ. 92), როგორც „იმერელების ბაში-აჩუქად წოდებულთ“—შეიძ. არტ. ლა მ ბ ე რ ტ ი, სამცხე-ქალაქოს აღმინარება, 1938, გვ. 5.

ଶ୍ରୀ. "ପରମ୍ପରା", 1881, № 85

<sup>2</sup> ଲ୍ଲେଟ୍‌ର୍ମାନ୍‌ଡ୍ରି, ଶୁଣିରୁଗୁଣିକାନ୍ତି, ୧

394. *See* *ibid.*, *pp. 112-13*; *also* *ibid.*, *pp. 155-56*. *For* *details* *see* *ibid.*, *pp. 155-56*.

<sup>3</sup> მაგ., ებრაულები ტყავის ფარებს მცენარეთა შეთით პოხავდნენ. შედ. R. Lexikon, XI, 23. 263.



ა) პირველი ჯგუფის ფარებს მიეკუთვნებიან ხის ფარებზე და რეალულად მისამად გამოყენებულია ხე, რომელზედაც გადაკრულია ტყავი, ამიტომ ამ ჯგუფის ფარებს „ტყავგადაკრული ხის ფარებს“ ვუწოდებთ.



სურ. 20

ბ) მეორე ჯგუფის ფარები მზადდებოდა ტყავისაგან. მთავარ მასალად ტყავია გამოყენებული, ამიტომ ამ ჯგუფის ფარებს „ვუწოდებთ<sup>2</sup>. საინტერესო ცნობა შემოვეინახა ვახტანგ სორიგასალის ფარის შესახებ ჯუანშერმა: „...და ალჯდა (ვახტანგი—გ. გ.) ტაიესა შეჭრვილსა ჯავშითა, და ალილ ფარი მისი ვიგრის ტყავისა, რომელსაც ვერა ჰქონებოდა მახვილია“<sup>3</sup>.

გ) მესამე ჯგუფის ფარები კომბინირებულია. მთავარ მასალად გამოყენებულია ტყავი, რომელიც შეკრულ-შეკედილია რეინის სალტებით. ამ ჯგუფის „ფარებს ლითონგადაკრული ტყავის ფარებს“ ვუწოდებთ<sup>4</sup>.

დ) მეოთხე ჯგუფის ფარები მთლიანდ რეინისაა. მთავარ მასალად რეინია გამოყენებული, მეორე მზარეს გამოკრული აქვს რეინის ფირ-

<sup>1</sup> საქ. საბელმწიფო მუნიციპალიტეტი დაცული სეამური ფარი: № 25—25/1 (ჩასაა).

<sup>2</sup> საქ. საბ. მუნიციპალიტეტი დაცული ტყავის ფარები: 3—29/2; 35—35/29; 25—35/26 (აბაშერი) და 35—35/64; 35—35/65 საარსელი.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, სიმ. ყაზბენიშვილის რედაქციით, გვ. 101. შესაძლებელია ვახტანგის „ვიგრის ტყავის“ ფარი მრგვალი ფარმისა ყოფილიყო, რადგან „ალჯდა ტაიება“, ე. ი. ცხენიშვილი. ჩეკი სემოთ სწორებდ მას გექონდა ლაპარაკი, რომ მრგვალი ფორმის ფარი ცხენოსნობასთან არის შეპირობებული, ი. გვ. 101.

<sup>4</sup> ის. ფარი № 25—66/2.



ფურტა ანუ, როგორც ხევსურები შენიშვნავენ, „ლამურარა“. ამ ჯგუფის დაწყების „რენინის დარღვევა“ ვეჭროდებთ.

მესამე და მეოთხე ჯგუფის ფარები მრავლად შემოინახა ხევსურეთის კონგრაციულმა სინამდებობებმ. ამ ჯგუფების ფარებს კვიფთ სამ ტიპად, იმისდა მიხედვით, თუ ფარს რამდენი რყინის სალტე აქვს ანუ „გინ-გოლი“.

- 1) როდესაც ფარს ერთი „გირგოლი“ აქვს, მას უშულდება „ცალგირგოლიანს“;
  - 2) როდესაც ფარს ორი „გირგოლი“ აქვს, მას „ორგირგვლიანს“, ხოლო
  - 3) როდესაც ფარი გამაგრებული და შემოსალტელია სამ გირგოლით, მას „სამგირგვლიანს“.

ვანო ომას ძე არაბულის ორგირგვლანი ლითონგადაკრული ტყავის ფარი ასეთია. პირველი გირგოლის დიამეტრი 33 სმ, გირგოლის სიგანე 2,5 სმ, შეორე გირგოლისაგან დაშორებული 2 სმ-თ; მეორე გირგოლის დიამეტრი 28 სმ, სიგანე 2,5 სმ; „გუმბათის ხატის“ სიგრძე-სიგანე 15+13 სმ, „გუმბათის“ სიმაღლე 1 სმ, „საკიდას“ სიგრძე 86 სმ, ნაბეჭდის „საბლუვის“ სიგრძე 16 სმ, სიგანე 13 სმ, ფარის წონა—880 გრამია.

უბის ფარი 1. ხევსურეთში წელებრივი ფარის გარდა იყო უბის ფარიც, რომელიც მეტადის დაცვისათვის გამოიყენებოდა. აკად. ს. ჯანაშვილის სახელმძღვანოს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია უბის ფარი № 5—52/2, რომელიც საინტერესო და საყურადღებო ელემენტია ხევსურულ აბეზარში.


უბის ფარი მრგვალია ფორმით, აქვს ერთი გირგოლი, გუბბათის ხატი და შეკრულია უსმრებით. მეორე მხარეს გამოკრული აქვს ჩინის „ლამფა-რა“, „საბლუჯი“ კი ღვედისაა. იგი ერთის შეხედვით ძალიან ჰგავს „ცალ-გორგოლიან“ რინის ფარს (სურ. 21), მაგრამ თუ დაუკაირდებით კარგად, შევამჩრევთ იმ თვალსაჩინო განსხვავებებს, რაც საშუალებას მოგცემს უწყო-დოთ მას „უბის ფარი“. „უბის ფარი“ საომარ ფართან შედარებით პატარაა, არ აქვს თასმის „საკიდი“, რომლითაც ჩვეულებრივ საომარ ფარს მხარ-ზე იკიდებდნენ, არა აქვს „საკიდის გირგვლები“ და „საბლუჯის ნაბადი“. გამოვდივარ რა ზემოთ მოყვანილიდან და ვეყრდნობით მოხრობელთა ჩვე-ნებებს, დავასკვნით, რომ ხევსურეთში ყოფილა გაკრცელებული „უბის ფარი“. მას უბეში ინახავდნენ და ფარმა სახელშოდება „უბის ფარი“ უბედინ მიიღო:

„ଦ୍ଵିନାଙ୍କ ଶ୍ରେଣୀରୀତ ପାଇଁ ଦେଖିଲା  
ଯାନ୍ତିକିରି ମାଗିଏଇ କିମଳିବା,  
ଦ୍ଵୀପରେ ପାଲିବାରେ ଦାନ୍ତିବା,  
ଶୁଦ୍ଧିରେ ଉଦ୍‌ଦେଶୀରି ଫାରିବା“ ୩.

ე. ი. მას უშეში იღბლნენ, გარცხენა მხარეზე. იგი მეტადის დასაცავ საშუალებას წარმოადგენდა, ისევე როგორც რომავლებს ჰქონდათ: „აბებრის

<sup>3</sup> მთელი წელის და მიწის წიკლაურები (სოფ. როშეკა).

მაგიერ, პირველად ბრინჯაოს სამკერდული, უმტრესად მრგვალი ფრთხოების მუსიკა  
მიმაგრებული ტყავის სარ-  
ჩულზე<sup>1</sup>. მკერდის დასაცა-  
ვი საშუალება პქონდათ ოგ-  
რეოვე სომხებსაც<sup>2</sup>.



სურ. 21

არსებობდა მკერდისაცვი საშუალება, რომელიც დღისისთვის შემოინახა ხევ-სურეთის ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ უბის ფრის სახთ.

უბის ფარის ზომა-ჭონა საქართველოს სახ. მუზეუმის ეგზემპლარის მასშიდან შემდგენი:

დიაბეტი 21 სმ, „გირგვლის“ სიგანე 2,3 სმ; „გუმბათის ხატის“ სიგრძე-სიგანე 8,5 და 10 სმ, აქვს 13 უსმარი; საბლუკის სიგრძე 11 სმ, წონა—480 გრ.

<sup>1</sup> Военная энциклопедия, стр. 197.

<sup>2</sup> М. Хоренский, История Армении, 1858, стр. 45.

<sup>2</sup> ბიჭანტური მწერლების ცონგბი საკურთხელოს შესახებ. ს. ყაუბჩი შეიღის რედაქციით, ტავი IV, ნა. II, თბილისი, 1952, გვ. 257.

6. ყაზბენიშვილის ახრით სპარაგატი (შეიღო ემსტუპისა) ირანის გმირია, შემდგრ ქართ-  
ულებრი საყუთარ გმირად აქცია და მემატიურენი მიყვითობრობენ, რომ ის სპარსელთა წი-  
ნააღმდეგ იძრძლო, ისინი დამარტენება და შეიძინ ხარი დასკა მათ (კ. 257).

სპანდიატს მოისხეობა „სპანდარაუ“. ისტორიანი და პრიზნა შარაუკანდელათინი, პროფ. კორნ. ტევლიძის რედაციით, 1941, გვ. 51. სპანდიატს მოისხეობას სულხან ბარათაშვილიც თავის შრომაში, საქართველოს ისტორია, რვ. 1, ქუთაისი, 1895, გვ. 28. „განირა რამდენიმე წამია და სპარსეთის მეურის ვიზუაზაბის შეილმ სპანდიან-რ-რვალმ არლად გაბალაშერა ქართველობიში“.

„ჯლანი“ ქალამნისაგან განსხვავდება თავისი მოყვანილობით მარტინული ფრანგული განკვეთის მით (სურ. 22). ჯლანს აქვს „მწვერი“, რომელიც დამახასიათებელია ქართველის მცხოვრებთა ფეხსაცმლისათვის<sup>1</sup>. კვინტიანი ფეხსაცმლი (ქართული) თავის პარალელს პოულობს „ხურულ-თეშუბ-ხეთურ“ მატერიალურ კულტურაში<sup>2</sup>.

ჯლანი იქერება ხარის გავაძს ტყავისაგან, „რომელიც მსხვილი ას“. ტყავს დაჭრიან „შოლტებად“, აიღებნ და საკვამლე ადგილზე მოათვასებენ (საცეცხლურის თავზე) გასახმობად. შემდეგ ნაცრს მოაყრიან და „სახეცვლათი“ ფხეკნ. „თბილ წყალს დავასხამო და ცოცხს უს- გამო, რომ დალბეს“<sup>3</sup>. შემ- დეგ მშეზე გაჟეილებენ გა- საშრობად, ჩამოილებენ, წა- უსვამენ ერბოს ან ქონს და ჩადებენ „ქიმურში მოსაზე- ლად“.

„ქიმური“ არის ღრმად ამოთლილი მრგვალი ხე, თავში გაყრილი იქვს „მა- ლიეი“ (ხევში მისი პარა- ლელი „თავებე“), სადაც ამო- დებულია მაზის სიმსხო ხის


კეტი ანუ „ქედი“<sup>4</sup>. ამ „ქე- დით“ „ზელენ“ ტყავს. „კი“<sup>5</sup>

მურს<sup>6</sup> 3—4 კაცი ამუშავებს, ერთი ტყავს აბრუნებს, დანარჩენები „ტყავს ზელენ“ და ქონს უსვამენ. ამ პროცესის დროს ტყავს პატარა მეტები უჩნდე- ბა და მაშინ იტყვანა: „ჩაიცვერცა, მზას ას“. „მოხელილ“ ტყავს „ქიმურიდან“ ამოილებენ, დასდებენ კალაპოტზე და „მოსწერენ“. ტყავს „საკვერეტით“ ხერეტინ ერთი თითის დადებაზედ და „იშვებენ დაბანდვის გაზელილი საბანდით“<sup>7</sup>.

გამობანდვა იწყება წვერიდან ცერად. „ჯლანში“ იგებენ ჩალას ანდა ბალას. „ჯლანი“ შედგება: „ჯლანის ყელი“, „მწვერი“, „ჯლანის ენა“, „ბაჭ- რები“, „ამოსაზიდი“, „საბანდი“. საერტელაზე ნაეცი გადადეს.

ასეთი ფეხსაცმლის ნაირსახობა გვერცილებულია ხევსურეთის შეზობელ ტომებშიც: „ქლუჩები“, „ბანდულები“ (თუშებში), „ძირაბლები“, „ჩაფ- ხატი“, „წისხუვი“ (ხევში) და სხვა. ასევე გახსრტიც აღნიშნავს, რომ ოსებს „ფერჯა ზედა ტყავთაგან აცვიათ, რომლისა არს ლანჩია გამობანდული და- ხეულის ტყავისაგანვე, და მას შინ შთასდებენ თომსა, ჩაიცმენ ეგრეთ, რათა არა მიუსხლტეთ ფერჯი ყინულს, კლდესა და ბალახთა ზედა“<sup>8</sup>.

მკველერებიც მიუთითებენ „ჯლანის“ მნიშვნელობაზე: „მე საბოლოოდ დაურწმუნდი იმაზი, რომ თუ არა სხვა რაიმე სახის ფეხსაცმლით, გარდა ხევ-



სურ. 22

1. მწვერი, 4. ჯლანის ენა, 3. ბაჭრები, 4. ჯლანის ყელი,  
5. ამოსაზიდი, 6. საბანდი

<sup>1</sup> Соколовский, დასახ. ნაშრ., გვ. 187.

<sup>2</sup> გ. ნიტაია, პეტრუანი ფეხსაცმლი, გვ. 324.


<sup>3</sup> მთხრ. გ. წილური (სოფ. როშეა).

<sup>4</sup> ზედარეთ ს. მ. კალათია, ხევი, თბილისი, 1934, გვ. 145—146.

<sup>5</sup> მთხრ. გ. წილური (სოფ. როშეა).

<sup>6</sup> ვაბუ შტრი, დასახ. ნაშრ., გვ. 109; ძველად ტყავის დამუშავების შესახებ იხ.

Лурье, Обработка кожи в древнем Египте, I., 1932.



ସ୍ଵର୍ଗାଲ୍ଲିଙ୍କ ହାନଦିଲ୍ଲୀମିଳିଂକ (ଗୋଟିଏନ୍ତିରୁଲିଂକ ମିଳିଂକ), ଶ୍ରେଷ୍ଠଲ୍ଲେବ୍ୟାଲିଂ ପ୍ରକାଶ ମିଳିଂକରୁଲିଂକ ଓ ପାଇସିଗାରିକାରୁଲିଂକ ନାମରେ ଅନ୍ତର୍ଭାବରେ ଉପରେଲ୍ଲୋଧିତିରେ<sup>1</sup>.

ასე დიდი წინიშვნელობა ენიჭება გამომძალულ ძირებით ფეხსაცმელს მთაში სასიარულოდ, მას დიდი წინიშვნელობა ექნებოდა აგრეთვე ბრძოლის დროსაც.

ანრიგად, ხევსურული აბჯრის ძირითადი ელემენტებია: ჩაქანი, ჯავ-  
ვი, სამკლავე, საფეხუარი, საქერნე, ფარი, ხმალი, ხანჯალი, შევილდ-ისარი-  
თოფი (თავის ელემენტებით), უბის ფარი, ღავია-საცერულები, მორისი და  
შუბი, რაც ბევრ რამეში ემთხვევა ვახუშტის სული ქართული აბჯრის აღწე-  
რილობას. „საომარინი საჭერველი აქვნდათ: ჯავშანი, პოლოტინი, საბარ-  
კულნი, ჩაბალახნი, ჭალნი, ხანჯალნი, ლახტნი, შუბნი, ჩუგლუგნი, გურზნი,  
ოროლნი, ხიშტნი და შევილდ-ისარნი“<sup>2</sup>.

აბერძნის შემაღლებულობაში მოცემული ელემენტების ხმარება-ვამოუნდისა და ზოგიერთი მათვანის დამატების წესები (მაგ., მუშილდისარი; შურდული, შები, ფარი, ლაჯია-საცერულები და სხვა) მნიშვნელოვან თავისებურებებს შეიცავს და საყურადღებო თვისობრიობას იმულავნებენ.

Г. С. ГАСИТАШВИЛИ

## ХЕВСУРСКОЕ ВООРУЖЕНИЕ «АБДЖАРИ»

## Резюме

Для изучения древне-грузинского военного искусства, большое значение имеет выявление и изучение трудовых навыков и производственного опыта грузинского народа в деле изготовления холодного и огнестрельного оружия. Наиболее полный комплект вооружения грузинского воина был представлен в горной части Грузии вплоть до конца XIX в. В частности в этнографической действительности Хевсурети были сохранены все основные элементы вооружения грузинского воина, под названием «абд-жарни».

«Абджари» по своему составу делится на две группы:

- а) оружие для нападения (праща, лук и стрела и т. д.);  
 б) оружие для обороны (шлем, кольчуга, щит, надрукавины, наговицы и т. д.).

Своим чередом, оружие для нападения по своему характеру и боевому эффекту подразделяется на: 1) стрелково-метательное (праща, лук и стрела, ружье и т. д.), 2) рубящее (кинжал, сабля), 3) ударно-колющее (копье), 4) боевые кольца («гаджия», «лесула» и т. д.).

Наиболее подвижным видом хевсурского оборонительного оружия является круглый щит двух разновидностей — ручной (большой) и грудной (маленький). Этот последний представляет уникальный элемент хевсур-

<sup>1</sup> Зиссерман, բայեթ, Եսթր., Հ. 197.

२ अप्रैल, १९४८, ग्राम्यका. ६२८.



ского вооружения, предназначенный для защиты грудной области от винтового огня и пистолетного оружия.

Сохранение сравнительно полного комплекса грузинского вооружения в Хевсурети объясняется пережиточными формами древних социальных отношений в дореволюционном быту хевсур.

Отдельные элементы хевсурского вооружения — щит, шлем, наговицы, грудной щит и т. д. являются древнейшими видами вооружения предков грузинского народа и своими начальными формами восходят к аналогичным видам вооружения народов Древнего Востока.

Л. М. МЕЛИКСЕТ-БЕК

## РЕЛЬЕФЫ РУКИ НА ПАМЯТНИКАХ МАТЕРИАЛЬНОЙ КУЛЬТУРЫ ФЕОДАЛЬНОЙ ГРУЗИИ

Роль руки, как первейшего и главнейшего, притом и существенного, орудия производства, неоднократно подчеркивалась классиками марксизма.

Рука, по Ф. Энгельсу, «является не только органом труда, она — также его продукт»<sup>1</sup>. При этом «только благодаря труду, благодаря приспособлению все к новым операциям, благодаря передаче по наследству, достигнутого таким путем особенного развития мускулов, связок и, за более долгие промежутки времени, также и костей, так же как благодаря всем новому применению этих передаваемых по наследству усовершенствований к новым, все более сложным операциям, — только благодаря всему этому, человеческая рука достигла той высокой ступени совершенства, на которой она смогла, как бы силой волшебства, вызвать к жизни картины Рафаэля, статуи Торвальдсена, музыку Паганини»<sup>2</sup>.

«Но рука не была чем-то самодовлеющим», — замечает далее тот же Ф. Энгельс, — «она была только одним из членов целого, необычайно-сложного организма. И то, что шло на пользу руке, шло также на пользу всему телу, которому она служила, и шло на пользу в двояком отношении». «Прежде всего, в силу того закона, который Дарвин назвал законом соотношения роста», согласно которому «известные формы отдельных частей органического существа всегда связаны с определенными формами других частей, которые, повидимому, ни в какой связи с первыми не стоят». Но «постепенное усовершенствование человеческой руки и идущие рядом с этим развитие и приспособление ноги к прямой походке, несомненно, оказалось, в силу закона соотношения, влияние и на другие части организма». По Ф. Энгельсу, «значительно важнее прямое, поддающееся учету воздействие развития руки на остальной организме», поскольку «начинавшееся, вместе с развитием руки и труда, господство над природой расширяло с каждым новым шагом кругозор человека», причем «в пред- метах природы он постоянно открывал новые, до того неизвестные свойства»<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Курсив Ф. Энгельса.

<sup>2</sup> «Роль труда в процессе очеловечения обезьяны».

<sup>3</sup> Там же.



Модели, отиски, рельефы и вообще изображения человеческой руки, преимущественно десницы, встречаются во многих странах мира и, в частности, на Кавказе с самых незапамятных времен, причем самые древние из них это те, которые высечены в пещерах или на скалах, очевидно с мистическим назначением, подчас как эмблема силы, затем власти, в дальнейшем и в роли амулетов и талисманов (табу) и пр.<sup>1</sup>

В феодальную эпоху, после внедрения христианства, в Грузии и, особенно в Армении были распространены модели рук из металла (серебра, часто с позолотой), как реликвии, содержащей в себе т. н. «частицы» монщай, или даже десницу того или иного «святого»<sup>2</sup>. Таковы «десницы», хранившиеся в ризницах многих армянских церквей и монастырей, как-то: в Эчмиадзине — апостолов Фомы и Якова Алфея, Якова Низибинского, Григория Парфянского и Аристакеса; в Тбилиси — Якова Низибинского (в Банкском соборе), Стефана первомученика (в девичьем мон. св. Стефана) и мн. др., в том числе хранившиеся в церкви Спаса в Ахалцихе; причем первыми пятью из названных «десниц» орудуют при обряде «миропомазания», совершающего католикосом всех армян в сослужении 12-ти архиереев<sup>3</sup>.

Это, очевидно, тип благословляющей десницы [см. рис. 1].

